

✱

ბიბლია

ჰმნ

ბაქალინიანი

ლ რ ს მ ს

1771



მოქმედი პირნი

იმპერატორი მაქსიმილიანე.

გიოც ფონ ბერლიხინგენი.

გლისაბედი, მისი ცოლი.

მარია, მისი და.

კარლი, მისი მცირეწლოვანი ვაჟი.

გეორგი, მისი საჭურველთმტკირთველი.

გვისკოპოსი ფონ ბამბერგი.

ვაისლინგენი,

ადელჰაიდ ფონ ვალდორფი,

} ეპისკოპოსის  
კარისკაცი.

ლიბეტრაუტი,

ახატი ფონ ფულდა.

ოლგარიუსი, სამართლის დოქტორი.

ძმა მარტინი.

ჰანს ფონ ზელბიცი.

ფრანც ფონ ზიკინგენი.

ლერზე.

ფრანცი, ვაისლინგენის საჭურველთმტკირთველი.

შთახლე ადელჰაიდისა.

მეცლერი, ზივერსი, ლინკი, კოლი, ვილდი —

ამზობებულ გლეზთა მეთაურნი.

კავალრები და მანდილოსნები ბამბერგის კარისა.

იმპერატორის მრჩეველნი.

რატმანები ჰაილბრონისა.

საიდუმლო სასამართლოს მსაჯულნი.

ორი ნიურნბერგელი ვაჭარი.

მაქს შტუმფი, ფალცგრაფის კარისკაცი.

უცნობი.

სასიამაო, } გლეზები.


სასიძო, }

ბერლიხინგენის, ვაისლინგენის და ბამბერგის მხედრები.

კაპიტნები, ოფიცრები და ჯარისკაცი სამზობრო არმიისა.

მიკიტანი.

სასამართლოს მდივანი.  
ჰაილბრონელი მოქალაქენი.  
ქალაქის გუშაგნი.  
ციხის დარაჯი.  
გლეხები.  
ბოშების ატამანი  
ბოშები: მამაკაცები და ქალები.



### პირველი მოქმედება

შვარცენბერგი ფრანკონიაში

სამიკიტნო

მეცლერი, ზივერსი მაგიდასთან სხედან. ორი ბამბერგელი მხედარი ცეცხლს ეხუხება. მიკიტანი.

ზივერსი. კიდევ ერთი ჭიქა არაყი დამისხი, ჰენზელ! მხოლოდ ქრისტიანულად ამივსე.

მიკიტანი. აი, შე ღორმუცელავ, შენა!

მეცლერი (ჩუმად ზივერსს). მოდი, ერთხელ კიდევ მიაძმე ბერლიხინგენზე! ეგ ბამბერგელები მაინც ბრაზისაგან გულზე სკდებიან და დაე მთლად ნახშირივით გაშავდნენ და ცხვირ-პირი ჩამოუშვან!

ზივერსი. ბამბერგელები? მერედა, ისინი აქ რას აკეთებენ?

მეცლერი. ეს ორი დღეა ვაისლინგენი ბატონ გრაფთან იმყოფება ციხე-დარბაზში; ესენი კი ვაისლინგენს აცილებენ. არ ვიცი, აქ საიდან მოვიდა იგი; ბამბერგელები მას ელოდებიან. ვაისლინგენი ისევ ბამბერგში დაბრუნდება.

ზივერსი. ვინაა ეგ ვაისლინგენი?

მეცლერი. ეპისკოპოსის მარჯვენა ხელია, ძლიერი ბატონი, რომელიც შემთხვევას ეძიებს, რომ გიოცსაც ისევ დაუმეგობრდეს.

ზივერსი. დაე კარგად აღივნოს თვალყური!

მეცლერი (ჩუმად). ოლონდ არ შეჩერდე! (ხმამალა) რამდენი ხანია, რაც ბატონი ბერლიხინგენი ისევ წაეჩხუბა ბამბერგის ეპისკოპოსს? აქი ამბობდნენ, ისინი ყველაფერზე მორიგდნენ და უკვე დაზავდნენო?

ზივერსი. როგორ არა, ეგრე ადვილად მორიგდები ხუცესებთან! როცა ეპისკოპოსმა დაინახა, რომ ბერლიხინგენტან ვერაფერს გახდა და უხერხულ მდგომარეობაში ჩაიყენა თავი, ბედს დაემორჩილა და ლაპარაკი დაიწყო ზაეზე. გულკეთილმა ბერლიხინგენმა კი საოცრად ბევრი რამ დაუთმო ეპისკოპოსს. მან ხომ ყოველთვის ასე იცის, როცა გამარჯვება კარს მოადგება ხოლმე.

მეცლერი. ღმერთი იყოს მისი მფარველი! სამართლიანი ბატონია!

ზივერსი. აბა ერთი კარგად დაუფიქრდი, მაშ ეს საზიზღარი უნამუსობა არ არის? ისინი მოულოდნელად თავს დაესხნენ ბერლიხინგენის საჭურველმტვირთველს და ტყვედ ჩაიგდეს. მაგრამ ბერლიხინგენი მათ ამისათვის ერთს მაგრად კიდევ შეახურებს!

მეცლერი. ეს კი საწყენია, რომ უკანასკნელი მისი საქმე ბედნიერად ვერ დაგვირგინდა! ალბათ ძალზე განრისხდებოდა.

ზივერსი. მგონი, კაი ხანია ასე არ განრისხებულა. ისიც უნდა ითქვას, რომ ყველაფერი ზუსტად იყო გამოანგარიშებული: როდის, რომელი გზით ბრუნდებოდა ეპისკოპოსი აგარაკიდან, რამდენი მხედარი ახლდა; ვერაგ, მუხთალ ადამიანებს რომ არ ელაღატათ, ბერლიხინგენი მას მაგრად გასჯორავდა, შეახურებდა.

პირველი მხედარი. რასა ყბედობთ ჩვენს ეპისკოპოსზე? მგონი, თქვენ ჩხუბი გწადიათ.

ზივერსი. თქვენ თქვენს თავს მოუარეთ! რას მოძვრებით ჩვენს სუფრასთან?

მეორე მხედარი. ვინ მოგცათ ნება, რომ ასე ავდებულად ილაპარაკოთ ჩვენს ეპისკოპოსზე?

ზივერსი. ისლა მაკლია, ანგარიში თქვენ ჩაგაბაროთ! უყურეთ ერთი ამ სულელებს! (პირველი მხედარი სილას გააწნავს ზივერსს ყურის ძირში.)

მეცლერი. დასცხე მაგ ძალღიშვილს! (ერთმანეთს მისცივდებიან.)

მეორე მხედარი. აბა ერთი მობრძანდი, თუ ბიჭი ხარ! მიკიტანი (აშველებს). აღარ უნდა დაისვენოთ, თქვე ბნედიანებო, თქვენა?! თუ ჩხუბი გინდათ, გარეთ გაეთრიეთ. ჩემს სამიკიტნოში ყველა წესიერად, სვინდის-ნამუსიანად უნდა მოიქცეს. (გაყრის მხედრებს გარეთ.) თქვენ კი, ვირებო, ეს რა აურზაური ასტეხეთ აქა?

მეცლერი. ეგრე ძალიან ნუ ილანძლები, ჰენზელ, თორემ მაგ მელოტ გოგრას ახლავე დაგიუთოვებთ! წავიდეთ, ამხანაგო, და გარეთ მაინც მივბეჭოთ ისინი ერთი კარგად.

შემოდის ბერლიხინგენის ორი მხედარი.

პირველი მხედარი. ეს რა ამბავია?

ზივერსი. აა! სალამი, პეტერ! გამარჯობა, ფაიტ! საიდან?

მეორე მხედარი. ღმერთი არ გაგიწყრეს და ჩვენი ბატონის სახელი არ წამოგცდეს...

ზივერსი (ჩუხად). თქვენი ბატონი გიოცი ალბათ აქვე ახლოსაა.

პირველი მხედარი. ხმა ჩაიწყვიტე! აქ ვისთან გქონდათ ჩხუბი?

ზივერსი. იმ ბიჭებთან, თქვენ რომ შეგეხენენ; ბამბერგელები არიან.

პირველი მხედარი. აქ რას აკეთებენ?

მეცლერი. ვაისლინგენი იქ, ზევით არის, ციხე-ღარბაზში, დიდ ბატონთან, ეგენი კი მას აცილებენ.

პირველი მხედარი. ვაისლინგენი?

მეორე მხედარი (ჩუხად). კაი საკბილოს მივაგენით, პეტერ! (ხამალა) დიდი ხანია, რაც აქ არის?

მეცლერი. უკვე ორი დღეა. მაგრამ ის დღეს გაემგზავრება აქედან. ასე სთქვა მისმა ერთ-ერთმა ბიჭმა.

პირველი მხედარი (ჩუხად). არ გეუბნებოდი, ვაისლინგენი აქ იქნება-მეთქი! ჩვენ იქ ცოტა ხანს კიდევ უნდა გვეყარაულა, ფაიტ!

ზივერსი. ჯერ ჩვენ მოგვეშველეთ, რომ ბამბერგელები მივბერტყოთ.

მეორე მხედარი. თქვენ ხომ ისეც ორნი ხართ. ახლავე უნდა წავიდეთ. მშვიდობით! (გადიან.)

ზივერსი. რა არამზადები არიან ეს მხედრები! მუქთად ერთ ნაბიჯსაც არ გადადგამენ.

მეცლერი. თუნდა ჯვარზე დავიფიცავ, რომ მაგათ რალაც განზრახვა აქვთ. ვის ემსახურებიან?

ზივერსი. ეს კი საიდუმლოა... ისინი ემსახურებიან გიოცს.

მეცლერი. აჰა! ახლა კი გარეთ გავცვივდეთ. წამოდი! ვიდრე ეს კეტი ხელთა მაქვს, მათი შამფურების სულაც არ მეშინია.

ზივერსი. აი, ერთხელ მაინც დაგვეცხო ასე თავადებისთვის-საც, ღარიბებს ხომ ცხრა ტყავს გვაძრობენ!

## სამიკიტნო ტყეში

გიოცი (კარის წინ, ცაცხვის ქვეშ). სად დაიკარგნენ ჩემი მსახურები? ბოლთა მაინც დაეარტყა, თორემ ძილი მომერევა. უკვე ხუთი დღე და ლამეა, რაც ჩასაფრებული ვარ. ძვირად უჯდება ზოგიერთს მცირე ხნის სიცოცხლე და თავისუფლება. მაგრამ, თუ ხელში ჩაგიგდებ, ვაისლინგენ, აი, მაშინ კი ამოვისუნთქავ თავისუფლად, გულს მოვიოხებ. (ასხამს.) მაინც არაფერა ჩანს! გეორგ! ვიდრე თასში ლვინო მიდგას და ჩემს გულს სიმამაცე შესწევს, ყოველთვის დავცინებ თავადთა მზაკრობასა და უფლებისმოყვარულობას... გეორგ!.. გაგზავნე კიდევ შენი საყვარელი ვაისლინგენი ბიძაშვილებთანა და ნათლებთან, თავი მომქერი, გამაშავე ყველას წინაშე! კარგი, განაგრძე! ფხიზლად ვარ! შენ ხელიდან გამისხლტი, ეპისკოპოსო! დაე შენს მაგიერ შენმა საყვარელმა ვაისლინგენმა აგოს პასუხი... გეორგ! დაურუდო, ბიჭო? გეორგ! გეორგ!

საჭურველთმტვირთველი (მოხრდილი ადამიანის ჯავშანში) თქვენო კეთილშობილებავ!

გიოცი. სად დაიკარგე? დაგეძინა? რა ეშმაკმა მოგპრანჭა ასე? ერთი აქ მოდი! საჭურველი გიხდება, ნუ გრცხვენია, ბიჭო! ყოჩაღ! ჰო, მაგრამ ჯავშანი დიდი მაინც არ მოგდიოდეს! ეს ჰანსის ბეგთარია?

გეორგი. ცოტა ხნით თვალის მოტყუება მოისურვა და გაგზავნა.

გიოცი. ჰანსს უფრო უყვარს მოსვენება, ვიდრე მის ბატონს.

გეორგი. ნუ განრისხდებით! მე ჩუმიად ავიღე ჯავშანი და გადავიცივი, ჩამოვიღე კედლიდან მამაჩემის ძველებური ხმალი, გავვარდი გარეთ და ვიშიშველე.

გიოცი. და დაიწყე ჩეხვა აქეთ-იქით! კაი დღე კი დაადგებოდნათ ბუჩქებსა და ეკალ-ბარდებს! ჰანსს სძინავს?

გეორგი. თქვენს ძახილზე იგი წამოხტა და დამიყვირა, ბატონი გეძახისო. მინდოდა ჯავშანი გამეძრო, მაგრამ კვლავ გავიგონე თქვენი ხმა.

გიოცი. წადი, მიუტანე მას თავისი ჯავშანი და უთხარი მოემზადოს, ცხენებს მიხედოს.

გეორგი. მე მათ უკვე კარგად ვაჭამე და ისევ ჩაფუდე ლაგმები. როცა მოინებებთ, მაშინვე შეგიძლიათ გაემგზავროთ.

გიოცი. შემომიტანე ერთი ხელადა ლვინო. ჰანსსაც მიუტანე

ერთი ჭიქა. გადაეცი, რომ ფხიზლად იყოს, ასეა საჭირო. ყოველ წუთს ველოდები ჩემი მზვერავეების დაბრუნებას.

გეორგი. ეჰ, თქვენო კეთილშობილებავ!

გიოცი. რა გინდა?

გეორგი. არ შეიძლება მეც თან წამოგყვეთ?

გიოცი. სხვა დროს, გეორგ, როცა ვაქრებსა და ალალებზე თავდასასხმელად წავალთ.

გეორგი. სხვა დროს! თქვენ სულ ასე მეუბნებით. წამიყვანეთ ახლავე! ახლავე! თუნდაც მხოლოდ თქვენს უკან ვირბენ და შორიდან გიყარაულებთ. მინდა გასროლილი ისრები უკანვე მოგიტანოთ.

გიოცი. შემდეგისათვის, გეორგ. ჯერ ჯავშანი, მუზარადი და სათხედი უნდა გიშოვნო.

გეორგი. ახლა წამიყვანეთ. მე რომ თქვენთან ვყოფილიყავი უკანასკნელად, მშვილდ-ისარი არ დაგეკარგებოდათ.

გიოცი. შენ ეს საიდან იცი?

გეორგი. როცა მტერს მშვილდ-ისარი თავში სთხლიშეთ, ვილაცა ქვეითმა ჯარისკაცმა აიღო და თვალთაგან გაჰქრა. ხომ მცოდნია?

გიოცი. ეს ჩემმა აბჯროსნებმა გითხრეს?

გეორგი. დიას! სამაგიეროდ, მე მათთვის ყოველგვარ ჰანგზე ვუსტვენ და მხიარულ სიმღერებს ვასწავლი, როცა ცხენებს ვწმენდთ ხოლმე.

გიოცი. ყოჩაღი ბიჭი ხარ.

გეორგი. თან წამიყვანეთ, რომ დაგიმტკიცოთ კიდევ ჩემი სიყოჩაღე.

გიოცი. შემდეგისათვის წავიყვან, გეორგ, გაძლევ პატოსან სიტყვას. შეუიარაღებელი არ უნდა გამოხვიდე ბრძოლაში. გულადი ვაჟკაცები მომავალშიც საჭირონი იქნებიან. დადგება ისეთი ძვირფასი დრო, გეუბნები მე შენ, ახალგაზრდავ, როდესაც თავადები თავიანთ განძს არ დაიშურებენ მამაცი ვაჟკაცისათვის, ახლა რომ ასე სძულთ. წადი, გეორგ. მიეცი ჰანსს თავისი ჯავშანი და ლვინო შემომიტანე. (გეორგი გადის.) სად არის ჩემი ხალხი? ველარ მივმხვდარვარ! ბერი! ეს საიდანლა მოდის? (შემოდის ძმა მარტინი.) სალამო მშვილობისა, ღირსო მამაო! საიდან მობრძანდებით ასე გვიან? თქვენი ღვთაებრივი სიმშვიდე თვით რაინდებსაც კი აკრთობს ხოლმე.

მარტინი. გმადლობთ, კეთილშობილო ბატონო. მე ვეკუთვნი მორჩილ ძმათა რიცხვს, რაკი სიტყვა ჩემს ტიტულზე ჩამოვარდა. მონასტრებში ავგუსტინე შემარქვეს, მაგრამ მე უფრო მესიამოვნება, როცა ჩემი ნათლობის სახელს—მარტინს დამიძახებენ ხოლმე.

გიოცი. დალლილი ჩანხართ, ძმაო მარტინ, და ექვი არაა, გწყურიათ კიდევაც. შემოდის გეორგი, აი, ეს ღვინოც სწორედ კაი დროს მოიტანეს.

მარტინი. მე მხოლოდ ერთი ყლუპი წყალი მინდა. ღვინის სმის უფლება კი არა მაქვს.

გიოცი. ასეთია თქვენი ალთქმა?

მარტინი. არა, მოწყალეო ბატონო, ჩემი ალთქმა არაა ღვინის სმის წინააღმდეგი, მაგრამ თვით ღვინოა წინააღმდეგი ჩემი ალთქმისა. აი, რატომ არა ვსვამ ღვინოს.

გიოცი. რას გულისხმობთ თქვენ მაგ სიტყვებში?

მარტინი. ბედნიერი ხართ, რომ არ გესმით. სასმელ-საჭმელი, ჩემი აზრით, სიცოცხლე ადამიანისა.

გიოცი. მართალია.

მარტინი. როცა სასმელ-საჭმელს მიირთმევთ ხოლმე, ახალდაბადებულივით გრძნობთ თავს, უფრო მხნე და ჯანსაღი ხდებით, თქვენს საქმეში უფრო მეტად მოხერხებული. ღვინო ამხიარულებს ადამიანის გულს, მხიარულება კი ყოველგვარი სათნოების დედაა. როცა კაცი ღვინოს გადაჰკრავს, მისი მხნეობა ორკეცდება ხოლმე; უფრო ადვილია ფიქრი, უფრო ადვილია რაიმეს განზრახვა და განზრახულის სასწრაფოდ შესრულება.

გიოცი. დიახ, როცა ღვინოსა ვსვამ, ეს მართლაც ასე ხდება ხოლმე.

მარტინი. მეც მაგას მოვახსენებთ. ჩვენ კი... (გეორგს წყალი შემოაქვს.)

გიოცი (გეორგს ჩუბად). გადი დაქსბახის გზაზე, ყური დაადე მიწას, ხომ არ მოისმის ცხენების ფეხის ხმა, და ახლავე დაბრუნდი.

მარტინი. ჩვენ კი, როდესაც სასმელ-საჭმელით გამოვძლებით, სწორედ ისეთი ვხდებით, როგორნიც არ უნდა ვიყოთ. საჭმლის ნელი მონელების დროს კუჭი ჩვენს გონებას თავის ჰკუაზე წაიყვანს, მეტიმეტი მოდუნება და მოსვენება კი ავხორცულ სურვილებს ალგვიძრავს, ასე ადვილად რომ გვიმორჩილებს ხოლმე.

გიოცი. ერთი ჭიქა ღვინო, ძმაო მარტინ, მშვიდ ძილს არ

დავირღვევთ. თქვენ ხომ დღეს დიდი გზა გაქვთ გამოვლილი. (აწყლის ჭიქას.) გაუმარჯოს ყველა მებრძოლს!

მარტინი. ღმერთმა გაუმარჯოს! (ერთმანეთს ჭიქებს მიუჭახუნებენ.) ვერ ვიტან მუქთახორა ხალხს; მაგრამ იმასაც ვერ ვიტყვი. რომ ყველა ბერი მუქთახორა იყოს. ისინი აკეთებენ მხოლოდ იმას, რაც შეუძლიათ. გუშინ წმინდა ფატი ვინახულე და ღამე მასთან გავათესე, წინამძღვარმა ბაღში შემეყვანა. რაღას იტყვი. იქ რომ არ იყოს; საუცხოო სალათა თუ გულის გამხარებელი კომბოსტო! განსაკუთრებით კი კალნაბი და ისეთი ოქრომხალა, როგორსაც მთელ ეკროპაში ვერა ნახავთ!

გიოცი. ეგ ხომ თქვენი საქმე არ არის. (წამოდგება, გაიხედავს ამ მხარეს, საითყნაც გეორგი წვიდა და უკანვე დაბრუნდება.)

მარტინი. ექ, ღმერთს რომ ენებებინა და მებაღედ ან სამკურნალო მცენარეთა შემგროვებლად გავეჩინე. ბედნიერი კაცი ვიქნებოდი. ჩემი მონასტერი ერფრუტშია, საქსონიაში; წინამძღვარს ძლიერ ვუყვარვარ. მან იცის, რომ მოსვენებით ყოფნა არ შემძლია, და, სადაც კი რაიმე საქმე გამოჩნდება, იქ ყოველთვის მე მგზავნი ხოლმე. ახლაც კონსტანცის ეპისკოპოსთან მივდივარ.

გიოცი. ერთი ჭიქა კიდევ! წარმატებას გისურვებთ!

მარტინი. თქვენც გაგიმარჯოს!

გიოცი. ეგრე რად მიცქერით, ძმაო მარტინ?

მარტინი. ძლიერ მხიბლავს თქვენი ჯავშანი.

გიოცი. მაშ მოგწონთ ჩემი ჯავშანი? იგი მძიმეა და ძალზე ძნელია სატარებლად.

მარტინი. ამქვეყნად რაღა არ არის ძნელი. ჩემი აზრით კი, იმაზე ძნელი არაფერია, რომ კაცს ვერ გაგიბედავს ადამიანი იყო. სიღატაკე, უბიწობა და მორჩილება—აი, ის სამი ალთქმა, რომელთაგან ყოველი მათგანი ცალკე რომ განვიხილოთ, შეიძლება ხუნებისათვის შეუსაბამოდ მოგვეჩვენოს, ხოლო სამივე ერთად კი აუტანელია. მთელი შენი სიცოცხლე უნდა გაატარო ამ მძიმე ტვირთქვეშ და უფრო მეტიც, თანაც საშინლად გაწამებდეს სინდისის ტენჯნა. ოჰ, ღმერთო ჩემო! აბა, რა არის თქვენი ცხოვრების ყველა მძიმე საზრუნავი ჩვენი წოდების საცოდავ მდგომარეობასთან შედარებით, რომელიც ღვთაებასთან ახლო ყოფნის ყალბად გაიბეჭდილი სურვილის გამო უარჰყოფს ჩვენს საუკეთესო სურვილებს, იმ სურვილებს, რომლის მეოხებითაც ჩვენ ვიბადებით, ვიზრდებით და ვვითარდებით?

გიოცი. ეგეთი წმინდა ალექსანდრე რომ არ გქონდეთ დადებული, დაგიყოლიებდით, ჯავშანს გადაგაცმევდით, ცხენზე შეკვამდით და ერთად გავემგზავრებოდით.

მარტინი. ოჰ, ნეტავი ღმერთს ჩემი მხრებისათვის ისეთი სიმტკიცე მოეცა, რომ ჯავშანი მეტარებინა, ჩემი მკლავებისათვის კი ისეთი ძალა — მტერი ცხენიდან ძირს ჩამომეგდო! საბრალო, უძლური სული, მხოლოდ ჯვრის ჭერასა და საკმევლის ქნევას რომ არის შეჩვეული, როგორ უნდა შეაიარალოთ ხმლითა და შუბით! ჩემი ხმა, რომელიც მხოლოდ „დედაო ღმერთისაო“ და „ალილუია“ გალობს, მტერს ჩემი უღონობის მაცნედ გამოადგება, მაშინ, როცა თქვენი ვაჟკაცური შეძახილი წინასწარვე შეადრწუნებს და დაამარცხებს. ასე რომ არ იყოს, მე ვერავითარი ალექსანდრე დამაკავებდა, შევსულიყავი იმ ორდენში, რომელიც თვით ჩემმა შემოქმედმა დააარსა.

გიოცი. ბედნიერ დაბრუნებას გისურვებთ!

მარტინი. მე კი ამ ჭიკით უნდა შევსვა მხოლოდ თქვენი ბედნიერად დაბრუნებისა. ჩემი დაბრუნება საკანში კი არის მუდამ უბედურება. როდესაც თქვენ, ბატონო ჩემო, ბრუნდებით, საკუთარ ციხე-დარბაზში სიმამაცისა და სიმტკიცის გაუტყეხელი გრძნობით, რომელიც ვერავითარმა დაღლილობამ ვერ დასძლია, და ხანგრძლივი მოგზაურობის შემდეგ პირველად, უაბჯრ-უჯავშნოდ დაწვევებით საკუთარ სარეცელზე, ისე, რომ მტრის თავდასხმა აღარ გაშინებთ, და შევიპყრობთ ძილი, რომელიც თქვენთვის უფრო ტკბილია, ვიდრე ჩემთვის ერთი ყლუპი წყალი, ხანგრძლივი, საშინელი წყურვილის შემდეგ, აი, მაშინ შეგიძლიათ სთქვათ, ბედნიერი ვარო.

გიოცი. მაგრამ ეს იშვიათად ხდება ხოლმე.

მარტინი (მგზნებარედ). და როცა ეგ ხდება, თქვენ გრძნობთ ღვთაებრივ ნეტარებას. — როცა ნადავლით დატვირთული ბრუნდებით ბოძოლიდან და გახსენდებთ: „მე ძირს ჩამოვადე მტერი და ცხენიანად ავჩეხე, ვიდრე სროლას შესძლებდა იგი“... და ასე მიაღდგებით თქვენს ციხე-დარბაზს...

გიოცი. მერედა, მაგითი რისი თქმა გსურთ?

მარტინი. და თქვენი ქალები! (ასხამს ღვინოს). თქვენი მგულლის სადღეგრძელო იყოს! (თვალს იწმენდს.) ხომ გყავთ მიუღღსურ?

გიოცი. კეთილშობილი, მშვენიერი ქალი!

მარტინი. ნეტარება მას, ვისაც სათნოებით აღსაესე ცოლი

პყავს! იგი ერთიორად მეტ ხანს იცოცხლებს. მე არ ვიცი, რასა ჰქვია ქალი, თუმცა იგი გვირგვინია შემოქმედებისა!

გიოცი (თავისთვის). რა რიგ მეცოდება! თავისი მდგომარეობის შეგრძნება გულს უფლავს.

გეორგი (შემოვარდება). ცხენების თქარუნი შესმის, თქვენო კეთილშობილებავ! ორნი არიან! ნამდვილად ისინი არიან!

გიოცი. გამოიყვანე ჩემი ცხენი! ჰანსიც ახლავე ცხენს მოახტეს. მშვიდობით, ძვირფასო ძმაო! ღმერთი იყოს თქვენი მფარველი! იყავით მხნე და მომთმენი! ღმერთი არ გაგწირავთ.

მარტინი. მიიხარით თქვენი სახელი!

გიოცი. მაპატიეთ! მშვიდობით! (ართმევს მარცხენა ხელს.)

მარტინი. რატომ მართმევთ მარცხენა ხელს? განა ღირსი არა ვარ რაინდის მარჯვენა ხელისა?

გიოცი. თუნდაც იშპერატორი ყოფილიყავით, მაინც მარცხენა ხელს ჩამოგართმევდით, რადგანაც ჩემი მარჯვენა გამოუსადეგარია ბრძოლისათვის, მეგობრული ხელის ჩამორთმევისათვის კი უგრძნობელი. იგი ხელთათმნიანია, ხომ ხედავთ, რკინისაა.


მარტინი. მაშ თქვენ გიოცი ფონ ბერლიხინგენი ბრძანდებით? გამაღლობ, უფალო, რომ მანახე იგი, ის მამაცი ადამიანი, რომელიც ჰირივით სძულს ყველა თავადს და რომლისკენაც ისწრაფვიან შევიწროებულნი! (ჩამოართმევს მარჯვენა ხელს.) მომეცით ეგ ხელი, ნება მიბოძეთ, ვეამბორო.

გიოცი. ნუ ინებებთ.

მარტინი. ნება მიბოძეთ! შენ უფრო ღირსეული ხარ, ვიდრე წმინდანთა ნაწილი, რომელშიც წმინდა სისხლი ჩქეფდა ოდესღაც, უსულო იარაღი, რომელსაც კვლავ სიცოცხლეს განიჭებს კეთილშობილი სულის ღვთაებისადმი სასოება. (გიოცი დაიხურავს მუხარადს და შუბს აიღებს.) დიდხანს ცხოვრობდა ჩვენს მონასტერში ერთი ბერი, რომელიც თქვენთან სტუმრად იყო სწორედ მას შემდეგ, რაც ეგ ხელი გაგიხვრიტეს ლანდსჰუტის ბრძოლაში. მან გვიამბო, რანაირად იტანჯებოდით და რა ძლიერ სწუხდით, რომ ეს ხელს შეგიშლიდათ თქვენი ვალის აღსრულებაში, და ბოლოს, როგორ გვიამბეს ერთი რაინდის შესახებ. რომელსაც აგრეთვე მხოლოდ ცალი ხელი ჰქონდა, და მაინც, როგორც მამაცი რაინდი, თავის საქმეს დიდხანს ემსახურებოდა... არა, ამას ვერასოდეს ვერ დავივიწყებ.

შემოდის ორი აბჯროსანი. გიოცი მათ

ჩუმიად ესაუბრება.



მარტინი (განაგრძობს). და ვერასოდეს ვერ დავიფიქრებ: იმას, როგორ წარმოთქვა მან ღვთაების მიმართ გულწრფელი, კეთილშობილებით აღსავსე სასოებათ: „თუნდა თორმეტი ხელი მქონოდა და შენი წყალობა მომკლებოდა, რა სარგებლობას მომიტანდნენ ისინი! ახლა კი ცალი ხელითაც შეგძლებ...“

გიოცი. მაშ ჰასლახის ტყისკენ! (შემობრუნდება მარტინისაკენ.) მშვიდობით, ღირსეულო ძმავო მარტინ! (ჰკოცნის.)

მარტინი. ნუ დამიფიქრებთ, როგორც მე თქვენ არ დავიფიქრებთ.

გიოცი გადის.

რარვინგ შემეკუთმება გული, ბერლიხინგენი რომ ენახე. ის არაფერს მეუბნებოდა, მაგრამ ჩემმა გულმა იცნო მაშინვე. რაღა იმაზე ნეტარება, რომ იხილო უდიდესი ადამიანი.

გეორგი. ჩვენთან გაათვით ღამეს, წმინდაო მამავ?

მარტინი. ლოგინს გამიშლით?

გეორგი. არა, ბატონო ჩემო, ლოგინი მხოლოდ ისე გამიგონია. ჩვენს სამიკიტნოში ჩალის მეტი არა არის რა.

მარტინი. ევაც კარგია. რა გქვია, ბიჭო?

გეორგი. გეორგი, წმინდაო მამავ!

მარტინი. გეორგი. მაშ შენ მამაცი წმინდანის სეხნია ყოფილხარ.

გეორგი. ამბობენ, რაინდი იყო, მეც რაინდობა მინდა.

მარტინი. მოიცა! (ამოიღებს ლოცვანს და საჭურველთმეტვირთველს მისცემს ხატს.) აი, იგი, გქონდეს. მიჰყევ მის მაგალითს და ღმერთისა გეშინოდეს. (გადის.)

გეორგი. აჰ, რა მშვენიერი თეთრი რაშია. მეც რომ ოდესმე ვიშოვო ასეთი რაში!.. და ოქროს ჯავშანი!.. აი, ეს მძვინვარე, საზიზღარი ურჩხული!.. მე კი ახლა მხოლოდ ბელურებს ვესვრი ხოლმე... წმინდაო გეორგი! გამხადე დიდი და ძლიერი, მომეცი შუბი, ჯავშანი და რაში, დე შემომიტონ მაშინ ასეთმა ურჩხულებმა!

### ი ა მ ს ტ ვ ა უ ზ ე ნ ი

### გიოცის ციხე-დარბაზი

ღლისაბედი, გიოცის ცოლი. მარია, გიოცის და. კარლი, გიოცის მცირეწლოვანი შვილი.

კარლი. ერთხელ კიდევ მომიყვი, საყვარელო მამბდავ, გულკეთილ ბავშვზე; რა მშვენიერი ამბავია.

მარია. შენ თვითონ მომიყვი, ცელქო ბიჭუნავ, მინდა. გავიგო, ყურადღებით მისმენ თუ არა.

კარლი. მოიცა, გავიხსენო. იყო და არა იყო რა... ჰო, იყო ერთი ბავშვი... ერთხელ დედა ავად გაუხდა, ჰოდა, ადგა ბავშვი და წავიდა...

მარია. არა, ჯერ არა. დედამ ბავშვს უთხრა: „საყვარელო შვილო...“

კარლი. მე ავად ვარ...

მარია. და გარეთ გასვლა არ შემიძლია...“

კარლი. მისცა ფული და უთხრა: „წადი და შენთვის საუბზე მოიტანე“. აი, მოდის ერთი გლაზა.

მარია. ბავშვი წავიდა. წინ შემოხვდა ერთი მოხუცი, რომელიც იყო... აბა, განაგრძე, კარლ!

კარლი. რომელიც იყო... მოხუცი...

მარია. რა თქმა უნდა! მოხუცი ძლივს მოხანხალებდა... ბავშვს უთხრა: „საყვარელო ბავშვო...“

კარლი. მომეცი რამე, მეორე დღეა არაფერი მიჭამია“. და აი, ბავშვმა მისცა ფული...

მარია. რომელიც მას თავისი საუზმის საყიდლად სჭირდებოდა.

კარლი. მაშინ მოხუცმა უთხრა...

მარია. მაშინ აიყვანა მოხუცმა ბავშვი...

კარლი. ხელში და უთხრა... უცბად შარავანდედით მოსილ წმინდანად გადაიქცა და უთხრა: „საყვარელო ბავშვო...“

მარია. შენი ქველმოქმედებისათვის ღვთისმშობელი ჩემი საშუალებით გაჯილდოებს. რომელ სნეულსაც შეეხები...

კარლი. ხელით...“ აღბათ მარჯვენა ხელით, ხომ?

მარია. დიახ.

კარლი. „მაშინვე განიკურნება“.

მარია. გაიქცა ბავშვი შინისაკენ და ხმის ამოღებაც კი ვერ შესძლო სიხარულისაგან.

კარლი. მოეხვია დედას ყელზე და სიხარულისაგან ატირდა.

მარია. მაშინ დედამ უკებ წამოიყვია: „ეს რა მემართება! და გა... აბა, განაგრძე, კარლ!“

კარლი. და გა... და გა...

მარია. შენ ყურს აღარ მიგდებ! და განიკურნა. ამის შემდეგ ბავშვი ქურთავდა მეფეებსა და იმპერატორებს და ისე გამდიდრდა, რომ ერთი დიდი მონასტერი ააშენა.



ელისაბედი. ვეღარ მივმხვდარვარ, სად არის ჩემი ქმარი აქამდე. უკვე ხუთი დღეა, რაც გაემგზავრა, ის კი მალე ფიქრობდა თავისი საქმის მოთავებას.

მარიამ. მე უკვე დიდი ხანია ველავ. ასე მუდმივად ხიფათში ჩაყარდნისი ქმარი რომ შემხედეს, გათხოვების პირველ წელსვე გული გამისკდება.

ელისაბედი. მადლობა ღმერთს, რომ მე მაგარი გული მაქვს. კარლი. მაშ რატომ მიემგზავრება ხოლმე მამა, თუ ეს ასეთი სახიფათოა?

მარიამ. მას ასე ნებავეს.

ელისაბედი. იგი ვალდებულია, საყვარელო კარლ!

კარლი. რატომ?

ელისაბედი. იცი, რატომ გაემგზავრა მამაშენი, ამ ბოლო დროს, შენ რომ ფუნთუშები მოგიტანა საჩუქრად?

კარლი. ახლა კი აღარ მომიტანს?

ელისაბედი. რა თქმა უნდა. იცი, რაში ყოფილა საქმე?— ერთ შტუტპარტელ თერძს, რომელიც კარგი მსროლელი ყოფილა, შეჯიბრში პირველი ჯილდო აუღია.

კარლი. მაინც რამდენი, ბევრი?

ელისაბედი. ასი ტალერი. მაგრამ თურმე არ უნდოდათ, რომ მიეცათ.

მარიამ. ეს ხომ ნამდვილი საძაგლობაა, კარლ?

კარლი. საძაგელი ხალხი!

ელისაბედი. მაშინ მოვიდა თერძი მამაშენთან და სთხოვა, ფულის მიღებაში დამეხმარეო. ჰოდა, მამაშენი წავიდა, დაიჭირა ორი კელნელი ვაჭარი და მანამდე ჰყავდა დამწყვდეული, სანამ ფული არ გამოუგზავნეს. შენ კი არ წახვიდოდი, კარლ?

კარლი. არა! იქ ხომ კაცმა უღრან, უდაბურ ტყეზე უნდა გაიაროს, სადაც ბოშები და ჯადოქრები იმყოფებიან?

ელისაბედი. უკვე დიდი ბიჭი ხარ და ჯადოქრებისა კი გეშინია.

მარიამ. უფრო კარგს იზამ, კარლ, თუ შენს ციხე-დარბაზში იცხოვრებ, როგორც ღვთისმოსიში ქრისტიანი რაინდი. საკუთარ სამფლობელოშიც ჰპოვებს კაცი საკმაო შემთხვევას ქველმოქმედებისათვის. თვით პატიოსანი რაინდებიც კი თავიანთი მოგზაურობისას უფრო მეტ უსამართლობას სჩადიან, ვიდრე სამართლიანობას.

ელისაბედი. არც კი უფიქრდები, რა ლაპარაკობ, ჩემო დაო. ღმერთმა ქნას, ჩვენი ყრმა თავისი დროის მამაცი რაინდი გამოვიდეს და არ დაემგვანოს ვაისლინგენს, რომელიც ასე ვერაგულად ექცევა ჩემს ქმარს.

მარიამ. ამაზე ნუ ვიდავებთ, ელისაბედ. ჩემი ძმა ძალზე გაგულისებულა, ასევე შენც. მე კი მთელ ამ საქმეს უფრო მოწმესავე ვუტყერი და შემძლია მიუდგომელი ვიყო.

ელისაბედი. მისი გამართლება შეუძლებელია.

მარიამ. ყოველივე იმან, რაც მე ვაისლინგენზე მომისმენია, მის მიმართ თანაგრძნობა გამილევდა. განა თვითონ შენმა ქმარმა არ გვიამბო ამ რაინდზე ბევრი კარგი რაინდ? რა ბედნიერი იყო მათი ახალგაზრდობა, როდესაც ორივენი მარკგრაფის პაეები იყვნენ!

ელისაბედი. დაე ვერე იყოს! მაგრამ, აბა, ერთი მითხარ, როგორ შეიძლება კეთილი იყოს ის კაცი, ვინც უღალატებს თავის საუკეთესო, ერთგულ მეგობარს, ჩემი ქმრის მტერს მიჰყიდის თავის თავს და შეეცდება ცრუ, სულმდაბალი დაბეზლებებით თავის მხარეზე გადაიბიროს ჩვენი საყვარელი იმპერატორი, რომელიც ჩვენს მიმართ ასეთი მოწყალეა.

კარლი. მამა! მამა მოვიდა! გესმით მეციხოვნის საყვირის ხმა: „გასწი, გააღე კიშკარი!“

ელისაბედი. იგი ნადავლით დაბრუნდა.

შემოდის მხედარი.

მხედარი. ჩვენ უკვე ვინადირეთ! ნანადირევით დავბრუნდით! გამარჯობათ, ქალბატონებო!

ელისაბედი. ვაისლინგენი ხომ არ დაგიჭერიათ?

მხედარი. ის და მისი სამი მხედარი.

ელისაბედი. რა დაგემაართათ, ასე დიდხანს რატომ დაყოვნდით?

მხედარი. მას ნიურნბერგიდან ბამბერგისკენ მიმავალ გზაზე კლარაჯობდით, ის კი არ მოდიოდა. მაგრამ ჩვენ ვიცოდით, რომ იგი უკვე გამოემგზავრა. ბოლოს შევიტყვეთ, თურმე სხვა გზით წამოსულიყო და შვარცენბერგში არხინად იჯდა გრაფთან.

ელისაბედი. ალბათ სურდა, გრაფი ჩემი ქმრის წინააღმდეგ აემხედრებინა.

მხედარი. მაშინვე შევატყობინე ბატონს. წამსვე ცხენებს მოეხატით და გავქუსლეთ ჰასლახის ტყისკენ. გზაზე სასაცილო ამბავს წავაწყდით: ტყეში დაჭამებია მწყემსს და მის ფარას თავს

დასხმია ხუთი მგელი. მგლები ცხვრებს მუსრს ავლებდნენ. გაიცინა ჩვენმა ბატონმა და ვეითხრა: „ეს ჩვენთვის კარგის მომასწავებელი ნიშანია, ძვირფასო ამხანაგებო! ყველას საქმე კარგად ნიდის და ჩენიც ბედნიერად დაგვირგვინდება“. ამ კარგმა ნიშანმა ყველანი გაგვახარა. ამასობაში გამოჩნდა ვაისლინგენიც ოთხი მხედრის თახლებით.

მარია. მე უკვე გული მიკანკალებს.

მხედარი. მე და ჩემი ამხანაგი, ასე გვქონდა ბატონისგან ნაბრძანები, მაშინვე ყელში ვწვდით ვაისლინგენს, თითქოს ერთად გაზრდილი ვიყავით, მან კი განძრევაც ვერ მოახერხა. ბატონი და ჰანსი კი მხედრებს თავს დაესხნენ და ტყვედ ჩაიგდეს. მხოლოდ ერთი დაგვისხლტა ხელიდან.

ელისაბედი. ძალზე მაინტერესებს მისი ნახვა. მალე მოვლენ?

მხედარი. უკვე ველზე გამოვიდნენ; თხუთმეტ წუთში აქ იქნებიან.

მარია. ალბათ ძალზე შეწუხებულია.

მხედარი. საკმაოდ მოღუშული გამოიყურება.

მარია. რომ ვნახო, გული მეტკინება.

ელისაბედი. აჰ! ახლავე მოგიმზადებთ საჭმელს. პური მოგშივდებოდათ.

მხედარი. რა თქმა უნდა.

ელისაბედი. წაილე, მარია, სარდაფის გასაღები და საუკეთესო ღვინო ამოიტანე! ალაღია ამათზე.

(გადის.)

კარლი. მეც წამიყვანე, მამიდა!

მარია. წავიდეთ, ბიჭუნავ! (გაღიან.)

მხედარი. ეჰ, ეს ბავშვი თავის მამას არა ჰგავს, თორემ საჯინბოში გამოიმყვებიდა.

გიოცი, ვაისლინგენი. მხედრები.

გიოცი (აწყობს მაგიდაზე ხმალსა და ნუზარადს). გამიხსენით ჯავშანი და ჩემი კამზოლი მომეცით. რაც უფრო თავისუფლად ვიქნები, უკეთესია. მართალს ამბობდი, ძმაო მარტინ! — სული არ მოგვათქმევინეთ, ვაისლინგენ!

ვაისლინგენი (პასუხს არ აძლევს, დაიარება წინ და უკან).

გიოცი. გამხნევდით! მოიხსენით აბჯარი! სად არის თქვენი ტანსაცმელი? იმედი მაქვს, არაფერი დაიკარგებოდა. (მსახურს) და-

უძმზე მის მსახურებს, მოხსენით ბარგი და უყურეთ, არაფერი დაიკარგოს. შემოდია ჩემიც გათხოვით.

ვაისლინგენი. თავი დამანებეთ, ჩემთვის ახლა ყველაფერი სულ ერთია.

გიოცი. შემოდია მოგცეთ მშვენიერი, სუფთა ტანსაცმელი, თუკი ტილოსი კია. მე უკვე ვიწრო მომდის. ეს ტანსაცმელი მეცვა ჩემი მოწყალე ბატონის ფალცგრაფის ქორწილში. სწორედ მაშინ, როდესაც თქვენი ეპისკოპოსი ასე გაგულისდა ჩემზე. იმაზე უფრო კვირის წინ კი მაინც ჩავეუძირე ორი ნაფი. მახსოვს, ერთხელ ჰაიდელბერგში სამიქიტნო „ირემის“ კიბეებზე ავდიოდი ფრანც ფონ ზიკინგენტან ერთად. ამ კიბეებზე სანამ მალა ააღწევდეთ, არის ერთი რკინის მოაჯირიანი პატარა ბაქანი. სწორედ იქ იდგა ეპისკოპოსი და როდესაც ფრანცმა გვერდით გაუარა. ეპისკოპოსმა ხელი ჩამოართვა, შემდეგ კი მეც, როცა ეპისკოპოსს მიუახლოვდი. გულში გამეცინა, მივედი ლანდგრაფ ფონ ჰანაუელთან, რომელიც ძლიერ მიყვარდა, და ვუთხარი: „ეპისკოპოსმა ხელი ჩამოართვა, ნიძლევსა ვდებ, რომ მან ვერ მიცნო“. ეპისკოპოსმა ჩემი ნაძქვამი რომ გაიგონა, — მე ხომ ეს სიტყვები განგებ ხმამალა წარქოვთქვი, — ამაყად მოვიდა ჩვენთან და მითხრა: „ღიახ, მე, მართლაც, ვერ გიცანით და ამიტომ ჩამოგართვით ხელი!“ მე თვითონ მივხვდი, ბატონო ჩემო, რომ ვერ მიცანით, — მივუყე ეპისკოპოსს, — შეგიძლიათ თქვენი ხელისჩამორთმევა უკან დაიბრუნოთ! მაშინ ეს კაცუნა კიბოსაკით გაწითლდა სიბრაზით და შეკარდა ოთახში ფალცგრაფ ლუდვიგთან და თავად ნასაუელთან და შესჩილა ჩემზე. ამის შემდეგ ხშირად ვიგონებდით ამას და ვიცინოდით.

ვაისლინგენი. გთხოვთ, მარტო დამტოვოთ.

გიოცი. რატომ? დამშვიდდით, გეთაყვა. მართალია, ჩემს ხელში ხართ, მაგრამ ცუდს არაფერს გიზამთ.

ვაისლინგენი. ეგ არც მე მაშინებს. ეს ხომ თქვენი რაინდული მოვალეობაა.

გიოცი. თქვენ იცით, რომ ეს მოვალეობა ჩემთვის წმინდათაა.

ვაისლინგენი. მე ტყვე ვარ. დანარჩენი ჩემთვის სულ ერთია.

გიოცი. ასე ნუ ლაპარაკობთ. თქვენ რომ თავადებს ხელთ ჩაქარდნოდით, ბორკილს დაგადებდნენ, ჩაგადებდნენ ჯურ-

ღმულში და დარაჯების სტვენა არ მოგცემდა ძილისა და მოსვენების საშუალებას. (მსახურს ტანსაცმელი შემოაქვს, ვაისლინგენი ტანსაცმელს იცვლის.)

შემოდის კარლი.

კარლი. დილა მშვიდობისა, მამა!

გიოცი (ჰკონის შეილს). გაიზარდე, ჩემო პატარავ. აბა მითხარ, დრო როგორ გაატარე?

კარლი. ძალიან კარგად, მამა. მამიდაჩემი მეუბნება, ჭკვიანი ბიჭი ხარო.

გიოცი. მართლა?

კარლი. არაფერი მომიტანე?

გიოცი. ამჯერად არაფერი.

კარლი. მე კი ბევრი რამ ვისწავლე.

გიოცი. აჰა!

კარლი. გაიპზო გულკეთილი ბავშვის ამბავი?

გიოცი. სადილის შემდეგ.

კარლი. მე კიდევ რაღაცა ვიცი.

გიოცი. რა იცი?

კარლი. იაქსტაუზენი არის სოფელი და ციხე-კოშკი იაქსტაზე და უკვე ორასი წელია, რაც იგი ეკუთვნის ბატონ ბერლიხინგენებს მემკვიდრეობისა და საკუთრების კანონის ძალით.

გიოცი. შენ იცნობ ბატონ ბერლიხინგენს?

კარლი (უფრებს გაშტერებით).

გიოცი (თავისთვის). იგი მეტისმეტი განსწავლულობით თავის მამას ველარ იცნობს... ვის ეკუთვნის იაქსტაუზენი?

კარლი. იაქსტაუზენი არის სოფელი და ციხე-კოშკი იაქსტაზე.

გიოცი. მაგას არ გეკითხები. მე ვიდრე მდინარის, სოფლისა და ციხის სახელს გავიგებდი, უკვე ვიცოდი ყოველი ბალახი, ყოველი გზა და ყველა ფონი. დედა სამზარეულოშია?

კარლი. დიახ, მამიკო! დედა თეთრ თალგამს ხარშავს და ცხვრის ხორცს სწვავს.

გიოცი. შენ ეგვეც იცი, მზარეულო!

კარლი. მე კი მამიდამ დესერტად ვაშლი შემიწვა.

გიოცი. შეუწვავე ვაშლს არ მიირთმევ?

კარლი. შემწვარი უფრო გემრიელია.

გიოცი. შენ ხომ მუდამ განსაკუთრებული რაღაცეები უნდა მიირთვა. — ვაისლინგენ! ახლავე დაგბრუნდები. მეუღლე უნდა ვინახულო. წავიდეთ, კარლ!

კარლი. ვინ არის ეს კაცი?

გიოცი. მიესალმე და სთხოვე, გამხიარულდეს.

კარლი. ეი; ბიძია, გამხიარულდი! სადილი მალე მზად იქნება.

ვაისლინგენი (ხელში აიყვანს და ჰკონის). ბედნიერი ბავშვი! მის მხოლოდ ის აწუხებს, რომ სადილი არ დააგვიანონ. ღმერთმა ქნას, რომ მრავალი სიხარული მოგანიჭოს ამ ბავშვმა, ბერლიხინგენ!

გიოცი. სადაც დიდი ნათელია, იქ დიდი ჩრდილიცაა... მაგრამ მე ამაზეც თანახმა ვარ. აბა, წავიდეთ, ჩემო პატარავ, ერთი ენახოთ, იქ რას აკეთებენ. (გადიან.)

ვაისლინგენი. ო, ნეტავი ახლა ვიღვიძებდე, რომ ეს ყველაფერი სიზმრად მივიჩნო! ბერლიხინგენის ხელში! რომლისგანაც ძლივს გავთავისუფლდი, ვისი მოგონებაც კი თავზარსა მცემდა და რომლის დამარცხებასაც ასე ვიმედოვნებდი! ის კი ისევ ძველი, კეთილი გიოცია. წმინდაო ღმერთო, რითი დამთავრდება ეს ყველაფერი? აი, ისევ იმ დარბაზში ხარ, ადელბერტ, სადაც ჩვენ ბავშვობისას ვთამაშობდით... მაშინ შენ სულზე უტკბესად მიგაჩნდა გიოცი. ან ვის შეუძლია შეიძლოს იგი, თუ მასთან ოდესმე ყოფილა? ეჰ! ახლა მე აქ სრულიად უცხო ადგილას ვარ. გაჰქრა ის ბედნიერი დრო, როდესაც აქ, ბუხართან, იჯდა მოხუცი ბერლიხინგენი, ჩვენ კი მის ირგვლივ ერთად ვთამაშობდით და ანგელოზებით გვიყვარდა ერთმანეთი... როგორ შემოვთვლიან ეპისკოპოსი და ჩემი მეგობრები! ვიცი, მთელი ქვეყანა თანაგრძნობას გამოიხიციან ამ უბედურების ჟამს! მაგრამ ეს რას მიშველის! განა ისინი შესძლებენ იმის მოცემას, რისკენაც მე ვისწრაფი?

გიოცი (ხელში ღვინიანი ხელადითა და თასებით). სანამ სადილი მომზადდება, შეგვიძლია თითო გადავკრათ. მოდი, დაბრძანდით, ისე მოიქცით, თითქოს საკუთარ ოჯახში იყოთ. ისევ გიოცის სტუმრად წარმოიდგინეთ თავი. ჩვენ ხომ დიდი ხანია სუფრასთან ერთად აღარა ვმსხდარვართ, დიდი ხანია ღვინით სავსე ხელადა ერთად აღარ გამოგვიცლია. (მიაწვდის თასს.) გავიმარჯვოთ!

ვაისლინგენი. ის დრო წავიდა.

გიოცი. ღმერთმა დაიფაროს! თუმცა ისიც მართალია, რომ ველარ დაგბრუნებთ ისეთ მხიარულ ღლეებს, როგორც მარკ-

გრადის კარზე გაგვიტარებია. მაშინ ჩვენ სულ ერთად ვთამაშობდით და ერთმანეთს დავედევით კულში. სიხარულით ვიგონებ ჩემს ახალგაზრდობას. აღარ ვახსოვს, როგორ წავეჩხუბე ერთ პოლონელს, ხელჯავით რომ მივდექი მის კოხტად დავარცხნილსა და შეგლესილ კულულებს?

ვაისლინგენი. ეგ ხომ სადილობის დროს მოხდა, სუფრასთან რომ ვისხედით. ის კი მაშინვე დანით მოგვარდა.

გიოცი. ერთი რივიანად მიეტყუებ და თქვენც ამის გამო მის მეგობართან ჩხუბი მოგივიდათ. ჩვენ ყოველთვის ერთმანეთს ვეზხრობოდით, როგორც ეს პატიოსან და მამაც ჭაბუკებს შეჰყურით ხოლმე, სამაგიეროდ, ყველა პატივს გვცემდა. (ლენოს დაასხამს და მიაწვდის.) კასტორი და პოლუქსი! ყოველთვის მიხაროდა, როცა ჰერცოგი ამ სახელებით მოგვმართავდა ხოლმე.

ვაისლინგენი. ეს სახელები ეპისკოპოსმა ვურცბურგმა შეგვარქვა.

გიოცი. დიდად განსწავლული და ამასთანავე გულკეთილი, აღერსიანი ბატონი იყო. სანამ ცოცხალი ვარ, არ დამავიწყდება, როგორ გვეფერებოდა იგი, როგორ აქებდა ჩვენს ერთსულოვნებას და ბედნიერ ადამიანად თვლიდა იმას, ვისაც მეგობარი საკუთარ ძმისავეთ უყვარდა.

ვაისლინგენი. გთხოვთ შეწყვიტოთ, ნულარ იბსენებთ!

გიოცი. რატომაც არა? გარჯა-დაღლილობის შემდეგ ჩემთვის ისე სასიამოვნო არა არის რა, როგორც წარსულის მოგონება. მიხარია, როცა კიდევ გავიხსენებ, თუ როგორ ვიზიარებდით ერთმანეთის ჭირსა და ლხინს და ყველაფერი ვიყავით ერთმანეთისათვის. მე მაშინ მეგონა, რომ ეს ასე გაგრძელდებოდა მთელი ჩვენი სიცოცხლის მანძილზე! განა შენ არ იყავი მთელი ჩემი ნუგეში, როცა ლანდსჰუტის ბრძოლაში ეს ხელი ტყვიით გამიხვრიტეს? შენ არ დამტრიალებდი თავს და მივლიდი საკუთარ ძმაზე მეტად? მეგონა, ადელბერტი იქნებოდა ჩემი მომავალი მარჯვენა ხელი. მაგრამ ახლა...

ვაისლინგენი. ოჰ!

გიოცი. მაშინ რომ დამთანხმებოდი და ბრახანტში წამოყვოლოდი, ახლა ყველაფერი ძველებურად იქნებოდა. შენ აქ გაკავებდა სასახლის უბადრუკი ცხოვრება, გიყვარდა ქალებთან არშიყობა და კურკური. სულ იმას გეუბნებოდი, რომ თუ საქმეს დაიჭერ ქარაფშუტა, ბილწ დედაკაცებთან და მოუყვები მათ ჩაშლილ

ქორწინებაზე, შეცდენილ ქალიშვილებზე, ვილაცის კოჟრებსა თუ მრავალ სისულელეზე. რასაც ისინი ერთნაირი ხალისით ისმენენ ხოლმე, მაშინ შენც გაიძვერა იქნები-მეთქი. ადელბერტი, მე ხომ გეუბნებოდი ამას?

ვაისლინგენი. რა უნდა მითხრა ყოველივე ამით?

გიოცი. ღმერთი ხომ ნებადვს, ყველაფერს დავიწყებას მივცემდი, რომ ეს ასე არ იყოს. განა შენ წარმოშობით თავისუფალი და კეთილშობილი არ ხარ, როგორც ერთი ვინმე გერმანიაში? განა შენ დამოუკიდებელი არ ხარ, რომელიც მხოლოდ იმპერატორს ემორჩილები? მაშ რატომღა ეწერები ვასალების რიცხვში? რა გესაქმება ეპისკოპოსთან? ის, რომ იგი შენი მეზობელია და შეიძლება რაიმე გავნოს? განა შენ კი ხელები არა გაქვს და მეგობრები არა გყავს, რომ შენი გულისათვის შური იძიონ? არა, შენ დაგვიწყებია ღირსება თავისუფალი რაინდისა, რომელიც დასოკიდებულია მხოლოდ ღმერთზე, იმპერატორსა და თავის თავზე! შენ გადაქცეული ხარ თავნება, შურიანი ხუცესის მლიქვნელ კარისკაცად.

ვაისლინგენი. მეც მათქმევინეთ!

გიოცი. რა გაქვს სათქმელი?

ვაისლინგენი. შენ თავადებს ისე უყურებ, როგორც მგელი წყეუმებს. განა ისინი იმისათვის უნდა გააკიცხო, რომ თავიანთი ქვეშევრდომებისა და სამფლობელოების სიკუთხეს იცავენ? განა ისინი ერთი წამით მოსვენებული არიან უსინდისო რაინდებისაგან, რომელნიც ყოველ გზაჯვარედინზე თავს ესხმიან მათ ქვეშევრდომებს და სოფლებსა და ციხე-კოშკებს უოხრებენ? მეორეს მხრით, ჩვენი ძვირფასი იმპერატორის მიწები იმყოფება წყეული მტრის ხელში, ის თავის ქვეშევრდომებისაგან თხოულობს დახმარებას, მაგრამ მათ თავიანთი სიცოცხლის დაცვაც კი ძლივს შეუძლიათ. განა თავადებს კეთილმა სულმა არ შთააგონა, გამოსტყნონ საშუალება გერმანიის დასამშვიდებლად, სიმართლისა და კანონიერების აღსადგენად, რომ ყველა—დიდი თუ პატარა—დატყნეს მშვიდობის ნაყოფით? შენ კი, ბერლინჩენ, ჩვენ გვისაყვესურებ, რომ ვეძიებთ იმათ მფარველობას, რომელთა დახმარება ჩვენი უპირველესი მოვალეობაა, რადგან მისი უდიდებულესობა ჩვენგან შორს იმყოფება და მას თავის თავიც კი ვერ დაუტყავს.

გიოცი. დიახ! დიახ! მესმის! ეგ თავადები მართლაც რომ ისეთნი იყვნენ, როგორც შენ ამბობ, ვაისლინგენ, მაშინ ხომ ყველა-

ფერი გვექნებოდა, რაც ჩვენ ასე გვსურს. მშვიდობა და მყუდროება! მესმის. ეგ ხომ ყოველ მტაცებელ ფრინველსაც სურს, ნადავლი თავისუფლად რომ გადასანსლოს. საყოველთაო კეთილდღეობა! როგორ არა, ისინი ამაზე ზრუნვით თავს გაიცხელებენ! რა უღირსად ექცევიან, რარიგ ათამაშებენ ჩვენს იმპერატორს. მას კეთილი განზრახვა აქვს, მისწრაფება კი უფრო უკეთესი, მაგრამ, აი, ყოველდღე ცხადდება მასთან ახალ-ახალი ექიმბაში და ყველა თავის წამალს სთავაზობს. და რადგან ჩვენი იმპერატორი ყველაფერს სწრაფად ჰკიდებს ხელს,—საკმარისია ერთი თქვას და წამსვე ათასი ხელი მოვა მოძრაობაში,—იგი ფიქრობს, რომ ყველაფერს ასევე ერთი ხელის დაკვრით, ასევე ადვილად შეასრულებს. ბრძანება ბრძანებას მოსდევს და ისევ დავიწყებას ეძლევა ხოლმე; თავადები კი ხელს მაგრად ჩასკიდებენ იმას, რაც მათთვის სასარგებლოა, გუნდრუქს უკმევენ იმპერიის მშვიდობას და უშიშროებას და უმწოთა და მცირეთ კი ქუსლით სთელავენ. ყველაფერს გეფიცებით, ბევრი მათგანი გული გულში ღმერთს მადლობას სწირავს, რომ თურქი იმპერატორს ავიწროებს.

ვაისლინგენი. თქვენ ამ ამბავს საკუთარი არშინით ზომავთ. გიოცი. ყველა ასე იქცევა. საკითხავი კი ის არის, ვის მხარეზეა სიმართლე და სინათლე. თქვენ კი დღის სინათლის გეშინათ.

ვაისლინგენი. შეგიძლიათ ილაპარაკოთ... მე ხომ ტყვე ვარ. გიოცი. თუ თქვენი სინდისი სუფთაა, ახლავე თავისუფალი ბრძანდებით. მაგრამ როგორ იყო საქმე საყოველთაო მშვიდობის ხელშეკრულების დადების დროს? გახსოვს, ჯერ კიდევ თექვსმეტი წლის ბიჭი მარკგრაფთან ერთად რაიხსტაგის სხდომას დავესწარი. როგორ ვაპყვიროდნენ იქ თავადები, სასულიერო პირნი კი უფრო უარესად! თქვენმა ეპისკოპოსმა ყურები გამოუჭედა იმპერატორს სამართლიანობაზე ლაპარაკით. კაცი იფიქრებდა, სასწაული მომხდარა და სიმართლე ასე უცებ შეპყვარებიაო. ახლა კი მან ტყვედ ჩაიგდო საჭურველთმტვირთველი, იმ დროს, როცა ჩვენ უკვე შერიგებული ვიყავით და მასზე ცუდს აღარაფერს ვფიქრობდი. განა ყველაფერი გათავებული არაა ჩვენს შორის? რადღა უნდა მას ჩემი საჭურველთმტვირთველი?

ვაისლინგენი. ეგ ამბავი ეპისკოპოსს არც გაუგია. გიოცი. მაშ რატომ არ ანთავისუფლებს? ვაისლინგენი. ბიჭი ისე არ მოიქცა, როგორც მართებდა.

გიოცი. ისე არა, როგორც მართებდა? ძალმიძს დავფიცო, რომ იგი სწორედ ისე მოიქცა, როგორც უნდა მოქცეულიყო, და ეს ისევე მართალია, როგორც ის, რომ ბიჭი შეიპყრეს ეპისკოპოსისა და თქვენი ნებართვით. თქვენ ხომ არა გგონიათ, ახალდაბადებული ბავშვი ვარ და ვერ ვხედავ, ეს ყველაფერი საიდან გასომდინარეობს?

ვაისლინგენი. ექვიანობა უსამართლოსა გხდით, ბერლინინგენ.

გიოცი. შემძლია პირდაპირ, გულახდილად გიფხრათ, ვაისლინგენ? რაც არ უნდა პატარა ვიყო, მაინც ეკლად გესობით თვალში; ასევე ზიკინგენი და ზელბიცი, რადგანაც ჩვენ მტკიცედ გადავწყვიტეთ, რომ სჯობია დავიხოცნეთ, ვიდრე სიცოცხლეს ვინმეს ვუპაღლოდეთ გარდა ღმერთისა, და ვინმეს ერთგულად ვმსახურებდეთ გარდა იმპერატორისა. აი, ამიტომ მდარაჯობენ ისინი და დამოწიან ჩემს გარშემო, ამიტომ მცხებენ ჩირქს მისი უდიდებულესობის, მისი მეგობრებისა და ჩემი მეზობლების თვალში და ამიტომ დამდევენ ყოველგან, როგორც დაგეშილი მეძებრები. მათ სურთ გზიდან ჩამოშრილონ, რადაც არ უნდა დაუჯდეთ. ამიტომ შეიპყარით ჩემი მსახურიც, რადგან გაიგეთ, რომ იგი დასახვერად გამოგვხანე. იგი ისე არ მოიქცა, როგორც მართებდა. იმიტომ რომ თქვენში არ გამცვალა. და შენ კი, ვაისლინგენ, შენ იმათი იარაღი ხარ.

ვაისლინგენი. ბერლინინგენ! გიოცი. სიტყვა არ დასძრა! მე მძულს ყოველგვარი ახსნა-განმარტება, რადგან ეს იმას ნიშნავს. რომ ან თავის თავს იტყუებ და ან სხვას ატყუებ, უფრო მეტად კი ორივეს.

ქარლი (შემოდის). სუფრასთან წამობრძანდით, მამაჩემო! გიოცი. სასიამოვნოა!—წავიდეთ, იმედი მაქვს ქალთა საზოგადოება გაგამხნევეთ. წინათ თქვენ დიდი მოყვარული იყავით მათი და ქალიშვილებიც ხშირად საუბრობდნენ თქვენზე. წავიდეთ! (გადიან.)

**ეპისკოპოსის სასახლე ბამბერგში  
სასადილო ღამე**

ეპისკოპოსი ფონ ბამბერგი. აბატი ფონ ფულდა.  
ოლფარიუსი. ლიბეტრაუტი. კარისკაცები.

(სუფრასთან სხედან. შემოაქვთ დესერტი და ღვინო დიდი ოთხომებით.)

ეპისკოპოსი. ბევრი გერმანელი აზნაური სწავლობს ახლა ჩოლონიში?

ოლეარიუსი. აზნაურებიცა და უაზნონიც. ყოველგვარი გაზვიადების გარეშე რომ ვთქვათ, ისინი დიდ ქება-დიდებას იმსახურებენ. აკადემიაში უკვე ხშირად გაიგონებთ ასეთ გამოთქმას: „ბეჯითი, როგორც გერმანელი აზნაური“. როცა უაზნონი ცდილობენ, რომ ღირსსაქებარი ბეჯითობით და ნიჭით დაფარონ თავიანთი დაბალი წარმოშობა, აზნაურები მათთან ღირსსაქებარი შეჯობრებით მიისწრაფიან, მემკვიდრეობით გადმოცემული ღირსება აიმაღლონ ბრწყინვალე დამსახურებით.

აბატი. ოჰო!

ლიბეტრაუტი. თქვენ ეგა თქვით და, რა სასწაულს არ მოესწრება კაცი! „ბეჯითი, როგორც გერმანელი აზნაური!“ ჩემს დღეში ასეთი რამ არ გამიგონია.

ოლეარიუსი. დიახ, ისინი მთელ აკადემიას ანცივიფრებენ. ზოგიერთნი—ასაკით შედარებით უფროსნი და უფრო ნიჭიერნი—აქ დოქტორად მოგვეყვლინებიან. იმპერატორი კარგს იზამს, თუ მათ საუკეთესო ადგილებზე გამოიყენებს.

ეპისკოპოსი. მაგას ლაპარაკი აღარ უნდა.

აბატი. არ იცნობთ თქვენ ერთ ახალგაზრდა თავადს? ის ჰესენიდან არის.

ოლეარიუსი. ჰესენიდან იქ ბევრნი არიან.

აბატი. მას ჰქვია... ის არის... თქვენ არავინ იცნობთ? მისი დედა იყო... ოჰ! მამამისი ცალთვალა იყო... მარშალი.

ლიბეტრაუტი. ფონ ვალდენჰოლცი?

აბატი. დიხ, დიახ... ფონ ვალდენჰოლცი.

ოლეარიუსი. კარგად ვიცნობ, დიდად ნიჭიერი ახალგაზრდაა. განსაკუთრებით ძლიერია პაექრობაში.

აბატი. ეგ ნიჭი დედისაგან გამოჰყოლია.

ლიბეტრაუტი. ქმარი კი მას ასეთი ნიჭისათვის არასოდეს ქებას არ ასხამდა.

ეპისკოპოსი. როგორ სთქვით, რა ჰქვია იმ იმპერატორს, რომელმაც დაწერა თქვენი Corpus Juris?

ოლეარიუსი. იუსტინიანე.

ეპისკოპოსი. დიდებული მეფე ყოფილა. გაუმარჯოს!

ოლეარიუსი. საუკუნო ხსენება იყოს მისი! (სვამენ.)

აბატი. ალბათ შესანიშნავი წიგნია!

ოლეარიუსი. მას თავისუფლად შეიძლება ეწოდოს წიგნი ყოველთა წიგნთა. ყველა კანონთა კრებულია. ყოველი შემთხვევი-

სათვის განაჩენი მზადაა. რაც უკვე მოძველდა და ბუნდოვანი გახდა, მას ავსებენ და განმარტებებს ურთავენ სწავლულნი კაცნი, რითაც მთლად შეამკეს ეს შესანიშნავი თხზულება.

აბატი. ყველა კანონთა კრებული. ფუი, დალახვროს ღმერთმა! მას შიგ ათი მცნებაც იქნება შეტანილი.

ოლეარიუსი. Implicite, რა თქმა უნდა, explicite კი არა.

აბატი. მეც ასე ვფიქრობ, თავისთავად, ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე.

ეპისკოპოსი. ყველაფერზე მშვენიერი კი ის არის, რომ, როგორც თქვენ ამბობთ, სახელმწიფო, სადაც ამ კანონთა კრებულს შეიტანენ და დაცვენ ხელშეუხებლად, მტკიცე მშვიდობითა და მყუდროებით იქნება უზრუნველყოფილი.

ოლეარიუსი. უეჭველია.

ეპისკოპოსი. სამართლის დოქტორთა სადღეგრძელო იყოს!

ოლეარიუსი. დიდებულია! (სვამენ.) ღმერთმა ქნას და ჩემს სამშობლოშიც ასე ილაპარაკონ!

აბატი. საიდან ბრძანდებით, ფრიად განსწავლულ ბატონო?

ოლეარიუსი. მაინის ფრანკფურტიდან, თქვენო ღირსება!

ეპისკოპოსი. განა თქვენ იქ, ბატონებო, დიდ პატივს არ გცემენ? ასე რატომ ხდება?

ოლეარიუსი. პირდაპირ გასაოცარია. მე იქ ჩაფედი მამის მემკვიდრეობის მისაღებად, ბრბომ კი კინაღამ ჩამაქვავა, როცა შეიტყუეს, რომ იურისტი ვიყვი.

აბატი. ღმერთო, დაგვიფარე!

ოლეარიუსი. ეს კი იმიტომ ხდება, რომ მოსამართლეთა ადგილები ყველგან ისეთ ადამიანებს აქვთ დაკავებული, რომელნიც სრულებით არ იცნობენ რომის კანონებს. მათ ჰგონიათ, საკმარისია ქალაქის საშინაო და საგარეო მდგომარეობის ზუსტი ცოდნა, რაც დიდი ხნის ცხოვრებითა და გამოცდილებით აქვთ შეგებული, პოდა, ასე ასაპართლებენ მოქალაქეთ და გლეხებს ძველი ადგილებისა და რამდენიმე სტატუტის თანახმად.

აბატი. ეგ ხომ ძლიერ კარგია.

ოლეარიუსი. მაგრამ საკმარისი სრულებით არ არის. ადამიანის ხიციოცხლე ხანმოკლეა. ერთი თაობა ყველა ვითარებას ვერ დახსოვს, ჩვენი კანონთა წიგნი კი არის მრავალი საუკუნის მანძილზე მოძღვარ ვითარებათა გათვალისწინების მთლიანი კრებული. ამასთან, ადამიანის ნება და შეხედულება ძალზე მერყევიან.

რაც ზოგიერთს დღეს სამართლიანად ეჩვენება, ხვალ მეორეს არ მოსწონს. ამიტომაც არედარევა და უსამართლობა აუცილებელია. ყოველივე ამას კანონები უკეთ განსაზღვრავენ; კანონები უცვლელნი არიან.

აბატი. ეგ, რა თქმა უნდა, უკეთესია.

ოლეარიუსი. ბრბოს კი ეს არაფრად მიაჩნია; მას თუმცა ყოველ ახალ წესსა და ამავეზე ელევას სული, მაგრამ საშინლად ეზიზღება ისეთი სიახლე, რომელსაც მისი ძველი გზიდან გადაცდენა სურს, თუნდაც ბრბოსთვის ამას დიდი სიკეთე მოჰქონდეს. მათ სძულთ იურისტები, ვითარცა შფოთის თავი, როგორც ჯიბგირი, და პირდაპირ გაცოფდებიან ხოლმე, როცა იგი მათ შორის ცხოვრებას განიზრახავს.

ლიბეტრაუტი. მაშ თქვენ ფრანკფურტელი ბრძანდებით. მე იქ კარგად მიცნობენ. იმპერატორ მაქსიმილიანეს ტახტზე ასვლისას თქვენს საქმეებზე აღრე კარგად ჩავიგემრიელეთ პირი. თქვენ ოლეარიუსი გქვიათ? მე იქ ასეთი სახელი არ გამოიგონია.

ოლეარიუსი. მამაჩემს ოელმანი ერქვა. მაგრამ ძალზე უხერხული იყო ჩემს ლათინურ წერილებში ტიტული არ მიმეწერა და ამ უხერხულობის თავიდან ასაცილებლად ჩემი ღირსეული მასწავლებლებისადმი წაბაძვითა და მათი რჩევით დავირქვი ოლეარიუსი.

ლიბეტრაუტი. მშვენივრად მოქცეულხართ, თქვენი სახელი ლათინურად რომ გადაგიკეთებიათ. წინასწარმეტყველს თავის სამშობლოში არაფრად აგდებდნენ და ასევე დაგემართებოდათ თქვენც. საკუთარ დედაენაში.

ოლეარიუსი. ეგ არ იყო მიზეზი.

ლიბეტრაუტი. ყოველ საქმეს ორი მიზეზი გააჩნია.

აბატი. წინასწარმეტყველს თავის სამშობლოში არაფრად აგდებდნენ!

ლიბეტრაუტი. და იცით რატომ, წმინდაო მამაო?

აბატი. იმიტომ, რომ ის იქ დაიბადა და გაიზარდა.

ლიბეტრაუტი. მართალია. ეს ერთი მიზეზია. მეორე კი შემდეგი გახლავთ: როცა ამა თუ იმ ბატონს ძალზე დავუახლოვდებით, იგი მალე ჰკარგავს წმინდანობისა და ღირსების შარავანდედს, რომლითაც ნისლოვან სიშორეში გვხიბლავდა ხოლმე, და ქონის პატარა ნაღებილა შეგვგრჩება ხელში.

ოლეარიუსი. როგორც ჩანს, თქვენ ქეშმარიტების სათქმელად მოსულხართ.

ლიბეტრაუტი. რასაც ვფიქრობ, იმის სათქმელად სიტყვა არ შემომავლდება.

ოლეარიუსი. მაგრამ გამოთქმის ხელოვნება კი გაკლიათ, მგონი.

ლიბეტრაუტი. ეს ხელობა წურბელასაც აკლია, როცა ავადმყოფს სისხლსა სწოვს, მაგრამ კარგ საქმეს კი აკეთებს.

ოლეარიუსი. მექისეს ფეშტამალზე იცნობენ ხოლმე და მის ხელობას არაფერს ჰკილავს. თქვენ კი წინდახედულობისათვის კარგს იხმადით, რომ მასხარის ჩაჩს დაიხურავდეთ.

ლიბეტრაუტი. სად მიიღეთ სამეცნიერო ხარისხი? ამას ისე, მხოლოდ სხვათა შორის გეკითხებით, რომ ვიცოდეთ, ვის მივმართოთ, თუ ოდესმე მომესურვა მივიღო თქვენი რჩევა.

ოლეარიუსი. თქვენ ააფხედი ხართ!

ლიბეტრაუტი. თქვენ კი დიდი ბაქია ბრძანდებით. (ეპისოპოსი და აბატი იცინიან.)

ეპისკოპოსი. კმარა, კმარა! ასე ნუ გაცხარდით, ბატონებო. სუფრას ყველაფერი უხდება... სხვა თემაზე გადადით, ლიბეტრაუტი!

ლიბეტრაუტი. ფრანკფურტის მახლობლად მდებარეობს ერთი სამაღნი, საქსენჰაუზენს უწოდებენ...

ოლეარიუსი (ეპისკოპოსს). რას ამბობენ თურქეთის ლაშქრობაზე, თქვენო უსამღვდელოესობაზე?

ეპისკოპოსი. იმპერატორისათვის ახლა ყველაზე მნიშვნელოვანია ჯერ მშვიდობიანობა ჩამოაგდოს სახელმწიფოში. მოსკოვს განხეთქილებანი და განამტკიცოს მართლმსაჯულებისადმი პატივისცემა. ამის შემდეგ კი. ამბობენ, რომ იგი აღდგება იმპერიისა და ქრისტიანობის მტრების წინააღმდეგ. ახლა მას მრავალი საზრუნავი გამოსჩენია შინაურ მტრებთან და იმპერიას, მიუხედავად უკვე არსებული ორმოცი საყოველთაო საზავო ხელშეკრულებისა, ისევ უსამღვდელოების ბუნებად არის გადაქცეული. ფრანკონიის, შვაბიის, ზემო რაინისა და მისი მოსაზღვრე ქვეყნების ქედმაღალი და თავხედი რაინდები ქვეყანას აობობენ... ზიკინგენი, ცალფეხა ზელცი და რკინისხელიანი ბერლინგენი ამ ქვეყნებში სასაცილოდ იგდებენ იმპერატორის ძალაუფლებას.

აბატი. დიახ, თუ მისი უდიდებულესობა მათ წინააღმდეგ ზომებს მალე არ მიიღებს, ეგ ახალგაზრდები ჩვენამდეც მოაღწევენ.

ლიბეტრაუტი. ალბათ რომელიმე მათგანი ფულდის ღვინიან კასრამდეც მიიღწევს.

ეპისკოპოსი. განსაკუთრებით უკანასკნელი მათგანი დიდი ხანია ჩემი დაუძინებელი მტერია და საშინლად მაბეზრებს თავსა, მაგრამ, იმედი მაქვს, ეს დიდხანს აღარ გაგრძელდება. იმპერატორის რეზიდენცია ახლა აუგებულა. ჩვენ კი უკვე ზომები მივიღეთ და არავითარი მარცხი აღარ შეგვემთხვევა. თქვენ იცნობთ ადელბერტ ფონ ვაისლინგენს, ბატონო დოქტორო?

ოლეარიუსი. არა, თქვენო უსამღვდელოესობაე.

ეპისკოპოსი. თუ თქვენ დაელოდებით ამ კაცის ჩამოსვლას, კმაყოფილი დარჩებით უკეთილშობილესი, ყოვლად გონიერი და საყვარელი რაინდის ნახვით.

ოლეარიუსი. მართლა შესანიშნავი ვაჟაკი უნდა იყოს, რადგან მაგ ბაგეთაგან ამგვარი ქება დაიმსახურა.

ლიბეტრაუტი. აკადემიაში კი სულაც არ უსწავლია.

ეპისკოპოსი. ჩვენ ეგ ვიცით. (მსახურები მიზიან ფანჯარასთან.) რა მბავია?

მსახური. ფერბერი, ვაისლინგენის საქურველთმტვირთველი, სასახლის კიშკარში შემოვიდა.

ეპისკოპოსი. ნახეთ, რა ამბავი მოიტანა! იგი ვაისლინგენის ამბავს შეგვატყობინებს. (ლიბეტრაუტი გადის. დანარჩენები ფეხზე დგებიან და სვამენ. ლიბეტრაუტი დაბრუნდება.) რა ახალი ამბავი მოიტანე?

ლიბეტრაუტი. ნეტავი ეს ამბავი სხვას ეთქვა თქვენთვის. ვაისლინგენი ტყვედ ჩაუგდიათ.

ეპისკოპოსი. ოჰ!

ლიბეტრაუტი. ბერლინინგენმა ტყვედ ჩაიგდო იგი სამ აბჯროსანთან ერთად ჰასლახში. მეოთხე კი ხელიდან დაუხსლტა, რომ თქვენთვის ეს ამბავი ეცნობებინა.

აბატი. სამწუხარო ამბავია!

ოლეარიუსი. ძალზე ვწუხვარ.

ეპისკოპოსი. მინდა ეგ აბჯროსანი ვნახო. ზევით გამოგზავნეთ. მე თვითონ გამოვკითხავ. ჩემს კაბინეტში გამოგზავნეთ! (გადის.)

აბატი (ჯდება). ერთი ყლუპი კიდეც! (მსახურები ღვინოს ასხამენ.)  
ოლეარიუსი. არ ნებავეს თქვენს ღირსებას ბალში გაისეირნოს? Post coenam stabis seu passus mille meabis.

ლიბეტრაუტი. ნამდვილად, თქვენი ჯანმრთელობისათვის დიდად მავნებელია ჯდომა. დამბლა დაგეშართებათ. (აბატი ადგება. ლიბეტრაუტი თავისთვის.) ოლონდ გარეთ გასული გნახო და ქანცს გაგიწვიტ. (გადიან.)

### იამსტაჟუფინი

მარია. ვაისლინგენი.

მარია. თქვენ ამბობთ, რომ გიყვარვართ. ეგ მეცა მჯერა; ემიდოვებ, ბედნიერი ვიქნე თქვენთან ერთად და თქვენც გაგახედნიეროთ.

ვაისლინგენი. მხოლოდ ერთსა ვგრძნობ, რომ შენ გეკუთვნის ჩემი გული. (მოეხვევა.)

მარია. გთხოვთ გამიშვათ. მე ერთი კოცნა გიძღვენით წინასწარ; თქვენ კი ახლავე ცდილობთ დაეუფლოთ იმ საუნჯეს, რაც გერჯერობით მხოლოდ გარკვეული პირობით გეკუთვნით.

ვაისლინგენი. ძალზე მკაცრი ხართ, მარია. უმანკო სიყვარული ღმერთს მხოლოდ ახარებს, განა შეურაცხყოფს.

მარია. დაე ეგრე იყოს. მაგრამ მე ამგვარად როდი აღმზარდეს; მე მასწავლეს, რომ ალერსი ადამიანს ჯაჭვივით შეჰბორკავს თვამე, ხოლო შეყვარებული ქალიშვილები უფრო სუსტნი არიან, ვიდრე სამსონი, რომელმაც დაჰკარგა თავისი ხუჭუჭი თმა.

ვაისლინგენი. ეგ ვინ გასწავლა?

მარია. ჩემი მონასტრის ილუმენიამ. თქვენმეტ წლამდე მასთან ვიმყოფებოდი და მხოლოდ თქვენთან ვიგრძენი ის ბედნიერება, რომელზე ოცნებითაც მასთან საუბრის დროს ვტკებოდი. მას გამოცდილი აქვს სიყვარული და მსჯელობაც შეუძლია ამ საკითხზე, ო, რა გრძნობიერი გული ჰქონდა! მშვენიერი მანდილიანი იყო.



ვაისლინგენი. მაშ შენ გვკანებია. (ხელში აიღებს მის ხელს.) არ ვიცი, რა დამემართება, აქედან რომ წავალ.

მარია (ხელს გამოსტაცებს). მგონი ცოტა გავიჭირდებით, რადგან ვიცი, მე თვითონაც რა მომივა. მაგამ თქვენ უნდა გაემგზავროთ.

ვაისლინგენი. დიან, ჩემო უძვირფასესო, მეც მინდა გავემგზავრო. ვგრძნობ, რა ბედნიერებასაც მივალწევ ამ მსხვერპლის გაღებით. დაილოცოს შენი ძმა და ის დღე, როცა იგი ჩემს შესაპყრობად გამოემგზავრა!

მარია. ჩემს ძმას სრული იმედი ჰქონდა თავის თავისა და შენიც. მშვიდობით, მითხრა მან გამოთხოვებისას, ვნახოთ, იქნება ვაისლინგენი ისევ დავიბრუნო.

ვაისლინგენი. და დაიბრუნა კიდევაც. რარიგ მინდა, რომ ჩემი მამულ-დედულის გამგებლობა და უშიშროება ასე თავმინებებული არ იყოს, როგორც ახლაა, სამეფო კარზე საცოდავი ცხოვრების გამო. შენც მაშინვე ჩემი ცოლი გახდებოდი.

მარია. ლოდინსაც თავისი სიხარული გააჩნია.

ვაისლინგენი. მაგას ნუ ამბობ, მარია, თორემ შიში დამეფუფლება, დავეჭვდები, შენც ისე ძლიერ გიყვარვარ თუ არა, როგორც მე. დანაშაული ხომ გამოვისყიდე და ახლა ჩემს ყოველ ნაბიჯს წარმტაცი სიხარული უნდა მოჰყვეს, რომ მთლად შენით ვსუნთქავდე, ვტრიალებდე რჩეულ წრეში, მოვიცილდე, განვმორდე ქვეყანას და დავტრებ ნეტარებით, რომელსაც ანიჭებს ერთმანეთს ორი გული. რა არის მოწყალება თავადთა და ხალხის განაჩენი ამ ერთადერთ, ჭეშმარიტ ბედნიერებასთან შედარებით? მე ბევრ რამეზე მიფიქრია, მიოცნებია, მაგრამ ამან მთლად გადააქარბა ჩემს ყველა იმედსა და სურვილს.

შემოდის გიოცი.

გიოცი. თქვენი ბიჭი ისევ აქ არის. იგი ძლიერს ლაპარაკობდა შიმშილითა და დაღლილობით ქანცგაწყვეტილი. ჩემი ცოლი აქმეფს მას. რამდენადაც შესმის, ეპისკოპოსს არ ნებავს ჩემი მსახურის გამოშვება. მას სურს საიმპერიო კომისრების სხდომა დანიშნოს. ერთ დღეს დასხდნენ და საქმე განიხილონ. დაე იყოს ნება მისი! თავისუფალი ბოძანდებით, ადელბერტ. მე თქვენგან არაფერს არ მოვითხოვ, გარდა ვაჟაკური სიტყვისა, რომ ამიერიდან არც აშკარად და არც ფარულად ჩემს მტრებს არ აღმოუჩნთ დახმარებას.

ვაისლინგენი. აი, ჩემი ხელი. დაე ამ წუთიდან ნდობა და მეგობრობა ბუნების მარადიულ კანონთა მსგავსად ჩვენ შორის აღარასოდეს დარღვეულყოს. ნება მიბოძეთ, ხელთ ავიღო აგრეთვე ეს ხელიც (იღებს მარიას ხელს) ნაშნად ამ კეთილშობილი ქალწულის დაუფლებისა.

გიოცი. შემიძლია შენს მაგიერ ვუბასუხო: „დიან!“?

მარია. თუ თქვენც ჩემთან ერთად ამასვე იტყვიან.

გიოცი. პირდაპირ ბედნიერებაა, რომ ჩვენი ინტერესები ამჯერად ერთხანეთს ემთხვევა. ნუ წითლდები, შენი თვალები საქმარისი საბუთია. თანახმა ვარ, ვაისლინგენ! მიეცით ერთმანეთს ხელი და მეც წარმოვთქვამ — ამინ! ჩემო მეგობარო და ძმაო! გმადლობ, დაო ჩემო! შენ არა მარტო სელის რთვა შეგძლებია, არამედ ძაფის დაძახვაც ამ სამოთხის ჩიტის შესაპყრობად. რაღაც დარცხვენილი ხარ, ადელბერტ! რა დაგემართა? მე ძალზე ბედნიერი ვარ; ცხადად ვხედავ იმას, რაზეც მხოლოდ სიხმარში თუ ვიოცნებებდი და ჩემი თავი ისევ სიხმარში მგონია. ახლა ჩემი სიხმარი უკვე ახლა. წუხელ ვნახე, რომ მე ჩემი მარჯვენა რკინის ხელი გამოვიწოდე, შენ კი ისე მაგრად ჩამომართვი, რომ სამაგრიდან გამომივარდა, როგორც მომსხვრეული. შეშინებულს გამომეღვიძა. ახლა კიდევ რომ დავიძინებდე, სიხმრად ვნახავდი, თუ როგორ მთავაზობ ახალ, ნამდვილ ხელს. ახლავე გავემგზავრე და წესრიგში მოიყვანე შენი მამული და ციხე-დარბაზი. წყულ სასახლეში ცხოვრებამ ორივე მთლად გაგივერანა. ჩემს ცოლს უნდა დავუძახო. ელისაბედ!

მარია. ჩემი ძმა დიდად ბედნიერია.

ვაისლინგენი. მასთან ჯერ კიდევ სადაო მაქვს, თუ ჩვენს შორის ვინ არის უფრო ბედნიერი.

გიოცი. დიდებულად იცხოვრებ.

მარია. ფრანკონია კურთხეული ქვეყანაა.

ვაისლინგენი. მეც დავსძენ, რომ ჩემი ციხე-დარბაზი ძალზე მშვენიერ, დალოცვილ ადგილასაა აშენებული.

გიოცი. მაგას მეც ვადასტურებ. იქ მიდის მაინი, მის ნაპირებზე თანდათანობით მალდდება მთა, რომლის კალთები მთლად ქანებითა და ვენახებითაა დაფარული და რომელსაც გვირგვინით თავზე ადგას ციხე-დარბაზი, შემდეგ კი მდინარე სწრაფად უხევეს თქვენი ციხე-დარბაზის კედლების ძირში. დიდი დარბაზის

ფანჯრები პირდაპირ წყალს გადაჰყურებენ და იქიდან შეიძლება იტყვირო სულ შორს, შორს.

შემოდის ელისაბედი.

ელისაბედი. აქ რა ამბავი ხდება?

გიოცი. შენც ხელი ჩამოართვი და უთხარი: „ღმერთმა დაგლოცოთ!“ ისინი მომავალი ცოლი და ქმარი არიან.

ელისაბედი. ასე სწრაფად!

გიოცი. მაგრამ არცთუ მოულოდნელად.

ელისაბედი. ყოველთვის ისე გიყვარდეს მარია, როგორც ახლა, შეუღლების ქამს, და იყავით ასევე ბედნიერი.

ვაისლინგენი. ამინ! არც მე მსურს სხვა ბედნიერება.

გიოცი. ჩემო ძვირფასო მეუღლე, ჩვენი სასიძო ახლა მცირე ხნით გაემგზავრება, რადგანაც დიდ ცვლილებას მრავალი წერილმანის შეცვლა მოსდევს ხოლმე. იგი ჯერ განშორდება ეპისკოპოსის სასახლეს, რომ მათი მეგობრობა ნელ-ნელა გაგრილდეს. შემდეგ კი თავის მამულს ხელიდან გამოჰკლავს ანგარების-მოყვარე მოიჯარეებს. ახლა კი... წავიდეთ, ჩემო დაო, წავიდეთ, ელისაბედ! დავტოვოთ იგი მარტო. მისმა მსახურმა, უქვევლია, საიდუმლო ცნობები მოუტანა.

ვაისლინგენი. ისეთი არაფერი, რომ თქვენ ვერ გაგიზიარებთ.

გიოცი. საჭირო არაა. ფრანკონია და შვაბია. თქვენ ახლა ისე დამოყვრდით, როგორც ოდესღაც. ახლა კი თვალს დაუყურებთ, მორჩილებაში ვიყოლებთ თავკასულ თავადებს! (სამიწვინი გადაან.)

ვაისლინგენი. მამაო ზეციერო! რატომ განმიმზადე მე, უღირსს ასეთი იშვიათი ბედნიერება? ეს მეტისმეტია ჩემი გული-სათვის. როგორ შემეძლო დამოკიდებული ვყოფილიყავ საცოდავ ადამიანებზე, ვისზე მბრძანებლობასაც თვითონ ვფიქრობდი, დამოკიდებული ვყოფილიყავ თავადთა მზერაზე და ფარისევლურ ქება-დიდებაზე! გიოცი, ძვირფასო გიოცი! შენ მე საკუთარი თავი მაპოვნინე ისევ და შენ კი, მარია, დაასრულე ჩემი სულიერი გარდაქმნა. ფრინველივით თავისუფლად ვგრძნობ თავს. აღარ მსურს ბამბერგის ნახვა, მსურს დავწვიტო ეს სამარცხვინო ჯაჭვები, ასე რომ მიმდაბლებენ. უკვე ფართოვდება ჩემი გული. დიახ, ეს გულისმომწამელებელი მისწრაფება როდია მიუწვდომელი სიდიადისაქენ. ქეშმარიტად ბედნიერი და დიდი მხოლოდ ის არის, ვინც არც ბატონია და არც მონა.

შემოდის ფრანცი.

ფრანცი. გამარჯობა, თქვენო კეთილშობილება! იმდენი სალაში მოგიტანეთ, რომ აღარ ვიცი, საიდან დავიწყო. ბამბერგი და ათი მილის ირგვლივ მყოფი ნაცნობები გიგზავნიან უამრავ სალამს.

ვაისლინგენი. გაგიმარჯოს, ფრანცი! სხვა რაღა ამბავი მოიტიანე?

ფრანცი. სასახლის კარზე და ყველგან იმდენს ლაპარაკობენ თქვენზე, რომ მისი გადმოცემაც კი შეუძლებელია.

ვაისლინგენი. ეს დიდხანს აღარ გაგრძელდება.

ფრანცი. იქამდის, ვიდრე ცოცხალი ხართ, და სიკვდილის შემდეგაც თქვენი ხსოვნა იბრწყინებს უფრო ნათლად, ვიდრე სპილენძის ასოები საფლავის ქვაზე ყველას გული დასწყდა თქვენი უბედურების გამო.

ვაისლინგენი. რა სთქვა ეპისკოპოსმა?

ფრანცი. მას ისე სწყუროდა ყველაფერი გაეგო მალე, რომ თავისი აჩქარებული კითხვებით აღარც კი მაცლიდა პასუხი გასეცა. ცოტაოდენი რამ მან უკვე იცოდა; ფერბერს, ჰასლახთან რომ ხელიდან გაუსხლტა ბერლინინგენს, მიეტანა შენი ამბავი. მაგრამ ეპისკოპოსს ყველაფრის გაგება სურდა. შემფოთებული მკითხავდა თქვენზე, დაჭრილი ხომ არ არისო. მე ვუპასუხე, იგი ქოჩრიდან ფეხის ფრჩხილამდე მთელი და უვნებელია-მეთქი.

ვაისლინგენი. რა სთქვა მან წინადადებაზე?

ფრანცი. მას ჯერ მაშინვე სურდა ყველაფერი გაელო, საჭურველთმტვირთველიც და ფულიც, ოღონდაც კი გაენთავისუფლებინეთ. მაგრამ, როცა გაიგო, რომ თქვენ ამის გარეშეც განთავისუფლდებით და მხოლოდ თქვენი სიტყვა კმაროდა საჭურველთმტვირთველის ნაცვლად, გადაწყვიტა, პასუხი შეეყოვნებინა. ეპისკოპოსმა ათასი რამ დამავალა თქვენთვის გადმოსაცემად, მაგრამ ყველაფერი დამავიწყდა. ეს რაღაც გაუთავებელ ქადაგებას ჰგავდა, რომლის ძირითადი აზრი იყო: მე ვაისლინგენის გარეშე იოლას წასვლა არ ძალმიძსო.

ვაისლინგენი. მიეჩვევა როგორმე!

ფრანცი. ეს რას ნიშნავს? ეპისკოპოსმა მითხრა: ააჩქარე, ყველას ლოდინით გადაგველია გულიო!

ვაისლინგენი. დე მიცადოს! მე სასახლეში აღარ წავალ.

ფრანცი. არ წახვალთ? ბატონო ჩემო! ეს როგორ მოგაფიქრდათ? თქვენ რომ იცოდეთ, რაც მე ვიცი! დასიზმრებით შაინც რომ დაგსიზმრებოდათ, რაც მე ვნახე!

ვაისლინგენი. რა მოგივიდა?

ფრანცი. მარტო მოგონებთაც კი ქუაზე აღარა ვარ. ბამბერგი ის ბამბერგი აღარ არის. ქალის სახით მოვლინებულმა ანგელოზმა იგი სამოთხის კარიბჭედ გადააქცია.

ვაისლინგენი. მეტი არაფერი?

ფრანცი. ხუცესი ვიყო, თუ მისი ნახვით ქუა არ დაჰკარგოთ.

ვაისლინგენი. მერედა, ვინ არის ასეთი ქალი?

ფრანცი. ადელჰაიდ ფონ ვალდორფი.

ვაისლინგენი. აჰ, ფონ ვალდორფი! ბევრი რამ მსმენია მის სილამაზეზე.

ფრანცი. გსმენიათ? ეგ ხომ იგივეა, რომ თქვამთ მუსიკა ვნახეო. განა ენას შეუძლია გადმოსცეს მისი ჰარმონიული მშვენიერების თუნდ ერთი ხაზი? მისი ნახვის დროს ხომ კაცს პირდაპირ თვალთ უბნელდება.

ვაისლინგენი. შენ სრულ ქუაზე აღარა ხარ.

ფრანცი. შეიძლება. როცა იგი უკანასკნელად ვნახე. ნამდვილად მთვრალივით უგონო შევიქენი. ან უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვი—იმ წამს ისემა გრძობამ შემიპყრო, რასაც წმინდანები ზეციერ სულთა ხილვისას განიცდიან ხოლმე. სული ჩემი ამალდა, გრძობა გამისპეტაკდა, მაგრამ მთლად გავშტერდი.

ვაისლინგენი. უცნაურია.

ფრანცი. როდესაც ეპისკოპოსს ვეთხოვებოდი, იგი მასთან ჰადრავს თამაშობდა. ეპისკოპოსი ჩემდამი ისე მოწყალებულად შეიქნა, რომ ხელიც კი გამომიწოდა საამბორებლად და ბევრი რამ მითხრა, მაგრამ სრულიად არ მესმოდა. მე ხომ მასთან მჯდარ ასულს შევცქეროდი, ჰადრავის დაუას რომ დაჰყურებდა, თითქოს გადამწვეტ სვლას იგონებდა. დაძაბული ყურადღების გამო ბაგეთა და ლაშეთა გარშემო ხაზები ოდნავ უთრთოდა. აჰ, ნეტავ სპილოს ძვლის მეფე ვყოფილიყავ! შუბლზე კეთილშობილებისა და სათნოების ნათელი ედგა. ხოლო შავი ნაწნავები... რა რიგ ჩრდილს აყენებდა სახისა და მკერდის დამაბრძავეთელ ბრწყინვალეობას.

ვაისლინგენი. ყოველივე ამან შენ ნამდვილ პოეტად გადააქცია.

ფრანცი. დიახ, მე იმ წამს განვიცადე სწორედ ისეთი რამ, რაც ჩვენ პოეტებად გვაქცევს ხოლმე; გული ჩემი აღივსო მარტოოდენ გრძნობით! როდესაც ეპისკოპოსმა დამთავრა თავისი სიტყვა და მე თავი დავუქარი გამოთხოვების ნიშნად, მან შემომხედა და წარმოთქვა: „გადაეცი ჩემი სალამიც, უთხარი, მალე ჩამოვიდეს, აქ მას ახალი მეგობრები ელოდებიან. მან ისინი უყურადღებოდ არ უნდა დატოვოს, თუმცა ძველებითაც ასე მდიდარია“. მინდოდა მეპასუხა, მაგრამ გულს ენა აღარ დამორჩილა და მხოლოდ თავი დავუქარი. მთელ ჩემს ავლადიდებას შევწირავდი, ოღონდაც კი მის პატარა თითის წვერებს ვმთხვეოდი. ასე გაშტერებული რომ ვიდექი, ეპისკოპოსს დაწნა ძირს დაუვარდა; მე დაშნის ასაღებად დავიხარე და ოდნავ შევეხე მისი კაბის ქობას; უცებ რაღაცამ ელვასავით დამკრა და მთელ სხეულში დამიარა. აღარც კი მახსოვს, კარებამდე როგორ მოვალწიე.

ვაისლინგენი. მისი ქმარიც სასახლის კარზეა?

ფრანცი. უკვე ოთხი თვეა, რაც ადელჰაიდი დაქვრივდა. ახლა ბამბერგში ცხოვრობს, რომ გაერთოს, დარდი განიქარვოს. თქვენ მას ნახავთ. როდესაც იგი გიმხერთ, ასე გგონიათ, გაზაფხულის მზე დამყურებსო.

ვაისლინგენი. მისი ნახვა ჩემზე ეგრე ძლიერ არ იმოქმედებდა.

ფრანცი. გავიგე, თითქოს ჯვარს იწერდეთ.

ვაისლინგენი. მართალი გაგიგია. ნაზი მარია ჩემი ცხოვრების ბედნიერებაა. მისი ნეტარი სული მისსავე ლაჟვარდისფერ თვლებშია აღბეჭდილი. და მას, ცის ანგელოზივით შუქმოსილს, შექმნილს უმანკოებისა და სიყვარულისგან, ჩემი გული მიჰყავს სიმშვიდისა და ნეტარებისაკენ. მოისვენე ჩემთან! შემდეგ კი ჩემს ციხე-დარბაზში, ბამბერგს აღარ ვნახავ, თუნდაც თვითონ წმინდა ფაიტი გამოცხადდეს ჩემს წასაყვანად. (გადის.)

ფრანცი. ღმერთმა ნუ ქნას. უკეთესის იმედი უნდა ვიქონიო! მარია ნაზი და მშვენიერი ქმნილებაა და ავადმყოფ ტყვეს

ვერ ვუსაყვედურებთ, რომ იგი შეიყვარა. მის თვალბში ნუგეშია  
და ადამიანური მელანქოლია. მაგრამ შენსაში კი, ადელჰაიდ, სიყ-  
ვარული, ცეცხლი და სიმამაცე. მე რომ... არა, მე სულელი ვარ...  
მისმა ერთმა ხილვამ გონება შემირყა. ჩემი ბატონი იქ უნდა  
წავიდეს. მეც იქ უნდა წავიდე! ერთხელ კიდევ რომ ვნახო იგი,  
ან კკუას დაძიბრუნებს, ან მთლად გადამრეცს.

## მეორე მოქმედება

ბ ა მ ბ რ ზ ი

ღარბაზი

მკისკოპოსი და ადელჰაიდი თამაშობენ ჭადრაკს. ლიბეტრაუტი  
სანთურით. მანდილოსნები და კავალრები მათ ირგვლივ  
ბუხართან სხედან.

ლიბეტრაუტი (ჟკრავს და მღერის).  
ამური მოფრინდა  
თავისი მშვილდ-ისრით  
და წამსვე ისურვა  
ჩირალდნის ანთება,  
მამაცმა მებრძოლმა,  
ვაჟკაცმა სიმტკიცით,  
შეგვიპყრო, ან კი მას  
ვინ გაუმკლავდება?  
წუთიც არ  
გვაცალა,  
დაგვღალა,  
დაგვძალა!  
შეხედე მის კაპარჭს,—  
რარიგად კრიალებს!  
შეხედე ფრთებს ერთი,—  
დაქშუის, სრიალებს,  
შეხედე მის თვალებს,—  
ცეცხლივით ბრიალებს!  
ჰპოვა მან მკერდები  
ვაგლახ! მთლად შიშველი;

ხელში ავიყვანეთ, —  
წამს გეტყორცნა ისრები,  
არ ხუმრობს, ცეცხლს გვიჩენს,  
აწ ვინლა გვიშველის?  
მაინც ვეფერებით  
და მკერდზე ვისვენებთ.  
ჰაი აი ო!  
პოპეიო!

ადელჰაიდი. თქვენ დაკვირვებით არა თამაშობთ. ქიში მეფეს!

ეპისკოპოსი. კიდევ არის გამოსავალი.

ადელჰაიდი. დიდხანს ველარ გააგრძელებთ. ქიში მეფეს!

ლიბეტრაუტი. დიდი ბატონი რომ ვიყო, ამ ქადრაკს არ ვითამაშებდი, მთლად ავკრძალავდი მის თამაშს სასახლის კარზე და მთელ სახელმწიფოშიც.

ადელჰაიდი. მართალს ბრძანებთ, ეს თამაში გონების სასინჯი ქვაა.

ლიბეტრაუტი. მაგიტომ არა! მე უფრო სიამოვნებით მოვისმენდი ელვის ზარების გუგუნს და ყორნების ყრანტალს, ეზოს ძალთა გულისწამლებ ყუფას და ღმუილს, დიახ, უფრო სიამოვნებით მოვისმენდი ყოველივე ამას, თუნდაც ღრმა ძილში მყოფი, ვიდრე კუთა, მხედართა და სხვა მხეცთა გამუდმებულ შეძახილს: „ქიში მეფეს!“

ეპისკოპოსი. მერედა, ვის მოსდის თავში ამგვარი აზრი?

ლიბეტრაუტი. სახელდობრ იმას, ვინც სუსტია, მაგრამ სინდის-ნამუსიანი, — ასეთი თანხვედრა ხომ ძალზე ხშირია ხოლმე. ქადრაკს სამეფო სათამაშოს უწოდებენ და ამბობენ, ის რომელიც ხელმწიფისთვის გამოიგონეს და ამ ხელმწიფემ კი მისი გამოიგონებელი უხვად დააჯილდოვაო. თუ ეს მართალია, მგონია, თვალწინ მედგეს მე ის ხელმწიფე: უნდილი, მოუმწიფე-ბელი გონებით ან წლოვანებით. თავისი დედის ან მეუღლის მეურვეობაზე მყოფი, რომელსაც ბუმბულივით რბილი ღინღლი უფარავს ნიკაპს, ხოლო საფეთქლებს კი ქერა კულულები. იგი ტირიფის წკებლასავით იღუნება. უყვარს შაშის თამაშის დროს დამის გაყვანა და თამაში მანდილოსნებთან, მაგრამ არა ვნებათა გამო, ღმერთმა დაგვიფაროს! მარტოდენ დროის მოსაკლავად. მისი აღმზრდელი ძალზე საქმიანია, რომ მეცნიერი იყოს, და ძალზე

მოუქნელი საერისკაცოდ. In usum Delphini-ს თამაში გამოიგონა მსგავსი მისივე უდიდებულესობისა... და ასე შემდეგ.

ადელჰაიდი. შამათი! თქვენ უნდა შეავსოთ ჩვენი ისტორიული თხზულებების ხარვეზები, ლიბეტრაუტი. (აღგებან.)

ლიბეტრაუტი. ჩვენი ისტორიული თხზულებების ხარვეზთა შევსება სასარგებლო საქმე იქნებოდა, — მას შემდეგ, რაც ჩვენი წინაპრების დამსახურებას მათ პორტრეტებთან ერთად ერთი და იგივე მიზნისათვის იყენებენ, სახელდობრ, ისინი ავსებენ ჩვენი ოთახებისა და ჩვენი ხასიათის სიციარიელეს, — შეიძლებოდა რაიმეს ზიკეთება.

ეპისკოპოსი. მაშ თქვენ ამბობთ, რომ აქ მოსვლა არ ნებავს!

ადელჰაიდი. ამოიგდეთ, გეთაყვა, ეგ აზრი თავიდან.

ეპისკოპოსი. რა მიხეზი უნდა იყოს?

ლიბეტრაუტი. რა? მიხეზები შეიძლება კრიალოსნის მძიგებივით დავმარცვლოთ. იგი ჩავარდნილია საქმაოდ ცნობილ მძიმე. დამცირებულ მდგომარეობაში, საიდანაც მე ადვილად გამოვიყვანდი.

ეპისკოპოსი. კარგს იზამთ, გეთაყვა. ახლავე გაემგზავრეთ მასთან!

ლიბეტრაუტი. ჩემი რწმუნებულება?

ეპისკოპოსი. განუსაზღვრელია. არაფერს დავზოგავ, ოღონდ აქ მოიყვანეთ იგი.

ლიბეტრაუტი. შემიძლია ამ საქმეში თქვენც გაგრიოთ, ქალბატონო?

ადელჰაიდი. ოღონდ ფრთხილად, ზომიერად.

ლიბეტრაუტი. ძალზე ძნელი დავალებაა.

ადელჰაიდი. განა თქვენ მე ისე კარგად არ მიცნობთ, ანდა ისეთი პატარა ხართ, რომ არ იცოდეთ, როგორი ტონით ილაპარაკოთ ვაისლინგენტან ჩემზე?

ლიბეტრაუტი. იმ სალამურის ტონით, მწყურების მისატყუებლად რომ უკრავენ ხოლმე.

ადელჰაიდი. თქვენ ჭკუაზე არასოდეს არ მოხვალთ.

ლიბეტრაუტი. განა ეგეთი რამ საერთოდ შესაძლებელია, ქალბატონო?

ეპისკოპოსი. გასწით, გასწით! გამოიყვანეთ ჩემი საჯინი-ხოდან საუკეთესო ცხენი, აირჩიეთ რამდენიმე მსახური და აქ მომგვარეთ იგი.

ლიბეტრაუტი. თუ აქ ვერ შემოვიტყუეთ, მაშინ თქვით, იმ ბებერ დედაკაცს, მეტეპებსა და ქორფლს რომ არჩენს, უფრო მეტი ესმის ზელოცვისა, ვიდრე მე.

ეპისკოპოსი. ეგ რას გვიშველის! ბერლიხინგენმა იგი მთლად მოხიბლა. თუნდაც მოვიდეს, მაშინვე წასვლას მოისურვებს.

ლიბეტრაუტი. მოსურვებით კი მოისურვებს, მაგრამ შეიძლება? თავადის ხელის ჩამორთმევა და მშვენიერი ქალის ღიმილი! მათ ვერავითარი ვაისლინგენი ვერ გაეჭყევა. მე მივიჩქარი. მაპატიეთ.

ეპისკოპოსი. ბედნიერად გემგზავროთ!  
ადელჰაიდი. მშვიდობით! (ლიბეტრაუტი გადის.)

ეპისკოპოსი. ოღონდაც მოვიდეს და მერე იმედს თქვენზე ვამყარებ.

ადელჰაიდი. გსურთ მახედ გამომიყენოთ?  
ეპისკოპოსი. არა, როგორ გეკადრებათ!

ადელჰაიდი. მაშ მისატყუებელ ჩიტად?  
ეპისკოპოსი. არა. მაგ როლს ლიბეტრაუტი ითამაშებს.

მე გთხოვთ უარი არ მითხრათ იმაზე, რის გაკეთებაც თქვენს გარდა არავის შეუძლია.

ადელჰაიდი. ვნახოთ...

### იასტაპაუფენი

ჰანს ფონ ზელბიცი. გიოცი.

ზელბიცი. ყველა მოიწონებს თქვენს ნაბიჯს, ნიურნბერგელებს რომ აშკარა ომი გამოუცხადეთ.

გიოცი. ვერ მოვისვენებდი, მათ ვალში რომ დავრჩინილიყავი; დღესავით ნათელია, მათ ჩაუგდეს ხელში ბამბერგელებს ჩემი საჭურველთმტვირთველი. ახლა მომიგონებენ!

ზელბიცი. ისინი დიდი ხანია გემტერებიან.

გიოცი. მე კი მათ ვემტერები. ჩემთვის ძალზე ხელსაყრელია, რომ მათ პირველებმა დაიწყეს.

ზელბიცი. იმპერიის ქალაქები და ხუცესები მუდამ ერთსულოვნად მოქმედებენ.

გიოცი. საამისო მიზეზიცა აქვთ.

ზელბიცი. ჩვენ მათ ცხელ დღეს დავაყრით.

გიოცი. თქვენი იმედი მაქვს. თუ ღმერთმა ქნა და ნიურნბერგის ბურგომისტრი, ყელზე ოქროს ჯაჭვჩამოკიდებული, ხელთ ჩავგივარდა, პირდაღებული დარჩება, თავისი გონებაგამქრიახობის მიუხედავად.

ზელბიცი. გავიგე, ვაისლინგენი ისევ თქვენს მხარეზე გადმოსულა. ხომ შეგვიერთდება?

გიოცი. ჯერ არა. ზოგიერთ მიზეზთა გამო, ის ჯერ აშკარად ვერ დაგვიჭერს მხარს, მაგრამ ჯერჯერობით ისიც საკმარისია, ჩვენი მოწინააღმდეგე რომ არ იქნება. ხუცესი კი ვაისლინგენის გარეშე იგივეა, რაც ანაფორა უხუცესოდ.

ზელბიცი. როდის გავემგზავრებით?

გიოცი. ხვალ ან ზეგ. ფრანკფურტის ბაზრობაზე მალე გავემგზავრებიან ბამბერგისა და ნიურნბერგის ვაჭრები. კარგა ბლომად დავიჭერთ თევზსა.

ზელბიცი. ღმერთმა ინებოს.

### ბამბერგი. ადელჰაიდის ოთახი

ადელჰაიდი. მთახლე.

ადელჰაიდი. მაშ ამბობ, რომ იგი აქ არის? რაღაც არა მჯერა.

მთახლე. ჩემი თვალით რომ არ მენახა, მეც დავეჭვდებოდი.

ადელჰაიდი. ეპისკოპოსმა ოქროებით ყელამდე უნდა ააფსოს ლიბეტრაუტი. დიდებული საქმე გააკეთა.

მთახლე. მე ვნახე ვაისლინგენი, როცა ჩვენი ციხე-დარბაზისკენ მოემართებოდა, იგი თეთრ რაშზე იჯდა. როგორც კი ხიღს მოადგა, ცხენი განზე გახტა და ადგილიდან აღარ იძროდა. ხალხი ყველა ქუჩიდან გამორბოდა მის სანახავად. უხაროდათ, ცხენი რომ ასე გაჯიუტდა. ყველა მხრიდან ესალმებოდნენ და თვითონაც ყველას მაღლობას უხდიდა. ასე მშვიდად და დიდებულად იყო ამხედრებული უნაგირზე, ვიდრე ალერსითა და დაშინებით ცხენი ქიშკრისაკენ არ წაიყვანა. მას უკან გაჰყვინ ლიბეტრაუტი და რამდენიმე აბჯროსანი.

ადელჰაიდი. როგორ მოგეწონა?

მთახლე. ჯერ არც ერთი მამაკაცი არ მომწონებია ასე. პირდაპირ იმპერატორსა ჰგავს, (მიუთითებს მაქსიმილიანეს პორტრეტზე) თითქოს მისი შვილი იყოს. ოღონდ ცხვირი ცოტა პატარა აქვს. ისეთი ალერსიანი, თაფლისფერი თვალები, ისეთი მშვენიერი ქერა თმები აქვს, რომ... აღნაგობით კი სულ დედოფალს ჰგავს. სევდამორეული ჩრდილი გადაჰკროდა სახეზე—არ ვიცი, რის გამო, მაგრამ ძლიერ მომეწონა.

ადელჰაიდი. ძალზე მინტერესებს მისი ნახვა.  
მოახლე. აი, ის იქნებოდა თქვენი შესაფერისი ქმარი.  
ადელჰაიდი. სულელო!  
მოახლე. ბავშვები და სულელები...

(შემოდის ლიბეტრაუტი.)

ლიბეტრაუტი. აბა, ქალბატონო, რა ჯილდოს ვიმსახურებ ახლა?

ადელჰაიდი. ცოლმა რომ რქები დაგადგას! რადგან ამ შემთხვევის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ბევრი მახლობლის პატიოსანი მეუღლე უნდა გყავდეთ თავისი მოვალეობიდან გადაცდენილი.

ლიბეტრაუტი. არა, ქალბატონო, თქვენ ალბათ გინდოდათ გეთქვათ: „ქეშმარიტ გზაზე დაბრუნებული“, რადგან თუ ასეთი რამე მომხდარა, მომხდარა მისივე საქორწინო სარეცელზე.

ადელჰაიდი. როგორ მოახერხეთ ვაისლინგენის მოყვანა?

ლიბეტრაუტი. თქვენ მშვენივრად იცით. თუ როგორ იქერენ ლალღებს. განა საჭიროა გასწავლოთ ჩემი ხერხი? ჯერ თავი ისე მოკაზმენ. თითქოს არაფერი ვიცოდით, არა მესმოდა რა მისი საქციელია და მისსავე საზიანოდ თვითონვე ვაამბობინე მთელი ისტორია, რომელსაც სულ სხვა თვალსაზრისით შევხედე და არა ისე, როგორც იგი უყურებდა: თითქოს ვერ გავიგე, ვერ მივხვდი და ასე შეძდეგ. მეურ ბამბერგზე მოუწყვევი ყველაფერი ერთმანეთზე მიკოლებით, მნიშვნელოვანი თუ უმნიშვნელო, გავუღვიძე ზოგიერთი ძველი მოგონება და, როგორც კი დავიპყარი მისი ფიქრები, უამრავი წვრილი ძაფი, რომელიც უკვე გაწყვეტილი იყო, მაგრად შეკვარი ისევ. ის ვერც კი მიხვდა, რა მოუვიდა, მაგრამ სურდა თუ არა სურდა, ბამბერგი მაინც იზიდავდა. როდესაც ღრმა საკონტენტს მიეცა, ცდილობდა ყოველივე ამაში გარკვეულიყო და თავის თავზე ფიქრით მეტად გაერთო; რომ საკუთარი თავისთვის მეტი ყურადღება მიექცია, ძე მაშინვე გავხვიე სამყურადიან ქამანდაში, რომელიც თავადური მოწყალების, ქალური მწყალობლობისა და ცბიერებისაგან არის დაკრებილი, და ასე მოვათრიე აქ.

ადელჰაიდი. რა უთხარით ჩემზე?

ლიბეტრაუტი. სრული სიმართლე. თქვენ აწეწილ-დაწეწილი გაქვთ უძრავ მოძრავი ქონების საქმეები და იმედი უნდა იქონიოთ, რომ ვაისლინგენი, იმპერატორზე თავისი დიდი გავლენის მეოხებით, მათ ადვილად მოავგარებს.

ადელჰაიდი. საუტხოოა.

ლიბეტრაუტი. ეპისკოპოსი მას თქვენთან მოიყვანს.

ადელჰაიდი. მე ვუცდი მათ (ლიბეტრაუტი გადის.) ისეთი გრძნობით, როგორითაც იშვიათ სტუმრებს მოვლიან ხოლმე.

### შპსპარტში

ბერლინინგენი. ზელბიცი. გეორგი, მხედრის სატურვლით.

გიოცი. ველარ მიუსწარი, გეორგი?

გეორგი. ჩემს მისვლამდე ერთი დღით ადრე გამგზავრებული ბამბერგში ლიბეტრაუტთან ერთად, ორი საქურველმტვირთველის თანხლებით.

გიოცი. არ მესმის, ეს რას ნიშნავს.

ზელბიცი. მე კი კარგად მესმის. თქვენი შერიგება ძალზე ნაჩქარევი იყო იმისათვის, რომ იგი მტკიცე გამომდგარიყო. ლიბეტრაუტი გაქნილი ყმაწვილია და შეაცდინა იგი.

გიოცი. მაშ ფაქრობ, რომ იგი გვიღალატებს?

ზელბიცი. პირველი ნაბიჯი უკვე გადადგმულია.

გიოცი. არა მგონია. ვინ იცის, რად დასჭირდა სასახლეში წასვლა? ჯერ კიდევ მოვალეა მისი. უკეთესის იმედი უნდა ვიქონიოთ.

ზელბიცი. ღმერთმა ქნას, რომ იგი ამას იმსახურებდეს.

გიოცი. ერთი ეშმაკობა მომივიდა თავში. გეორგს ბამბერგელი მხედრის კამზოლი ჩავაცვათ და საზვი მივცეთ, რომ ბამბერგში გაემგზავროს და გაიგოს, როგორაა საქმე.

გეორგი. მე ხომ დიდი ხანია ამას ველი.

გიოცი. ეს იქნება შენი პირველი გათარეშება! გული შეტკინება, რაიმე უიედურება რომ შეგემთხვეს.

გეორგი. შემემთხვეს ოღონდ! რაც არ უნდა ბევრი ხიფათი დამარცხდეს თავს, კატების ჩხავილი და თავგების წრუწუნი მგონება. (გადის.)

### ბამბერგი

ეპისკოპოსი. ვაისლინგენი.

ეპისკოპოსი. მაშ არ გსურს დარჩე?

ვაისლინგენი. ნუ მოითხოვთ, ფიცი გავტებხო.

ეპისკოპოსი. მე შემეძლო მომეთხოვნა, რომ არ შეგეფიცა. რა ძალამ შეგიპყრო? განა ამის გარეშე კი ვერ გავანთავისუფლებდი? ასე პატარა გავლენა მაქვს იმპერატორის სასახლეში?

4. ი. ვ. გოეთე

ვაისლინგენი. ეს უკვე მოხდა. თუ ძალგიძთ, შემიხედეთ.  
ეპისკოპოსი. არ მესმის, რამ გაიძულათ, ასეთი ნაბიჯი  
რომ გადადგით! მე განმიდევით! განა სხვა ათასგვარი შესაძლებ-  
ლობა არ არსებობდა თქვენს გასანთავისუფლებლად? განა ჩვენ  
ხელთ არ გყავდა მისი საჭურველთმტვირთველი? განა მე იმდენ  
ფულს ვერ გავცემდი, რომ გიოცი დამეკმაყოფილებინა? ამასობაში  
კი ბრძოლას განვაგრძობდი გიოცისა და მის თანამზრახველთა წი-  
ნააღმდეგ... ოჰ, მე დამავიწყდა, რომ ვლამპარაკობ მის შეგობარ-  
თან, რომელიც ახლა ჩემს წინააღმდეგ მოქმედებს და ადვილად  
ძალუძს გააუფნებლოს ის ნაღმები, თვითონვე რომ ჩააწყოს.

ვაისლინგენი. თქვენო უსამღვდელოესობავ!  
ეპისკოპოსი. და მაინც, როდესაც კვლავ შენს სახეს ვუმ-  
წერ, შენს ხმას ვისმენ... ეს მე პირდაპირ ვერ წარმომიდგენია,  
რალაც შეუძლებლად მეჩვენება.  
ვაისლინგენი. მშვიდობით, თქვენო უსამღვდელოესობავ!  
ეპისკოპოსი. დაე თან წაგყვეს ჩემი ლოცვა-კურთხევა. წი-  
ნათ, როდესაც მიდიოდი, გეუბნებოდი: ნახვამდის, ახლა კი გეტყ-  
ვა—ღმერთმა ქნას, რომ ერთმანეთი ველარასოდეს ველარ ვნახოთ.

ვაისლინგენი. ბევრი რამ შეიძლება შეიცვალოს.  
ეპისკოპოსი. სამწუხაროდ, ძალზე ბევრი რამ შეიცვალა  
უკვე. შეიძლება ისეც მოხდეს, რომ ჩემი ციხე-დარბაზის კედლებ-  
თან გიხილო, როგორც მტერი, რომელიც აოხრებ იმ ველ-მინდვ-  
რებს, ახლა რომ შენი წყალობით ჰყვავიან.

ვაისლინგენი. არა, ბატონო ჩემო!  
ეპისკოპოსი. შენ მაგისი თქმა არ შეგიძლია. ერის მეუ-  
ფენი, ჩემი მეზობლები კბილებს ილესავენ ჩემზე. სანამ თქვენ  
მყავდით... წადით, ვაისლინგენ! მე აღარაფერი მაქვს თქვენთან  
სათქმელი. თქვენ ხომ ბევრი რამ ცუდი გააკეთეთ. წადით!  
ვაისლინგენი. აღარ ვიცი, რა ვთქვა. (ეპისკოპოსი გადის.)

შემოდის ფრანცი.

ფრანცი. ადელჰაიდი გელოდებათ, შეუძლოდ გახლავთ, მაგ-  
რამ გამოუმშვიდობებლად თქვენი გაშვება მაინც არ სურს.  
ვაისლინგენი. წავიდეთ.  
ფრანცი. მაშ ნამდვილად მივდივართ?  
ვაისლინგენი. ამ საღამოსვე.  
ფრანცი. ასე მგონია, თითქოს სიცოცხლეს ვეთხოვებოდე.  
ვაისლინგენი. მეც, და თან არც ის ვიცი, ამის შემდეგ  
საით წავალ.

ადელჰაიდის ოთახი

ადელჰაიდი. მოახლე.

მოახლე. ფერმკრთალი ბრძანდებით, ქალბატონო.  
ადელჰაიდი. მე არ მიყვარს ვაისლინგენი, მაგრამ მაინც  
მინდა, რომ დარჩეს. შემეძლო მასთან მეცხოვრა, თუმცა არა  
მსურს ახლავე გავყვე ცოლად.  
მოახლე. თქვენ გგონიათ, რომ იგი წავა?  
ადელჰაიდი. ეპისკოპოსთან წავიდა გამოსამშვიდობებლად.  
მოახლე. ამის შემდეგ უფრო მძიმე მდგომარეობაში ჩა-  
ვარდება.  
ადელჰაიდი. ეგ რაზე სთქვი?  
მოახლე. რატომ მეკითხებით, ქალბატონო? თქვენ მისი  
გული ანკესზე წამოაგეთ და, თუ ახლა თავის დაღწევას შეეცდება,  
სისხლისგან მთლად დაიცილება. (მოახლე გადის.)

შემოდის ვაისლინგენი.

ვაისლინგენი. შეუძლოდ ბრძანდებით, ქალბატონო?  
ადელჰაიდი. ეს თქვენთვის სულ ერთი უნდა იყოს; თქვენ  
გეტოვებთ, სამუდამოდ გეტოვებთ. რალად კითხულობთ, ცოცხ-  
ლები ვართ თუ სული ამოგვდის?  
ვაისლინგენი. თქვენ მე ვერ მიცნობთ.  
ადელჰაიდი. მე თქვენ იმ სახით გიცნობთ, რა სახითაც  
ამჟღავნებთ საკუთარ თავს.  
ვაისლინგენი. გარეგნული გამომეტყველება გვატყუებს  
ხოლმე.  
ადელჰაიდი. მაშ ქამელეონი ბრძანდებით?  
ვაისლინგენი. თქვენ რომ ჩემს გულში ჩახედვა შეგეძლოთ!  
ადელჰაიდი. მშვენიერ რამეს კი ნახავდნენ ჩემი თვალები.  
ვაისლინგენი. რა თქმა უნდა. თქვენ საკუთარ სახეს ნა-  
ხავდით მასში.

ადელჰაიდი. უსათუოდ რომელიმე კუთხეში, გარდაცვლილი  
ნათესავეების პორტრეტთა გვერდით. გთხოვთ, არ დაივიწყოთ,  
ვაისლინგენ, რომ მე მელამპარაკებით. ყალბ სიტყვებს ფასი მხო-  
ლოდ მაშინ აქვს, თუ ამ სიტყვებით ჩვენი საქმეებია შენიღბული.  
ნიღბოსანი, რომლის ცნობა შეიძლება, საცოდავ როლს თამაშობს.  
თვითონვე არ უარყოფთ თქვენს მიერ ჩადენილ მოქმედებას და



მის საწინააღმდეგოს კი ლაპარაკობთ. არა, რა უნდა იფიქროს  
კაცმა თქვენზე?

ვაისლინგენი. რაც თქვენი ნებაა. რაცა ვარ, იმიტაც ისე  
გაეწამდი, რომ სულაც არ მეშინია, თუ კაცი რას იფიქრებს  
ჩემზე.

ადელჰაიდი. თქვენ მოხვედით გამოსამშვიდობებლად.

ვაისლინგენი. ნება მიბოძეთ, ხელზე გეამბოროთ და გითხ-  
რათ: „მშვიდობით!“ დროზე გამახსენეთ! თვითონ ვერც კი მო-  
ვიფიქრებდი... ძალიან ტლანქი, თავმომაბეზრებელი ვარ, ქალბა-  
ტონო!

ადელჰაიდი. ვერ გაიგეთ ჩემი სიტყვები: მსურდა წასვ-  
ლაში დაგხმარებოდით. თქვენ ხომ წასვლა გნებავთ?

ვაისლინგენი. ო, უკეთესია სთქვათ: ვალდებული ხარ-თქო,  
ჩემი რაინდული მოვალეობა და წმინდა აღთქმა რომ არ მაიძუ-  
ლებდეს...

ადელჰაიდი. კმარა! კმარა! ეგ იმ გოგონებს მოუყევი, რო-  
მელიც წიგნებს კითხულობენ თოიერდანკზე და ასეთ ქმარზე  
ოცნებობენ. რაინდული მოვალეობა ბავშვური თამაშია!

ვაისლინგენი. ნუ ფიქრობთ ასე.

ადელჰაიდი. სინდისს გეფიცებით, თითლიბაზობთ. რას შეჰ-  
პირდით? მერედა, ვის? კაცს, რომელიც სრულებით არა გრძნობს  
თავის მოვალეობას იმპერატორისა და სახელმწიფოს წინაშე. და  
თანაც იმ დროს, როცა ტყვედ შეგიპყროთ და ამით თავი კანონ-  
გარეშე მდგომარეობაში ჩაიყენა. აღსრულება მოვალეობისა, რო-  
მელიც დამყარებულია ძალდატანებით მიცემულ შეპირებაზე!..  
განა ჩვენი კანონები თავისუფალი არ არის ასეთი ფიცისაგან? ეგ  
იმ ბავშვებს მოუყევით, რომელთაც რუბეცალის ამბავი სჯერათ.  
ამის ჟიან კი სულ სხვა რამ იმალება: სახელმწიფოს მტრობა. მო-  
ქალაქეთა სიმშვიდისა და ბედნიერების მტრად გადაქცევა; იმპერა-  
ტორის მტრობა! ავაზაკის ხელქვეითობა! და შენ კი, ვაისლინგენ,  
შენი ნაზი გულით...

ვაისლინგენი. თქვენ რომ მას იცნობდეთ...

ადელჰაიდი. მე მსურს სამართლიანი ვიყო მის მიმართ.  
ბერლინინგენს აქვს მაღალი, დაუცხრომელი სული. სწორედ ამი-  
ტომ ვაი შენ, ვაისლინგენ! წადი და ეცადე, რომ გახდე მისი ხელ-  
ქვეითი, მისი მონა. შენ ხომ გულლია ხარ, ხათრიანი...

ვაისლინგენი. იგიც ასეთივეა.

ადელჰაიდი. მაგრამ შენ დამთმობი ხარ, ის კი—არა! ბერლი-  
ნინგენი შეუმჩნევლად დაგიყოლებს და აზნაურის მონად გადა-  
იქცევი, მაშინ, როცა თვითონ შენ შეგეძლო თავადთა მბრძანებ-  
ლობა... მაგრამ ულმობლობა იქნება, შეგაზიზლო შენი მომავალი.

ვაისლინგენი. რომ იცოდეთ როგორი სიყვარულით შემხვდა.

ადელჰაიდი. სიყვარულით! შენ ამას ბერლინინგენს დიდ  
დამსახურებად უთვლი. ეს ხომ მისი მოვალეობა იყო; ან რას წა-  
აგებდი, მკაცრად რომ მოგპყრობოდა? ეგრე რომ მომხდარიყო,  
მესიამოვნებოდა კიდევაც. ასე ქედმაღალი ადამიანი, როგორიც  
იგი არის...

ვაისლინგენი. თქვენ ლაპარაკობთ საკუთარ მტერზე.

ადელჰაიდი. მე ვლაპარაკობდი თქვენს თავისუფლებაზე...  
მაგრამ არ ვიცი, რატომ ვერევი ამ საქმეში? მშვიდობით!

ვაისლინგენი. ნება მიბოძეთ, ერთ წამს კიდევ!.. (ხელში  
იღებს ადელჰაიდის ხელს და სდუმს.)

ადელჰაიდი. გნებავთ, კიდევ რაიმე მითხრათ?

ვაისლინგენი. უნდა წავიდე.

ადელჰაიდი. წადით!

ვაისლინგენი. არ შემეძლია, ქალბატონო!

ადელჰაიდი. თქვენ ვალდებული ხართ!

ვაისლინგენი. ეს არის თქვენი უკანასკნელი სიტყვა?

ადელჰაიდი. წადით, ავად ვარ და ასეთი საუბრისთვის  
ძალზე შეუფერებელი დროა.

ვაისლინგენი. ეგრე ნუ მიცქერიით!

ადელჰაიდი. შენ გსურს მტრად მოგვეკიდო და ჩვენ კი  
უნდა ღიმილით გიციქვოდეთ? წადი!

ვაისლინგენი. ადელჰაიდ!

ადელჰაიდი. მძულხართ!

შემოდის ფრანცი.

ფრანცი. ეპისკოპოსი გინმობთ, ბატონო ჩემო!

ადელჰაიდი. წადით! წადით!

ფრანცი. გთხოვთ, მალე მობრძანდითო.

ადელჰაიდი. წადით! წადით!

ვაისლინგენი. არ გემშვიდობებით, კიდევ განახვთ! (გადის.)

ადელჰაიდი. კიდე მნახავს! ერთი ვნახოთ, როგორა მნახავს. მარგარიტა, როდესაც მოვა, ნუ მიიღებ. მე ავადა ვარ, თავი მტკივა, მძინავს. უარი უთხარი. თუ კიდე შეიძლება მისი მოპოვება, მხოლოდ ამ გზით.

### წინა ოთახი

ვაისლინგენი. ფრანცი.

ვაისლინგენი. ადელჰაიდს აღარა სურს ჩემი ნახვა?

ფრანცი. ღამდება. შევკაზმო ცხენები?

ვაისლინგენი. მას აღარა სურს ჩემი ნახვა?

ფრანცი. როდის მიბრძანებთ, თქვენო მოწყალეებავ, ცხენი მოგართვათ?

ვაისლინგენი. უკვე გვიანაა. ჩვენ აქ დავრჩებით.

ფრანცი. მადლობა ღმერთს! (გადის.)

ვაისლინგენი. შენ დარჩები! ფრთხილად! ცთუნება დიდია! ცხენი გამიჯიუტდა, როცა სასახლის კიშკარში უნდა შემოვსულიყავი. ჩემმა კეთილმა სულმა გზა გადაუღობა მას — ალბათ იგრძნო ის საფრთხე, რაც აქ მომელოდა... მაგრამ უსინდისობა არ იქნებოდა დაუმთავრებელი მიმეტოვებინა ეპისკოპოსის საქმეები და ისინი ცოტა წესრიგში მიიწვია არ მომეყვანა, რომ ჩემმა შემცვლელმა განაგრძოს? ეს ყველაფერი შემიძლია ისე გავაკეთო, რომ არც ბერლინინგენს ვულალატო და არც ჩვენს კავშირს. მე ხომ ამათთან არ დავრჩები, სჯობდა კი, რომ აქ სულაც არ მოვსულიყავი. მაგრამ მე ხომ ხვალ ან ზეგ გავემგზავრები ისევ. (გადის.)

### შპმსარტში

გიოცი. ხელბიცი. გეორგი.

ხელბიცი. ხომ ხედავთ, რაც ვთქვი, ყველაფერი გამართლდა.

გიოცი. არა! არა! არა!

გეორგი. დამერწმუნეთ, სრულ სიმართლეს მოგახსენებთ. როგორც თქვენ მიბრძანეთ, ისე მოვიქეცი: გადავიცი ბამბერგელის კამზოლი, თან წავიღე მისი საშვი და, ჩემი საქმელ-სასმელის ფული რომ მეშოვა, რაინეკელი გლეხები გავაცილე ბამბერგამდე.

ხელბიცი. ასე შენიღბულმა? ხომ შეიძლება ცუდად წაგსვლოდა საქმე.

გეორგი. ახლა მეც ეგრე ვფიქრობ. მხედარი კი, რომელიც ყველაფერს წინასწარ მარჩიელობს, შორს ვერ წავი. მივედი ბამ-

ბერგში და სამიკიტროში შესვლისთანავე ყური მოვკარ საუბარს, რომ ვაისლინგენი ეპისკოპოსს ისევ შეურიდგაო. ბერგს ლაპარაკობენ მისი ქორწინების შესახებაც ფონ ვალდორფის ქვრივზე.

გიოცი. ქორია.

გეორგი. მე თვითონ ვნახე, ვაისლინგენი და ადელჰაიდი როგორ მოუსხდნენ სუფრას. სინდისს გეფიცებით, იგი მშვენიერია, ძალზე მშვენიერი. ჩვენ ყველამ თავი დავუკარით და იმანაც ყველას მადლობა გადაგვიხადა. ვაისლინგენმაც თავი დავვიკრა და ეტყობოდა, დიდად კმაყოფილი იყო. მათ ჩვენს გვერდით გაიარეს და ხალხი ჩურჩულებდა: „მშვენიერი წყვილია“.

გიოცი. ეგ შეიძლება.

გეორგი. ისმინეთ კიდევ. როცა იგი მეორე დღეს წირვაზე მიდიოდა, დრო შეეუჩინე. მას მხოლოდ ერთი ბიჭი ახლდა. მე კიბეების ქვეშ ვიდექ და წავჩურჩულე: „ორი სიტყვა ბერლინინგენისგან“. თავხარი დაეცა. მის სახეზე წავიკითხე სინდისის ქენჯნა, ძლივს შესძლო შემოეხედა ჩემთვის, საცოდავი ყრმა მხედრისათვის.

ხელბიცი. როგორც ჩანს, მისი სინდისი უფრო საცოდავი ყოფილა შენს წოდებაზე.

გეორგი. „ბამბერგელი ხარ?“ — შემეკითხა იგი. „სალამი უნდა გადმოგკეთ რაინდი ბერლინინგენისგან, — ვუთხარი მე, — და უნდა გკითხოთ...“ — „მან კი მომიგო: „მოდი ხვალ დილით ჩემს ოთახში, იქ განვაჯრძოთ საუბარი“.

გიოცი. წახველი?

გეორგი. დიახ, წაველი და დიდხანს, ძლიერ დიდხანს ვიცადე წინა ოთახში. აბრეშუმის ტანსაცმელში გამოწყობილი ვაყები მათვალეებდნენ ყველა კუთხიდან. მე კი ვფიქრობდი: „მიყურეთ, რამდენიც გინდათ!“ ბოლოს შემეყვანეს მასთან. იგი გაბრაზებული ჩანდა, მაგრამ ჩემთვის ეს სულ ერთი იყო. მივედი ვაისლინგენთან და გადავეცი, რაც დავალბებული მქონდა იგი საშინლად განრისხდა იმ ადამიანივით, რომელსაც შიშისაგან გული წისვლია და კი არ სურს, ეს შეამჩნიონ. ვაისლინგენი გაოცებული დარჩა, რომ ასე ყრმა მხედარს მიანდეთ ეს დავალება. ამან მე გამაბრაზა. „ამქვეყნად ორგვარი ადამიანები არსებობენ, — ვუთხარი მე. — პატროსნები და არამზადები, მე კი გიოცი ფონ ბერლინინგენს ვემსახურები“. მაშინ მოჰყვა იგი ათასგვარ სისულელეს იმის დასამტკიცებლად, რომ თქვენ მას უეცრად დაესხით თავს, რომ თქვენს წინაშე მოვალე არ არის და არც სურს რაიმე საქმე იქონიოს თქვენთან.

გიოცი. თქვენი ყურით მოისმინეთ ყოველივე ეს?

გიორგი. ეს და უფრო მეტიც... იგი დამემუქრა...

გიოცი. კმარა. ნუთუ იგიც დაილუპა? ნდობაგ და ერთგულე-  
ბაგ, თქვენ კვლავ იმედი გამიცრუეთ. საცოდავო მარია! როგორ  
შეგატყობინო ეს ამბავი?

ხელბიცი. მე ვამჯობინებდი, მეორე ფეხიც მომტეხოდა,  
ვიდრე ასეთი უნამუსო ვყოფილიყავ. (გადის)

### ბ ა მ ბ ე რ გ ი

ადელჰაიდი. ვაისლინგენი.

ადელჰაიდი. დრო მეტისმეტად ნელა მიიზღაწენება; ლაპა-  
რაკი მე არ მიყვარს, თქვენთან თამაში კი მრცხვენია. მოწყენი-  
ლობავ, შენ ხომ ციებ-ციხელებზე აუტანელი ხარ.

ვაისლინგენი. ჩანს, უკვე მოგებზრდით.

ადელჰაიდი. თქვენ იმდენად არა, რამდენადაც თქვენი  
მოქცევა. ნეტავი იქ ყოფილიყავით, სადაც გსურდათ ყოფნა, და  
ჩვენ არ გაგვეჩერებინე.

ვაისლინგენი. ეგ ქალური მოწყალებაა. იგი ჯერ დედობ-  
რივი სითბოთი გარემოიციავს ჩვენს სანუკვარ იმედებს; შემდეგ კი  
ქარაფინდა კრუხივით ბუდეს მიატოვებს და უკვე დაბადებულ  
შთამომავლობას უბატონობისა და სიკვდილის მსხვერპლად  
გახდის.

ადელჰაიდი. ლანძღეთ ქალები. უგნური მოთამაშე კბილე-  
ბით გლეჯს და ფეხით სთელავს უდანაშაულო კარტებს, რომელ-  
თაც იგი დალუპეს. მაგრამ ნება მიბოძეთ, მაპაქაცებზე გითხრათ.  
თქვენ უნდა ლაპარაკობდეთ ქალთა ცვალებადობაზე და გაუტანლო-  
ბაზე? თქვენ, რომელნიც იშვიათად ხართ ისეთნი, როგორიც გინ-  
დათ იყოთ, ხოლო როგორიც უნდა იყოთ, ისეთნი კი არასოდეს.  
დიდებულად მორთულ-მოკაზმულ მეფეს ბრბო ყოველთვის შური  
შესცქერის. რას არ მისცემდა მკერავი ქალი, ოღონდაც კი ყელზე  
ჩამოეკიდა მარგალიტის ერთი მძივი, თქვენი ტანსაცმლის კალ-  
თებზე რომ არის შემოყოლებული და სიარულის დროს დაუდევრად  
ფეხს რომ გაჰკრავთ ხოლმე.

ვაისლინგენი. ენაგესლიანი ბრძანდებით.

ადელჰაიდი. ეს თქვენი სიმღერის ანტისტროფი გახლავთ.  
ვიდრე თქვენ გნახავდით, ვაისლინგენ, მეც მკერავი ქალივით დამე-

მართა. ყველა დიდებით გიხსენიებდა, გაუზვიადებლად რომ ვთქვათ,  
პირდაპირ ცაში აპყავდით ქებით, მეც დავარწმუნე ჩემი თავი —  
მენახა ეს ყველაზე საუკეთესო მამაკაცი — ფენიქსი ვაისლინგენი —  
და გულისტქმა გამიმართლდა კიდევაც.

ვაისლინგენი. ფენიქსის ნაცვლად თქვენ წინ გამოცხადდა  
ჩვეულებრივი მამალი.

ადელჰაიდი. არა, ვაისლინგენ, თქვენ ჩემი თანაგრძნობა  
გამოიწვიეთ.

ვაისლინგენი. მეც ასე მეგონა...

ადელჰაიდი. და ასეც იყო. თქვენ ხომ ამ ქება-დიდებას  
ნამდვილად გადააქარბეთ. ბრბო მხოლოდ ღირსების ათინათს აფა-  
სებს და რა დამემართებოდა მე, როცა არ ძალმიძს განესაჯო ის  
ადამიანები, რომელნიც მომწონს; ასე ვცხოვრობდით ერთმანეთის  
გვერდით რამდენიმე წლის განმავლობაში. გულს რაღაც მაკლდა.  
მაგრამ არ ვიცოდი, რა ნაკლს ვამჩნევდი თქვენში. ბოლოს კი  
თვალი ამეხილა. ნაცვლად გაბედული მოღვაწისა, რომელიც სა-  
ხელმწიფო საქმეთათვის ცხოვრობს და იბრძვის და ამასთანავე არ  
იფიწყებს თავის თავს და საკუთარ დიდებასაც, ნაცვლად ადამიან-  
ისა, რომელსაც დიადი განზრახვები ერთმანეთზე მთებად აუგია  
და ღრუბლებამდე აულწევია, უცებ დავინახე ადამიანი, რომელიც  
ავადმყოფი პოეტივით გოდებს, ახალგაზრდა ქალივით მისცემია  
მელანქოლიის და უსაქმობას შეუპყრია ხანში შესულ ელევენდივით.  
ყოველივე ეს მე ჯერ თქვენს მარცხს მივაწერე, გულზე რომ ისევ  
გაუნელებლად გაწევთ და, რამდენიც კი შემეძლო, გამართლებდით.  
ახლა კი, როცა საქმე დღითი დღე უარესდება, უნდა მაპატიოთ,  
თუ თქვენდამი ჩემს კეთილ მოწყალებას უკანვე დავიბრუნებ. თქვენ  
კანონიერად არ ჰფლობთ მას, იგი მე სამუდამოდ შეეწირე სულ  
სხვას და არ ძალმიძს მისი თქვენთვის გადმოცემა.

ვაისლინგენი. მაშ გამიშვით.

ადელჰაიდი. არა, ვიდრე უკანასკნელი იმედიც სულ არ  
გამქრალა. საშინელია ასეთ მდგომარეობაში განმარტობა. უბე-  
დურო! თქვენ გული გაგტეხიათ იმ ადამიანივით, რომელსაც გაუც-  
რუვდა პირველი სიყვარული. სწორედ ამიტომ არ მიგატოვებთ.  
მომეცით ხელი და შემინდეთ ყველაფერი, რაც გითხარით თქვენ-  
დამი სიყვარულის გამო.

ვაისლინგენი. რომ შეგეძლოს ჩემი შეყვარება და ჩემი მწველი ვნების ოდნავ განელება მაინც! ადელჰაიდი! შენი საყვედურები ძალზე უსამართლოა. რომ შეგეძლოს ერთი მესამედი მაინც იგრძნო იმისა, რაც ჩემს გულში ხდება ამ დროის განმავლობაში, ასე შეუბრალებლად აღარ გამწირავდი შენი თავაზიანობით, გულგრილობითა და ზიზღით. შენ იღიმები! აქეთი წინდაუხედავი ნაბიჯის შემდეგ კვლავ საკუთარ თავს რომ დავუბრუნდე, ამისათვის გარკვეული დრო არის საჭირო. ნუთუ უნდა ვიმოქმედო იმ ადამიანის წინააღმდეგ, რომლის სიყვარულის მოგონება ჩემს გულში გაცოცხლდა ისევ?

ადელჰაიდი. უცნაურო ადამიანო, თუკი ძალგიძს მისი სიყვარული, ვისი მდგომარეობაც ასე გშურს — ეს ხომ იმას ნიშნავს, რომ მტრის წისქვილზე დაასხა წყალი.

ვაისლინგენი. თვითონაც კარგად ვგრძნობ, ყოყმანი შეუძლებელია. მან უკვე იცის, რომ მე ისევ ვაისლინგენი ვარ და შეეცდება ისარგებლოს ჩვენზე თავისი უპირატესობით. მაგრამ, ადელჰაიდი, ჩვენ არც ისე უღარდელნი ვართ, როგორც შენ ფიქრობ. უკვე გავზარდეთ მხედართა რიცხვი. ისინი ფხიზლად არიან, ჩვენს შორის მოლაპარაკება გრძელდება და იმედია, საიმპერიო სეიმი აუგსბურგში ჩვენს პროექტს მსვლელობას მისცემს.

ადელჰაიდი. მაშ იქ გაემგზავრებით?

ვაისლინგენი. თუკი შემეძლება თან წავიყოლო მცირეოდენი იმედი მაინც. (ჰკოცნის ხელზე.)

ადელჰაიდი. ო, თქვე ურწმუნონო! ყოველთვის ნიშანი და სასწაული გიზიდავთ. გაემგზავრე ვაისლინგენ, და დაასრულე საქმე! ეპისკოპოსის ინტერესები ჩემსა და შენა ინტერესებთან ისე მჭიდროდ არის დაკავშირებული, რომ მარტო პოლიტიკის გამოც...

ვაისლინგენი. ხუმრობ კიდევ?

ადელჰაიდი. არა, არა ვხუმრობ. ჩემი ადგილ-მამული ხელთ ჩაიგდო ზვიადმა ჰერცოგმა, შენსას კი გიოცი დიდხანს არ დასტოვებს მშვიდად. თუ ჩვენც ერთმანეთს მხარი არ დავუჭირეთ, როგორც ამას ჩვენი მტრები აკეთებენ, და ჩვენს მხარეზე არ გადმოვიყვანეთ იმპერატორი, დავიღუპებით.

ვაისლინგენი. ეკ არ მაშინებს. თავადთა უმრავლესობა

ჩვენს მხარეზეა. იმპერატორი მოითხოვს თურქთა წინააღმდეგ ბრძოლაში დავებმართო და ამის გამო უთუოდ მხარს დაგვიჭერს. რა ნეტარება იქნება ჩემთვის, რომ გავანთავისუფლო შენი ადგილ-მამული ზვიადი მტრისაგან, დავაცხრო აჯანყებულთა მოთავენი შვაბიაში და სიმშვიდე ვაღირსო საეპისკოპოსოსა და ყველა ჩვენგანს. და მაშინ?..

ადელჰაიდი. დღეს დღე მოსდევს და მომავალს კი ბედი განაგებს.

ვაისლინგენი. მაგრამ ჩვენ ხომ უნდა ვისურვოთ.

ადელჰაიდი. აკი გვსურს კიდევაც.

ვაისლინგენი. ნამდვილად?

ადელჰაიდი. დიახ, ნამდვილად. მაშ გაემგზავრეთ!

ვაისლინგენი. ჯადოქარო!

### სასტუმრო. გლეხის ქორწილი

გარედან მოისმის მუსიკისა და ცეკვის ხმა.

გიოცი. ზელბიცი. სიმამრი — უსხედან სუფრას. შემოდის სიძე.

გიოცი. ძალზე კეთილგონივრულად მოიქცეით, ასე ბედნიერად და მშვიდობიანად რომ მოაგვარეთ ქორწინებასთან დაკავშირებული უთანხმოებანი.

სიმამრი. უკეთესი არც კი დამესიზმრებოდა. მეზობელთან მშვიდობა და სიმშვიდე ჩამოვავდე და გოგოც კარგად დავაბინავე.

სიძე. ახლა მე მეკუთვნის სადაო ნაკვეთი და ამასთან მთელ სოფელში ულამაზესი გოგოც. ეჰ, ნეტავი ეს ადრე მოგეფიქრებინათ.

ზელბიცი. დიდხანს იღავეთ?

სიმამრი. თითქმის რვა წელი. ახლა რომ დავფიქრდები, მირჩევნია ამდენი ხანი სულ ციებ-ცხელებისაგან ვიძაგძაგო, ვიდრე

თავიდან დაეწყო ყველაფერი. არ დაიჯერებთ, რა ტანჯვა-წვალება უნდა გამოიაროთ, ვიდრე სასამართლოს პარიკებს განაჩენს ხელიდან გამოგლეჯდეთ. მერედა, რა ყრია ამაში? ეშმაკმა წაიღოს ასესორი საპუპის თავი — ეგ წყეული, შავტუხა იტალიელი!

ს ი ძ ე. დიახ, ერთი გადარეული ბიჭია. მე იქ ორჯერ ვიყავი.

ს ი მ ა მ რ ი. მე კი სამჯერ. ჰოდა, ბატონებო, ბოლოს ხელთ ვიგდეთ განაჩენი, რომლის ძალითაც მეც ისე მართალი ვიყავი, როგორც იგი, და იგაც ისევე სწორი, როგორც მე. ვიდრე ასე დოკლამპებივით პირდაღებულნი მანამდე, ვიდრე ღმერთმა არ ჩამაგონა, რომ ჩემი ქალიშვილი ამ ბიჭისთვის მიმეთხოვებინა და მზითვად მიწის ნაკვეთი მიმეცა.

გ ი ო ც ი (სვამს). თქვენს დაზავებასა და მომავალ სიამტკბილობას გაუმარჯოს!

ს ი მ ა მ რ ი. ღმერთმა ქნას. რაც იქნება, იქნება, სასამართლოში კი ჩემს სიცოცხლეში აღარ წავალ. მერედა, რამდენი ფული დამიჯდა; ყოველ ცნობაზე ხელისმოწერაში პროკურატორს ფული უნდა ჩაუღო.

ზ ე ლ ბ ი ც ი. იქ ხომ ყველანი საიმპერიო რევიზიებს ატარებენ.

ს ი მ ა მ რ ი. რევიზორები თვალთაც არ გვინახავს. მე კი ბრწყინვალე ტალერები გამომეცალა ხელიდან. გაუგონარი მძარცველობაა!

გ ი ო ც ი. რა მძარცველობა?

ს ი მ ა მ რ ი. ნულარ იკითხავთ, ყველას მათხოვარივით გაუწვდია ხელი. მართო ერთმა ასესორმა, ღმერთმა შეუნდოს, თვრამეტი გულდენი წამგლიჯა.

ს ი ძ ე. ვინ?

ს ი მ ა მ რ ი. სხვა ვინ იქნებოდა, თუ არა საპუპი?

გ ი ო ც ი. უსინდისობაა!

ს ი მ ა მ რ ი. დიახ! მე მისთვის ოცი უნდა ჩამეთვალა ხელში. ჰოდა, როცა ფული გადავუხადე თავის აგარაკზე, საკუთარი სახლის დიდ დარბაზში — ჰო, რა დიდებული სახლი უდგას! — მწუ-

ხარებისაგან კინადამ გული წამივიდა. ხედავთ, სახლი ჩინებულა, მეურნეობაც ჩინებულ წესრიგშია, მაგრამ სად შოულობს ამდენ ნაღდ ფულს? ვიდრე ასე და, ღმერთმა იცის, რა მემართებოდა. ბოლოს მხნეობა მოვიკრიბე და მთლიანად წინ დავუწყვე ფული. რაკი შემნიშნა, რომ წყალში ჩავარდნილივით სული მეხუთებოდა, ორი გულდენი უკანვე გადმომიგდო და გამომავლო სახლიდან.

ს ი ძ ე. ეგ შეუძლებელია! ნუთუ საპუპიმ?

ს ი მ ა მ რ ი. მაშ შენ ვინ გგონია? რა თქმა უნდა! სწორედ იმან!

ს ი ძ ე. ეშმაკმა წაიღოს იმისი თავი და ტანი, იმან ხომ მეც წამადრო თხუთმეტი გულდენი.

ს ი მ ა მ რ ი. წყეული!

ზ ე ლ ბ ი ც ი. გესმის, გიოც, ავაზაკებს კი ჩვენ გვეძახიან.

ს ი მ ა მ რ ი. ამიტომაც გამოვიდა განაჩენი ასეთი მზაკვრული. აჰ, შე ძაღლო!

გ ი ო ც ი. ეგ საქმე ასე უყურადღებოდ არ უნდა დასტოვოთ.

ს ი მ ა მ რ ი. რა უნდა ვქნათ?

გ ი ო ც ი. გაემგზავრეთ შპიერში, ახლა იქ რევიზია მიმდინარეობს, განუცხადეთ ამის შესახებ, ისინი ვალდებულნი არიან, ეს საქმე გამოიძიონ და დაგეხმარონ.

ს ი მ ა მ რ ი. თქვენ გგონიათ, მივალწევთ რამეს?

გ ი ო ც ი. რომ შემედლოს მისთვის ყურის ძირში თხლეშა, შეგპირდებოდით.

ზ ე ლ ბ ი ც ი. ისე დიდი თანხაა, რომ ღირს ეცადოთ.

გ ი ო ც ი. მე კი მაგ თანხის მეოთხედის გულისთვისაც ახლავე გავემგზავრებოდი.

ს ი მ ა მ რ ი. შენ რაღას ფიქრობ?

ს ი ძ ე. ვცადოთ, რაც მოსახდენია, მოხდეს.

შემოდის გ ე ო რ გ ი.

გ ე ო რ გ ი. ნიურნბერგელები მოახლოვდნენ.

გ ი ო ც ი. სად არიან?

გეორგი. თუ ნელ-ნელა ვივლით, მათ ხელში ჩავიგდებთ  
ბერკაიმსა და მიულბახს შორის მდებარე ტყეში.

ზელბიცი. საუცხოოა!

გიოცი. წავიდეთ, ბიჭებო! ღმერთმა ლოცვა-კურთხევა არ  
მოგაკლოთ! იგი ჩვენც დაგვეხმარება.

გლახი. დიდად გმადლობთ, ვახშმად არ ინებებთ დარჩენას?

გიოცი. არ შეგვიძლია. მშვიდობით!

## მესამე მოქმედება

### აუგსბურგი. ბაღი

ორი ნიურნბერგელი ვაჭარი.

პირველი ვაჭარი. აქ გავჩერდეთ. იმპერატორმა აქეთ  
უნდა გამოიაროს. აგერ, იგი გრძელ ხეივანზე მოდის.

მეორე ვაჭარი. თან ვინ მოჰყვება?

პირველი ვაჭარი. ადელბერტ ფონ ვაისლინგენი.

მეორე ვაჭარი. ბამბერგის მეგობარი. ეს კარგია.

პირველი ვაჭარი. მუხლზე დავემხოთ და ლაპარაკს მე  
დავიწყებ.

მეორე ვაჭარი. კეთილი. აი, ისინიც.

იმპერატორი. ვაისლინგენი.

პირველი ვაჭარი. რაღაც გულმოსული ჩანს.

იმპერატორი. ძალზე გულნაკლული ვარ, ვაისლინგენ. რო-  
დესაც ჩემს განვლილ ცხოვრებას გავყურებ, პირდაპირ სასოწარ-  
კვეთილება მიპყრობს! ამდენი დაუმთავრებელი, ამდენი ბედუქლ-  
მართი საქმე. ეს ყველაფერი კი იმით არის გამოწვეული, რომ  
ყველაზე პატარა თავადიც კი თავის შინიანობას უფრო წინ აყე-  
ნებს, ვიდრე ჩემს განზრახვას.

(ვაჭრები მის წინ მუხლზე დაემხოიან.)

პირველი ვაჭარი. თქვენო ყოვლად უბრწყინვალესობავ!  
თქვენო ყოვლად უძლიერესობავ!

იმპერატორი. ვინა ხართ? რა ამბავია?

ვაჭარი. საწყალი ვაჭრები გახლავართ ნიურნბერგიდან, თქვენი  
უდიდებულესობის მონა-მორჩილნი და გვედრებით დაგვეხმაროთ.  
გიოცი ფონ ბერლიხინგენი და ჰანს ფონ ზელბიცი თავს დაესხნენ  
და გაძარცვეს ოცდაათი ჩვენი კაცი, როცა ისინი ფრანკფურტის

ბაზრობიდან ბამბერგის სამფლობელოში ბრუნდებოდნენ. ვთხოვთ თქვენს იმპერატორობითს უდიდებულესობას, დაგვეხმაროს და შემეწე გვექნეს, თორემ ყველანი დავიღუბებით და იძულებულნი გავხდებით ლუქმბურგისათვის მათხოვობა დაეწყო.

იმპერატორი. წმინდაო ღმერთო! ღმერთო ძლიერო! ეს რა ხდება? ერთს მხოლოდ ცალი ხელი გააჩნია, მეორეს — მარტოოდენ ცალი ფეხი. მათ რომ ორი ხელი და ორი ფეხი ჰქონოდათ თვითეულს, მაშინ რაღას იზამდით?

ვაქარი. ყოვლად უქვეშევრდომილესად ვთხოვთ თქვენს უდიდებულესობას, მოწყალე თვალი მოაპყროს ჩვენს შევიწროებულ მდგომარეობას.

იმპერატორი. აი, როგორ ხდება ყოველთვის! როცა რომელიმე ვაქარს ერთი ტომარა პილპილი დაეკარგება, მთელი იმპერია ფეხზე უნდა დააყენო, ხოლო თუ საქმე მნიშვნელოვანია იმპერატორისა და იმპერიისათვის და იგი ეხება სამეფოს, სამთავროს, საგრაფოსა თუ სხვადასხვა სამფლობელოს, მაშინ ახლოს აღარ გაგვეკარებით.

ვაისლინგენი. თქვენ თავის დროზე არ მოხვედით. წადით და რამდენიმე დღე დაიცადეთ.

ვაქარი. თქვენი მოწყალების იმედი გვაქვს. (გადიან.)

იმპერატორი. ისევ ახალი შუღლი. ისინი გველვეშაპის თავებივით იზრდებიან.

ვაისლინგენი. მათ მხოლოდ ცუცხლით. მახვილითა და გამამწყვეტი დარტყმით თუ ამოშანთავთ.

იმპერატორი. თქვენ ასე ფიქრობთ?

ვაისლინგენი. ჩემის აზრით, ეს ყველაზე გონივრული იქნებოდა, თუ წინასწარ მოუღებდით ბოლოს თქვენს უდიდებულესობასა და თავადთა შორის არსებულ უმნიშვნელო უთანხმოებებს. თითქმის მთელი გერმანია მღელვარებას მოუცავს. ფრანკონიასა და შვაბიაში კი ისევ ლეივის შინაური შფოთის, ქვეუნის გამანადგურებელი სამოქალაქო ომის ნაპერწყმები. მაგრამ იქვე ბლომად მოიპოვებებიან კეთილშობილი და თავისუფალი რაინდები, რომელთაც სიმშვიდე სწყურიათ. როგორც კი ზიკინგენს, ზელბიცსა და ბერლიხინგენს თავიდან მოიცილებთ, დანარჩენნი თვის ონვე დაიშლებიან, რადგან სწორედ ეს სამი კაცია, სულს რომ უდგამს შფოთსა და არეულობას.

იმპერატორი. მე კი ვისურვებდი, ეგ ადამიანები შემეგვრდომებინა — იანნი მამაცნი და კეთილშობილნი არიან. როდესაც ომს დავიწყებ, ჩემთან ერთად გამოვლენ ბრძოლის ველზე.

ვაისლინგენი. კარგი იყო, მათ ჯერ თავიანთი მოვალეობის აღსრულება ესწავლათ. გარდა ამისა, ძალზე საშიში იქნებოდა ეს ადამიანები შეამბოხეობისათვის საპატიო თანამდებობებით დაგვიღოდებინათ. თქვენს იმპერატორობითს უწყინარობას და მოწყალებას ხომ ისინი ასე ძალზე ბოროტად იყენებენ, მათი თანამზრახველნი კი თავიანთ იმედსა და სასოებას იმაზე ამკარებენ, რომ მანამდე არ დაწყნარდნენ, ვიდრე მათ მეთაურებს მალად არ აღგვით პირისაგან მიწისა და მთლიანად არ წარუხიციავთ იმედს.

იმპერატორი. მაშ მირჩევთ, რომ სიმკაცრეს მიემართო?

ვაისლინგენი. მე ვერ ვხედავ სხვა რაიმე საშუალებას, რითაც შეიძლებოდა გაგვედგინა ეს დამთხვეული სული, რომელმაც თითქმის ყველა მხარე მოიცვა. განა აქა-იქ არ გაინდის თავადთა მწარე ჩივილი, რომ მათ წინააღმდეგ აღჯანყდნენ მათივე ქვეშევრდომნი და ყმები, რომლებიც იმუქრებიან, შეზღუდონ დიდებულთა უზენაესი უფლებები, მეუკიდრეობით რომ გადმოსცემიათ? ყოველივე ეს კი ყველაზე საშიშ საფრთხეს გვიქადის.

იმპერატორი. ეს მშვენიერი შემთხვევაა ბერლიხინგენისა და ზელბიცის წინააღმდეგ, მაგრამ არ მსურს, მათ ავი რამ შეამთხვიონ. მე შინდოდა ისინი ტყვედ ჩამეგდო ხელში და ფიცით ჩამომერთვა, რომ აქეთ-იქეთ სიარული აღარ დაეწყოთ და თავიანთ ციხე-დარბაზებში მშვიდად მსხდარიყვნენ. ეს საკითხი მომავალ სესიაზე უნდა გავიტანო.

ვაისლინგენი. მხიარული, ერთსულოვანი შეძახილებით შეხედებიან მოწონების ნიშნად თქვენს უდიდებულესობას, როცა სიტყვას დაამთავრებთ. (გადის.)

#### იასტჰაუზენი

ზიკინგენი. ბერლიხინგენი.

ზიკინგენი. დიახ, მე მოგვდი, თქვენი კეთილშობილი დის გული და ხელი რომ გთხოვოთ.

გიოცი. ნეტავი ადრე მოსულიყავით. უნდა გითხრათ, რომ ვაისლინგენმა აქ ტყვედ ყოფნისას მოიპოვა მისი სიყვარული, ხელი

სახოვს მას და მეც თანხმობა განუცხადე. გალიიდან გაფუშვი ეს ჟრიწველა. ვაისლიწგენი. და ახლა იგი აბუჩად იგდებს მოწყალე ზელს, რომელიც მას გასაქირში საზრდოს აწვდიდა. ღმერთმა იცის, რომელ საფრიწველეს დაჭარფატებს საზრდოს საშოწვენლად.

ზიკინგენი. მაშე ეს ნამღვილად ასეა?

გიოცი. როგორც გითხარით.

ზიკინგენი. მას ორმაგი კავშირი დაურღვევია. რა ბედნიერი ხართ, რომ მოღალატესთან არ დამოყვრებულხართ.

გიოცი. საბრალო გოგომ ახლა თავისი სიცოცხლე ტირილსა და ლოკვაში უნდა გაატაროს.

ზიკინგენი. იგი ჩემთან მალე დაიწყებს ჭიკჭიკს.

გიოცი. რას ამბობთ? თქვენ გინდათ, მიტოვებულნი ქალიშვილი შეირთოთ?

ზიკინგენი. თქვენ, ორიწგეს, უფრო პატივსა გდებთ, რომ მისგან მოტყუებული დარჩით. საბრალო გოგო მონასტერში უნდა შევიდეს იმის გამო რომ პირველი მამაკაცი, რომელიც მან გაიცნო, არამხადა გამოდგა? არა, როგორ იქნება! მე ჩენს სიტყვაზე ვდგე-ვარ: იგი ჩემი ციხე-დარბაზების დედოფალი უნდა გახდეს.

გიოცი. ხომ გითხარით, რომ მარია მის მიმართ გულგრილი არ იყო-მეთქი.

ზიკინგენი. რატომ არ მერწმუნები, რომ გავაფრთხობ იმ საბრალო ადამიანის ლანდს? წავიდეთ მარიასთან. (გაღიან.)

### სანიმავრიო დამსჯელი რაზმის ბანაკი

კაპიტანი. ოფიცრები.

კაპიტანი. წინდახედულად უნდა ვიმოქმედოთ და, რამდენადაც შეიძლება, დავზოგოთ ჩვენი ხალხი. გარდა ამისა, სასტიკად კვაქვს ნაბრძნები, ყოველი მხრიდან ალყა შემოვარტყათ და იგი ცოცხალი ჩავიგდოთ ხელში. ეს კი გავვიძინეღდება, რადგან აბა ვინ მიეკარება მას?

პირველი ოფიცერი. რა თქმა უნდა! გარეული ტახივით დაიცავს თავს. უნდა ითქვას. რომ მას თავისი სიცოცხლის მანძილზე ჩვენთვის რაიმე ვნება არ მოუყენებია, და ყოველი ჩვენგანიც შეეცდება. რომ საკუთარი ხელი ან ფეხი არ გასწიროს იმპერატორისა და იმპერიის თავის მოსაწონებლად.

მეორე ოფიცერი. სირცხვილი იქნება ჩვენთვის, ხელიდან რომ გავუშვათ. თუ ერთი კალთაზე ვწვდი, ველარ გამისხლტება.

პირველი ოფიცერი. ოღონდ კბილებით კი არა, თორემ ყბებს ჩაგიღწეწავს. კეთილო ყრმაო, ასეთი ადამიანები ლტოლვილ ქურდსა ჰგვანან, თავს არ შეგაპყრობინებენ.

მეორე ოფიცერი. ვნახოთ!

კაპიტანი. ჩვენს წერილს უკვე მიიღებდა, ნულარ დავაყოვნებთ და გავგზავნოთ რაზმი მის დასაზვერაღად.

მეორე ოფიცერი. ნება მიბოძეთ, რაზმი მე წავიყვანო!

კაპიტანი. ეს მხარე თქვენთვის უტნობია.

მეორე ოფიცერი. რაზმში არის ერთი კაცი, რომელიც აქ არის დაბადებული და გაზრდილი.

კაპიტანი. თანახმა ვარ.

(გაღიან.)

### იამსტაპაუზინი

ზიკინგენი. ყველაფერი საუტხზოდ მიდის. იგი ოღნავ შეკრთა ჩემს წინადაღებაზე და თავიდან ფეხებამღე ჩამათვალიერა. ნიძღეღს ჩამოვდივარ, რომ თავის ახალგაზრდას მაღარებდა. მაღლობა ღმერთს, ამ მხრივ არა მიშავს რა! იგი პასუხს მაძღეღვა ძალზე ძუნწად, ნაწყვეტ ნაწყვეტად; მით უკეთესი! დრო ყველაფრის წამალია. უნუგეშო სიყვარულით დამწვარი ქალიშვილები ქორწინებაზე მალე თანხმებღიან.

შემოღის გიოცი.

ზიკინგენი. რა ახალი ამბავი მოიტანეთ, ცოლისძმავ?

გიოცი. შერიღსული ვარ.

ზიკინგენი. რა?

გიოცი. აი, წაიკითხეთ ეს ჭყუის სასწავლებელი წერილი. იმპერატორმა ბრძანა, ჩემს წინაღმღეგ გამოგზავნონ დამსჯელი რაზმი, რომელმაც ნაკუწ ნაკუწად უნდა აქციოს ჩემი სხეული ცის ფრინველთა დასაჯიჯგნად და ველის ნადირთა შესაჭმელად.

ზიკინგენი. ერთი გაბედღოს! აქ მე სწორედ მარჯვე დროს ვიმყოფები.

გიოცი. არა, ზიკინგენ, თქვენ უნდა გავმგზავროთ. თქვენს დღიად გახზრახვებს დასაწყისშივე დაღუპვა ეღის, თუ დროზე აღრე



იმპერიის მტრად გახდომას მოისურვებთ. მეც უფრო მეტ სარგებლობას მომიტანთ, თუ მათ თავს ნეიტრალურად მოაჩვენებთ. იმპერატორს თქვენ უკუარხართ. ყველაზე ცუდი, რაც შეიძლება მე დამეხაროს, ეს ტყვედ ჩაეჭრა იქნება. აი, მაშინ აღიშალეთ ხმა ჩემს სასარგებლოდ და დამიხსენით უბედურებისაგარე, რომელშიც შეიძლება უფროს დროს დახმარებამ ორივე ჩაგვაგდოს. რა შეიძლება ამას მოჰყვება? ახლა რაში მოდის ჩემს წინააღმდეგ; თუ შეიტყუეს, რომ ჩემთან ხარ, უფრო დიდ რაზმს გამოგზავნიან და კარგი დღე არ დაგვადგება. ყველაფერი იმპერატორისაგან მომდინარეობს და მე ახლა სამუდამოდ განწირული ვიქნებოდი, რომ მამაცობის შთანერგვაც ისე მალე იყოს შესაძლებელი, როგორც რაზმის შეკრება.

ზიკინგენი. მე მაინც შემიძლია ოცი მხედარი საიდუმლოდ გამოგოგზავნოთ.

გიოცი. კეთილი. მე უკვე წარვავლინე გეორგი ზელბიტთან, მსახურები კი მეზობლებთან დავგზავნე. საყურელო სიძვე როცა ჩემი ხალხი თავს მოიყრის, ეს ისეთი რაზმი იქნება, რომლის მსგავსიც იქნებ ბევრ თავადსაც არ ენახოს.

ზიკინგენი. თქვენ მცირენი იქნებით ურიცხვი მტრის წინააღმდეგ.

გიოცი. ერთი მგელი ცხვრის მთელ ფარას გაჰფანტავს ხოლმე.

ზიკინგენი. მაგრამ ცხვრებს კარგი მწყემსი რომ ჰყავდეს?

გიოცი. ნუ გეშინია! ისინი ყველანი დაქირავებული არიან. გარდა ამისა, საუკეთესო რაინდიც კი ვერაფერს შესძლებს, თუ იგი თავის მოქმედებას განმგებელი არაა. ასეთი რამ ერთხელ მეც დამეხარა, როცა ფალცგრაფს შევეუთანხმდი, გამელაშქრებინა კონრად შოტის წინააღმდეგ; მან მაშინვე გამოგზავნა წერილი კანცლარიიდან, როგორ უნდა გავგზავრებულიყავ და როგორ დამეჭირა თავი. მე მაშინვე უკან გადავუგდე ქალაქი მრჩევლებს და განვუცხადე: არ შემიძლია ამის მიხედვით ვიმოქმედო, მე ხომ არ ვიცი, რა შემემთხვევა, ეს ქალაქში არ არის აღნიშნული, სჯობია, საკუთარი თვლით ვნახო და მაშინ თვითონ გავერკვევი; რა უნდა გავაკეთო მეტი.

ზიკინგენი. გამარჯვებას გისურვებ, ძმაო! მე ახლავე გავემგზავრები და გამოგოგზავნი მხედრებს, რამდენსაც კი შეგვრებ ასე სახელდახელოდ.

გიოცი. მანდილოსნებთან შედი, ისინი მე ერთად დავტოვე. მინდოდა მისი თანხმობა მიგელო, ვიდრე გავემგზავრებოდე, შემდეგ კი მხედრები გამომგზავნე და მარია საიდუმლოდ მოინახულე ხოლმე. მეშინია, რომ მალე ჩემი ციხე-დარბაზი ქალთა საიმედო თავშესაფარი აღარ იქნეს.

ზიკინგენი. უკეთესის იმედი ვიქონიოთ. (გადის.)

## გამზარგი

### ადელჰაიდის ოთახი

ადელჰაიდი. ფრანცი.

ადელჰაიდი. მაშ ორივე დამსჯელი რაზმი უკვე გავიდა?

ფრანცი. დიხ, ჩემს ბატონ აც აქვს ბედნიერება, იბრძოლოს თქვენი მტრების წინააღმდეგ. მე მინდოდა მასთან ერთად გავემგზავრებულიყავი, მაგრამ ხალისით წამოველი თქვენსკენ. ახლა ისევ მისკენ გავემართები, რომ მალე სასიხარულო ამბავი მოგიტანოთ. ამისი ნება ჩემმა ბატონმა დამართო!

ადელჰაიდი. როგორ არის?

ფრანცი. მხნედ გახლავთ. მან მიბრძანა, ხელზე გეამბოროთ.

ადელჰაიდი. აჰა! — ცხელი ბაგეები გაქვს.

ფრანცი (თავისთვის. მერღვე ხელს დაიდებს). აქ უფრო ცხელა! (ზმამოლა) თქვენი მსახურები მთელ ცის ქვეშეთში ყველაზე ბედნიერები არიან, ქალბატონო.

ადელჰაიდი. რაზმს ვინ მეთაურობს ბერლინგენის წინააღმდეგ?

ფრანცი. ფონ სირაუ. მშვიდობით, ჩემო მშვენიერო ქალბატონო! ისევ უნდა გავემგზავრო, ნუ დანივიწყებთ.

ადელჰაიდი. უნდა გეჭამა რამე, დაგელია, დაგესვენა.

ფრანცი. რისთვის? მე ხომ უკვე გხახეთ. არც დაღლილი ვარ და არც მშიერი.

ადელჰაიდი. ვიცი შენი ერთგულების ამბავი.

ფრანცი. ეჰ, ქალბატონო!

ადელჰაიდი. ვერ აიტან, დაისვენე, შეჭამე რამე!

ფრანცი. საბრალო ჰაბუკისათვის თქვენი ნზრუნველობაც საკმარისია. (გადის.)

ადელჰაიდი. ცრემლები უციმციმებდა თვალებში. მთელი გულით მიყვარს ეს ბიჭი. ჯერ არავინ ყოფილა ჩემს მიმართ ასე წრფელი, ასე მგზნებარე. (გადის.)

## იასტკაუზინი

გიოცი. გეორგი.

გეორგი. მას პირადად სურს თქვენთან ლაპარაკი. არ ვიცნობ; ბრვე ვაქვაცია, ცეცხლივით მოგიზგიზე, გიშრისფერი თვალები აქვს.

გიოცი. შემოიყვანე!

შემოდის ლერზე.

გამარჯობა! რა ამბები მომიტანეთ?

ლერზე. მხოლოდ ჩემი თავი მოგიტანეთ; ეს დიდი არაფერია, მაგრამ, რაც არის, მთლიანად თქვენ გთავაზობთ.

გიოცი. კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, ორკუჩხის კეთილი. გულადი ვაქვაცია და ისიც იმ დროს, როცა არათუ ახალი მეგობრების შექმნის იმედი მქონდა, მეშინოდა კიდევაც, რომ ძველებიც არ დამეკარგა. რა გქვიათ?

ლერზე. ფრანც ლერზე.

გიოცი. გმადლობთ, ფრანც, რომ თავი გულად ვაქვაცად გამაცანით.

ლერზე. მე ერთხელ უკვე გაგაცანით თავი, მაგრამ მაშინ ამისათვის მადლობა არ გადაგიხდიათ.

გიოცი. არ მახსოვს.

ლერზე. ეგ კი ძალიან მწყინს. მაგრამ ხომ გახსოვთ, ფალც-გრაფის ნება სურვილით რომ კონრად შოტის წინააღმდეგ იბრძოდით და ყველიერის ღამეს ჰასფურტში ინებეთ გამგზავრება?

გიოცი. რა თქმა უნდა, მახსოვს.

ლერზე. გახსოვთ, ერთ-ერთ სოფელში გზაზე ოცდახუთი მხედარი რომ შემოგხვდათ?

გიოცი. მართალია. პირველად ისინი მხოლოდ თორმეტი მეგონა და ჩემი რაზმი ორ ჯგუფად გაყავი, ჩვენ ხომ სულ თექვსმეტნი ვიყავით, — და დავრჩით სოფლის პირას, ფარდულეებს უკან, იმ განხრახებით, რომ ისინი ჩემს ახლოს ჩაივლიდნენ. მაშინ ჩვენ, როგორც ეს მეორე ჯგუფთან გვქონდა შეთანხმებული, ზურგიდან დავარტყამდით მათ.

ლერზე. მაგრამ ჩვენ შეგამჩნიეთ და ავედით ბორცვზე, სოფლის მახლობლად. თქვენ ახლოს ჩაგვიარეთ და ძირს შეჩერდით. როცა დავინახეთ, რომ ზევით ამოსვლას აღარ აპირებდით, ჩვენ თვითონ დავეშვით ქვევით.

გიოცი. მაშინვე მივხვდი, რომ ვაის გავეყარე და ვუის შევეყარე. ოცდახუთი რვის წინააღმდეგ! ეს ხუმრობა აღარაა. ერპარდ ტრუგესმა აბჯროსანი გამიგმირა ძირს ჩამოვადე იგი ცხენიდან. ყველას რომ ისე მამაცურად ებრძოლა, როგორც ის და კიდევ ერთი აბჯროსანი იბრძოდნენ, მე და ჩემს მცირე რაზმს შავი დღე დაგვადგებოდა.

ლერზე. აბჯროსანი, რომელზეც თქვენ ლაპარაკობთ...

გიოცი. მისებრ მამაცი მებრძოლი მე ჯერ არ მინახავს. ცხელ დღეში ჩამავადო. როცა მეგონა, უკვე თავიდან ჩამოვიცილე-მეთქი და დანარჩენთ მივუტრიალდი, კვლავ ჩემს წინ გაჩნდა და გაათრეებით შემომიტია. მან სამკლავე გამისხიბა და მკლავში ოდნავ დამჭრა.

ლერზე. აბატიეთ?

გიოცი. ძალიან მომეწონა.

ლერზე. აბა, მაშ იმედია, კმაყოფილი დამრჩებით — ჩემი ვაქვაცობის დამამტკიცებელი ნიმუში თვითონ თქვენზე აღგბეჭდე.

გიოცი. მაშ ის შენა ხარ? კეთილი იყოს შენი მოსვლა, ორგზის კეთილი! შეგიძლია დაიქადო, მაქსიმელიანე, რომ გყავს თუნდაც ერთი ასეთი მსახური.

ლერზე. პირდაპირ მიკვირს, მაშინვე რომ ვერ მიცანით.

გიოცი. თავში როგორ მომივიდოდა აზრად, რომ თავის სამსახურს შემომთავაზებდა ის ადამიანი, რომელიც ასე გაათრეებით ცდილობდა ჩემს დამარცხებას.

ლერზე. აი, სწორედ საქმეც ეგ არის, ბატონო ჩემო! ყრმობიდანვე მხედრად ვმსახურობ და ბევრ რაინდს შევებრძოლებიარ. თავს რომ დაგესხით, ძლიერ გამეხარდა. მანამდე მე მხოლოდ სახელი გამეგონა თქვენი, მაშინ კი პირადად გაგიცანით. თქვენ იცით, რომ მაშინ ვერ ვაგიძელით, მაგრამ ხომ დარწმუნდით, რომ ეს შიშით არ მომსვლია, რადგან ისევ თქვენ მოგიბრუნდით. ერთი სიტყვით, გნახეთ თუ არა, მაშინვე გადავწყვიტე, რომ თქვენთან შემსახურა.

გიოცი. რამდენ ხანს გინდათ ჩემთან დარჩეთ?

ლერზე. ერთი წელიწადი, მაგრამ ჯამაგირს კი არ გამოგართმევთ.

გიოცი. არა. თქვენ ისევე უნდა გადაგიხადოთ, როგორც სხვებს ვუხდი, და უფრო მეტიც, უნდა გადაგიხადოთ, როგორც

ისეთ ადამიანს, რომელმაც რემლინთან მძიმე მდგომარეობაში ჩა-  
მაგდო.

გეორგი შემოდის.

გეორგი. ჰანს ფონ ზელბიცი სალამს გითვლით. ხვალ იგი  
ორმოცდაათი კაცით აქ იქნება.

გიოცი. კარგია!

გეორგი. კოხერის მახლობლად ძირს ეშვება საიმპერიო რაზ-  
მი, უთუოდ თქვენს დასახვერადად.

გიოცი. რამდენი კაცი იქნება?

გეორგი. ორმოცდაათი.

გიოცი. მეტი არა? წავიდეთ, ლერზე, ჩვენ მათ გავანადგუ-  
რებთ; ზელბიცის მოსვლამდე ნაწილი საქმე მაინც მოვითავოთ.

ლერზე. უხვი მოსავალი იქნება!

გიოცი. ცხენებზე! (გადიან.)

### ტყე ზაოზის პირას

იმპერატორის ორი აბჯროსანი ერთმანეთს ხვდება.

პირველი აბჯროსანი. აქ რას აკეთებ?

მეორე აბჯროსანი. გავთავისუფლდი საქირო საქმის გა-  
მო. გუშინ საღამომდელი ალიაქოთის შემდეგ გულ-მუცელი ისე  
მგვრემდა, რომ ყოველ წამს ცხენიდან უნდა ჩამოვხტაროყავ.

პირველი აბჯროსანი. რაში აქ ახლოსაა?

მეორე აბჯროსანი. ტყეშია, აქედან ერთი საათის სა-  
ვალი გზაც არ იქნება.

პირველი აბჯროსანი. აქ როგორ მოხვდი?

მეორე აბჯროსანი. გეხვეწები, არ გამცე. მინდა მახლო-  
ბელ სოფლამდე მივალწიო, ეცადო, თბილი საფენები ხომ არ უშვე-  
ლის ჩემს ავადმყოფობას. შენ საიდანღა მოდიხარ?

პირველი აბჯროსანი. მახლობელ სოფლიდან. პური და  
ღვინო წამოვიღე ჩვენი ოფიცრისათვის.

მეორე აბჯროსანი. ასეა, ასე! იგი ჩვენს თვალწინ ეგრე  
ანებვირებს თავის თავს და ჩვენ კი უნდა ვიმარხულოთ. კარგი  
საქმეა!

პირველი აბჯროსანი. წამომყევი, უკან დაებრუნდეთ,  
უკეთურო!

მეორე აბჯროსანი. სულელი ხომ არა ვარ! ბევრი ჩვენი  
რაზმელი სიამოვნებით იმარხულებდა, ოღონდაც ჩემსავით ასე  
შორს გამოვლწიო.

პირველი აბჯროსანი. გესმის? ცხენებს მოაქენებენ!

მეორე აბჯროსანი. აი, უბედურება!

პირველი აბჯროსანი. მე ხეზე ავცოცდები.

მეორე აბჯროსანი. მე კი ლერწმიანში შევძვრები.

გიოცი, ლერზე, გეორგი ცხენებით.

გიოცი. აქეთ, ამ ტბორის მახლობლად, შემდეგ მარცხნივ  
ტყეში და ასე მოვექცევით მათ ზურგში. (ახლოს ჩაივლიან.)

პირველი აბჯროსანი (ჩამოცოცდება ხიდან). აქ ყოფნა კარგს  
არაფერს გეიქადის. მიხელ! პასუხს არ მაძლევ? მიხელ, ისინი უკვე  
წავიდნენ! (მივიდა ჰაობთან.) მიხელ! ვაიმე! ჩაძირულა! მიხელ! აღარ  
ესმის, დამხრჩვალა! ჩამხრჩვალხარ, შე ლაჩარო, შენა! — ჩვენ დაე-  
მარცხდით. მტრები, ყველგან მტრები!

გიოცი, გეორგი ცხენებით.

გიოცი. შესდექ, ბიჭო, თორემ ახლაცე გავათავებ!

პირველი აბჯროსანი. შემობრალეთ, ნუ მომკლავთ!

გიოცი. ხმალი მომეცი! გეორგი, წაიყვანე დანარჩენ ტყვეებ-  
თან, ლერზეს რომ ჰყავს იქ, ტყეში. მე უნდა იმათ გაქციულ მე-  
თაურს დავეწიო. (გადის.)

აბჯროსანი. რა დაემართა ჩვენს მეთაურს?

გეორგი. ჩემმა ბატონმა იგი ცხენიდან ისე გადმონარცხა,  
რომ ზევიდან თავდაყირა წამოვიდა და მისი ჯილა პირდაპირ ტა-  
ლახში ჩაერქო. თავის მხედრებმა წამოაყენეს, შესვეს ისევე ცხენზე  
და დამთხვეულგზებით მოჰკურცხლეს.

(გადიან.)

### ბანაკი

კაპიტანი. პირველი რაინდი.

პირველი რაინდი. ისინი ბანაკში მორბიან.

კაპიტანი. იგი კვალდაკვალ მოსდევს. ორმოცდაათი კაცი  
გაგზავნეთ წისქვილისაკენ; თუ ის ძალზე შორს შეიჭრება, იქნებ  
ხელში ჩაიგდოთ. (რაინდი გადის.)

შემოდის მეორე რაინდი.

კაპიტანი. როგორაა საქმე, ახალგაზრდავ? მოიმტვრიეთ რქები?

რაინდი. შავი ჭირი მოხვედრია იმ ეშმაკის კერძსა! რკინის რქებიც რომ მქონოდა, მინასავით დაილეწებოდა. ისე წამომიქროლა, მეგონა, მეხი დამეცა და მიწაში ჩავიფალი-მეთქი.

კაპიტანი. ღმერთს მადლობა შესწირეთ, რომ ცოცხალი მაინც გადარჩენილხართ.

რაინდი. მადლობა რისთვისღა შევწირო, ორი ნეკნი ჩამტვრეული მაქვს... სად არის ფერშალი?

### იასტჰაუზენი

გიოცი. ზელბიცი.

გიოცი. რას იტყვი, ზელბიცი, ჩემს შერისხვაზე?

ზელბიცი. ვაისლინგენის ოინია.

გიოცი. ეგრე ფიქრობ?

ზელბიცი. კი არა ვფიქრობ, ვიცი.

გიოცი. საიდან?

ზელბიცი. აკი გითხარი, რომ იმპერატორის ამაღლაში იყო და რაიხსტაგს ესწრებოდა-მეთქი.

გიოცი. კეთილი. ვაისლინგენს კიდევ დავმართებთ ოინს.

ზელბიცი. იმედი მაქვს.

გიოცი. წავიდეთ! კურდღლებზე ნადირობა ახლა იწყება.

### ბანაკი

კაპიტანი. რაინდები.

კაპიტანი. ასე არაფერი გამოვა, ბატონებო. იგი ერთიმეორეზე ამსხვრევს ჩვენს რაზმებს; ვინც ჯერ კიდევ ცოცხალია და ტყვედ არ ჩავარდნილა, ღმერთმა უწყის, საით გარბის და უფრო მალე თურქეთში აღმოჩნდება, ვიდრე ჩვენს მხარეში. ყოველდღე ვსუსტდებით. ერთხელ და სამუდამოდ უნდა გავათათ მასთან საქმე, ეს ხუმრობა როდია. ახლა მე თვითონ წავიყვანთ. დაე ბერლინიზენმა გაიგოს, ვისთან აქვს საქმე.

რაინდი. ჩვენ ყველანი თანახმა ვართ, მაგრამ იგი ისე მარჯვე და გაწაფულია საველე ბრძოლაში, ისე კარგად იცის ამ მთების

ასავალ-დასავალი, რომ მისი შეპყრობა ისევე ძნელია, როგორც თავის დაჭერა პურიტ სავსე ბელელში.

კაპიტანი. არაფერია, შევიპყრობთ. ჯერ იაქსტჰაუზენისკენ! ნებავს თუ არ ნებავს, იგი იძულებული ვახდება გამოცხადდეს თავის ციხე-დარბაზის დასაცავად.

რაინდი. მთელი რაზმი უნდა წავიდეს?

კაპიტანი. რალა თქმა უნდა. იცით, რომ ჩვენ ასე კაცი უკვე დავკარგეთ?

რაინდი. ამიტომაც უნდა ავჩქარდეთ, ვიდრე ყინული არ გამდნარა; ძალზე დაცხა და კარაქივით ვდნებით ამ მზეზე-გადის.)

### მთები და ტყე

გიოცი. ზელბიცი. რაზმი.

გიოცი. მთელი ჯარი მოდის. ზიკინგენის მხედრებმა სწორედ სულზე მოგვისწრეს.

ზელბიცი. ჯგუფ-ჯგუფად დავიყოფით. მე ამ ბორცვს მარცხნიდან შემოვუვლი.

გიოცი. კარგი. შენ კი, ფრანც, წაიყვანე ორმოცდაათი კაცი და მარჯვნივ, ტყით გასწიე. ისინი მდელიოზე მოდიან. მე დავხედდები იმათ. შენ ჩემთან დარჩები, გეორგ. რა წახსაც დაინახავთ, რომ ისინი თავს დამესხნენ, მაშინვე გვერდებიდან დასცხეთ. ერთი მაგრად გავსილაქოთ. არც კი ფიქრობენ, რომ მარჯვედ დავუხვდებით. (გადის.)

### ველი, მართ მხარეს — მალლოზი, მორე მხარეს — ტყე

კაპიტანი. დამსჯელი რაზმი.

კაპიტანი. ველზე დგას! ეს თავხედობაა. სეირს ვუჩვენებ ამისათვის. როგორ? ვერ ამჩნევს ამ ნიაღვარს, მისკენ რომ მიეკანება?

რაინდი. არ მსურს, რომ რაზმს თქვენ წარუძღვეთ. მას ისეთი გაშმაგება ეტყობა სახეზე, რომ ვინც პირველი შეეტაკება, მგონი ცოცხლად ჩაფლას მიწაში. უკან იარეთ!

კაპიტანი. ეგ მე არ მინდა.

რაინდი. გთხოვთ. ჯერ კიდევ აკოწიწებთ ამ წკებლების კო-

ნას, ხელი რომ შეუშვათ და დაიშალოს, ბერლინინგენი ისლის  
ღერობივით დაგვამტვრევს ცალ-ცალკე.

კაპიტანი. ჰეი, მებუკვე! ჩაბბერე, რომ იგი მთლად გაეა-  
ქროთ ბრძოლის ველიდან. (გადის.)

ზელბიცი ოთხით მოაქვენებს ცხენს მალლობის უკანა მხრიდან.

ზელბიცი. უკან მომყევით! ისე დაეცხოთ, რომ თავზარდა-  
ცემულნი გაიძახოდნენ: თვითელს ცხრა-ცხრა ხელი აბიაო.

ღერზე ტყიდან.

ღერზე. ვუშველოთ გიოცს! ლამისაა ალყაში მოექცეს. შენ  
უკვე გზა გასწვინდე, მამაცო ზელბიცი. ჩვენ კი ამ ველზე დავთე-  
სავთ მათ ღიჭა-რძილა თავებს. (გადის. ისმის ბრძოლის ხმაური.)

### ბოტცი სათვალთვალო კოშკით

დაჭრილი ზელბიცი. აბჯროსნები.

ზელბიცი. აქ დამასვენეთ და დაბრუნდით გიოცისაკენ!  
პირველი აბჯროსანი. ნება გვიბოძეთ, დაერჩეთ, ბატო-  
ნო. დაგჭირდებით.

ზელბიცი. ავიდეს ვინმე საგუშაგოზე და გადახედოს, როგორ  
მიდის საქმე.

პირველი აბჯროსანი. როგორ უნდა ავიდე ზევით?

მეორე აბჯროსანი. მხრებზე შემადექი, მაშინ შეგეჭლებო  
კედლის ნაპრალებზე მოიკიდო ფეხი და სათოფურამდე მიიღწიო.

პირველი აბჯროსანი (ხევით ადის). აჰ, ბატონო!

ზელბიცი. რას ხედავ?

პირველი აბჯროსანი. თქვენი მხედრები მირბიან მალ-  
ლობისკენ.

ზელბიცი. დასწყველოს ღმერთმა ეგ ლაჩრები. ოღონდაც  
გამაგრებულიყვნენ და თუნდაც ტყვია მომხვედროდა შუბლში. დე  
ვინმე იქით გაექანოს ცხენით! რადაც არ უნდა დაგვაჯდეს, უნდა  
შევაჩროთ. (აბჯროსანი გადის.) გიოცს ხედავ?

აბჯროსანი. სამ შავ ფრთას ვხედავ ცხარე ბრძოლის შუა-  
გულში.

ზელბიცი. იცურე შენ, მარჯვე მცურავო! მე კი აქ ვწევარ.

აბჯროსანი. თეთრი ჯალა! ვინ უნდა იყოს?

ზელბიცი. მეთაური.

აბჯროსანი. გიოცი მიიწევს მისკენ! აჰ! იგი ძირს ეცემა.

ზელბიცი. მეთაური?

აბჯროსანი. დიახ, ბატონო.

ზელბიცი. კარგია, კარგი!

აბჯროსანი. ვაიმე! ვაიმე! გიოცს ველარ ვხედავ.

ზელბიცი. მაშ მოკვდი, ზელბიცი!

აბჯროსანი. საშინელი ბრძოლაა გახურებული, სადაც ის  
იდგა. გეორგის ტისფერი ჯილატ გაპქრა.

ზელბიცი. ჩამოდი. ღერზეს ვერ ხედავ?

აბჯროსანი. ველარავის ვხედავ. ყველაფერი ერთმანეთში  
აირია.

ზელბიცი. ყველაფერი გათავდა. ჩამოდი. როგორ იბრძოდ-  
ნენ ზიკინგენის მხედრები?

აბჯროსანი. ყოჩაღად. აგერ, ერთი გარბის ტყისაკენ. აგერ  
მეორეც! მთელი რაზმი! გიოცი არ ჩანს.

ზელბიცი. ჩამოდი ძირს!

აბჯროსანი. არ შემიძლია... რა კარგია! რა სასიხარულო!  
გიოცს ვხედავ, გეორგიც დავინახე!

ზელბიცი. ცხენებზე სხედან?

აბჯროსანი. დიახ, ცხენებზე! გამარჯვება! გამარჯვება! ისი-  
ნა გარბიან.

ზელბიცი. იმპერიის ჯარისკაცები?

აბჯროსანი. დროშა მებრძოლთა შუაგულში ფრიალებს.  
გიოცი მიიწევს დროშისაკენ. ისინი გაიფანტნენ. აგერ გიოცი  
მტრებს დაეწია. დროშა ხელთ იგდო. იგი გამაგრდა. მის ირგვლივ  
ერთი მუჭა ხალხილა დარჩა, ჩემმა ამხანაგმა გიოცთან გააღწია...  
ისინი აქეთ მოპქრიან.

გიოცი. გეორგი. ღერზე. რაზმი.

ზელბიცი. მომილოცავს, გიოცი! გაემარჯვეთ! გაემარჯვეთ!

გიოცი (ცხენიდან ჩამოხტება). ძვირად დაგვიჯდა! ძვირად! და-  
ჭრილი ხარ, ზელბიცი?

ზელბიცი. შენ ცოცხალი ხარ, გამარჯვებული! მე კი ბევრი  
არაფერი გამიკეთებია. ჩემი ქოფაკი მხედრები! როგორ დააღწიე  
თავი?

გიოცი. ამჯერად მაგრა დაგვცხა. ჩემს სიცოცხლეს გეორგსა და ლერზეს უმადლი. მეთაური ცხენიდან გადმოვავდე. მათ ძირს დასცეს ჩემი ცხენი და ზედ მომაწყდნენ. გეორგი ჩემსკენ გამოიჭრა, ჩქარობდა ძალზე. მე ელვის სისწრაფით მოვახტი მის ცხენს და გეორგიც თვალის დახამხამებაზე ისევ ცხენზე იჯდა. როგორ იშოვე ცხენი?

გეორგი. ჩემი ხანჯლით გავგმირე ერთ-ერთი მებრძოლი, რომელიც შენამდე მოღწევას აპირებდა. როცა მისმა ჯაჭკურტაკმა ზევით წამოიწია, იგი წამსვე ძირს დაენარცხა და, ამგვარად, თქვენ მტრისაგან გისხენით, ხოლო ჩემთვის ცხენი ვიშოვე.

გიოცი. ასე გავიჩხირეთ, ვიდრე ფრანცი არ მოგვეშველა. მაშინ კი დაუწყეთ მათ ჟღერს, რომ თავი დაგვეღწია.

ლერზე. იმ ძაღლებს კი, რომელთაც მე წინ მივუძღოდი, სხვა მხრიდან უნდა დაერთყათ მტრისთვის, ვიდრე ერთმანეთს არ შევხვდებოდით. მაგრამ მათაც იმპერიის ჯარისკაცებზე მოკურცხლეს.

გიოცი. გარბოდა მტერიცა და მეგობარიც. მხოლოდ მეგობართა მცირე ჯგუფი მიმაგრებდა ზურგს. მე საკმაო საქმე გამომიჩნდა ჩემს წინ მდგარ ყმაწვილებთან. მათი მეთაურის ცხენიდან ჩამოგდება ძლიერ დაგვეხმარა, რომ თავზარი დამეცა მათთვის და იმათაც მოუსვენს. ხელთ ვიგდე მოწინააღმდეგის დროშა და რამდენიმე ტყვე.

ზელბიცი. მეთაური ხელიდან დაგისხლტათ?

გიოცი. იმ აურზაურში მებრძოლებმა წაიყვანეს იგი. წავიდეთ, ბიჭებო! წავიდეთ, ზელბიცი! გააკეთეთ ხის ტოტების საკაცე; შენ ხომ ცხენზე შეჯდომა არ შეგიძლია. წავიდეთ ჩემს ციხე-დარბაზში. ისინი გაფანტულნი არიან. მაგრამ ჩვენ ცოტანი ვართ და მე არ ვიცი, ჰყავთ თუ არა მათ ჯარი კიდევ. მინდა გაგიმასპინძლდე, ჩემო მეგობრებო, ერთი კიჭა ღვინო ასეთი ბრძოლის შემდეგ უფრო სასიამოვნოა.

## ბანაკი

კაპიტანი.

მე თქვენ ყველას საკუთარი ხელით დაგახრჩობდით! რას გარბოდნენ! მას ერთი ჯარისკაციც კი აღარ შერჩა! ერთ კაცს როგორ გაექცნენ! ამას არავინ დაიჯერებს, თუ ვინმეს ჩვენი დაცინვა

არ მოესურვა. გასწით ყოველ კუთხეში თქვენ, თქვენცა და თქვენც. სადაც კი ნახოთ ლტოლვილი მხედრები, მორეკეთ უკან ან ადგილზევე დახოცეთ. ანგარიში უნდა გავასწოროთ, თუნდაც ამას მთელი ჯარი მსხვერპლად შეეწიროს.

## იამსტაპუშენი

გიოცი. ლერზე. გეორგი.

გიოცი. ერთი წამიც არ უნდა დაუყოვნოთ. საბრალო ყრმებო, არ შემოძლია ოდნავ სული მოგათქმევინოთ. სასწრაფოდ გაეშურეთ ყოველ მხარეს, იქნებ სადმე იშოვოთ მხედრები. ყველამ ვაილერში მოიყაროს თავი. იგი ყველაზე მეტად საიმედო ადგილია. თუ დაუყოვნებთ, ისინი ჩემს ციხე დარბაზს მოადგებიან. (გეორგი და ლერზე გადიან.) დასაწვერავად უნდა გავგზავნო ვინმე. ცხელი დღე დაგვადგება. მამაცი ვაჟკაცები მაინც მაშოვნინა! ესენი ხომ ცხვრები არიან.

ზიკინგენი. მარია.

მარია. ნუ მიატოვებთ ჩემს ძმას, ძვირფასო ზიკინგენ, გთხოვთ, გვედრებით! მისი, თქვენი და ზელბიციის მხედრები — ყველანი გაიფანტნენ. იგი მარტოდმარტოა ახლა, ზელბიცი ხომ დაჭრილია და თავის ციხე-დარბაზში იმყოფება. ძალზე მეშინია.

ზიკინგენი. დამშვიდდით, არ წავალ.

შენოდის გიოცი.

გიოცი. წავიდეთ ეკლესიაში, მღვდელი გველოდება. თხუთმეტ წუთში ჯვარდაწერილი წყვილი უნდა იყოს.

ზიკინგენი. ნება მიბოძე, აქ დავრჩე.

გიოცი. ახლავე წაბრძანდით ეკლესიაში.

ზიკინგენი. სიამოვნებით, მაგრამ შემდეგ?

გიოცი. შემდეგ თქვენი გზით წახვალთ.

ზიკინგენი. გიოცი!

გიოცი. არ გასურთ ეკლესიაში წასვლა?

ზიკინგენი. წავიდეთ, წავიდეთ!

## ბანაკი

კაპიტანი. რაინდი.

კაპიტანი. სულ რამდენი კაცია?

რაინდი. ას ორმოცდაათი.

კაპიტანი. რთხასიდან! ცუდადაა საქმე. ახლავე ამხედრდით

და გასწიეთ პირდაპირ იაქსტჰაუზენისკენ, ვიდრე იგი ხელახლა  
ძალ-ღონეს მოიკრებს და გზას გადაგვიღობავს.

### იაქსტჰაუზენი

გიოცი. ელისაბედი. მარია. ზიკინგენი.

გიოცი. ღმერთმა დაგლოცოთ, მოგივლინოთ დღენი ნეტარი.  
რაც თქვენ დაგაკლდეთ, ის თქვენს შვილებს შეემატოს.

ელისაბედი. ღმერთმა ქნას, ისინი თქვენებრ პატიოსნებით  
გამოვიდნენ, დანარჩენი კი თავისთავად იქნება.

ზიკინგენი. დიდად გმადლობთ, ჩემო ძვირფასო, გმად-  
ლობთ, მარია. მე თქვენ საკურთხეველთან მიგიყვანეთ, თქვენ კი  
ნეტარებისკენ უნდა წამიყვანოთ.

მარია. ჩვენ ერთად გავუდგებით გზას ამ უცხო და დი-  
დებულ ქვეყანაში.

გიოცი. ბედნიერ მგზავრობას გისურვებთ!

მარია. მე ეგ არ მიგულისხმია. არ დაგტოვებთ.

გიოცი. უნდა დაგეტოვოთ, ჩემო ძვირფასო დაო.

მარია. ძლიერ შეუბრალებელი ხარ, ძმაო ჩემო!

გიოცი. თქვენ კი უფრო გულჩვილი ხართ, ვიდრე შორს-  
მკვრეტელი.

### შემოდის გეორგი.

გეორგი (საიდუმლოდ). ვერაინ ვიმოვნე; მხოლოდ ერთი  
დაეყოლიე, მაგრამ შემდეგ გადაიფიქრა და იმანაც უარი მითხრა.

გიოცი (ჩუმად). კარგი, გეორგ. ჩანს, რომ ბედი უკვე მლა-  
ლატობს. მაგას მეც ვგრანობდი წინასწარ. (ხამალა.) გთხოვთ, ამ  
სალამოსვე გაემგზავროთ, ზიკინგენ, დაეყოლიეთ მარია. იგი ხომ  
თქენი ცოლია. დაე მან ეს იგრანოს. როცა ცოლები ჩვენს საქ-  
მეებში ჩარევას დაიწყებენ, მაშინ მტერი ტრიალ მინდორზეც კი  
თავს უფრო უშიშრად იგრანობს, ვიდრე ჩვენ—ციხე-დარბაზში გა-  
მაგრებულნი.

### შემოდის აბჯროსანი.

აბჯროსანი (ჩუმად). იმპერიის ესკადრონი მარშით მოე-  
მართება აქეთკენ.

გიოცი. მე ისინი წკებლის ცემით გამოვაფხიზლე. რამდენი  
კაცი იქნება?

აბჯროსანი. დაახლოებით ორასი. ორი საათის გზა თუ  
დარჩენიათ აქამდე.

გიოცი. მაშ ჯერ კიდევ მდინარის გაღმა იქნებიან!

აბჯროსანი. დიახ, ბატონო.

გიოცი. ორმოცდაათი კაცი მაინც რომ მყოლოდა, თავს ვე-  
ლარ დამსხმოდნენ. ლერზე არ გინახავს?

აბჯროსანი. არა, ბატონო.

გიოცი. გადაეცი ყველას, რომ მზად იყვნენ. ერთმანეთს უნდა  
დავშორდეთ, ჩემო ძვირფასებო! იტირე, ჩემო კეთილო მარია,  
დადგება დრო და შენც გაიხარებ. უმჯობესია იტირო ქორწინების  
ჯამს, ვიდრე უზომო სიხარული გაგიხდეს მომავალ უბედურებათა  
მაუწყებელი. მშვიდობით, მარია! მშვიდობით, ძმაო!

მარია. მე თქვენ ვერ დაგტოვებთ! ძვირფასო ძმაო, ნება  
მომეცი, დაერჩე. ნუთუ ჩემს ქმარს იწდენ პატივს არა სცემ, რომ  
ამ უკიდურეს გაჭირვების ჯამს გაურბი მის დახმარებას?

გიოცი. დიახ, ძლიერ შორს შევტოპე. იწნებ ჩემი აღსას-  
რული კიდევაც მოაქლოვდა. შენ და ზიკინგენი კი ახლა იწყებთ  
ცხოვრებას და თქვენი ბედი ჩენსას არ უნდა დაუკავშიროთ. უკვე  
ვუბრძანე, ცხენები შეკაზმონ. ახლავე უნდა გაემგზავროთ.

მარია. ო, ძმაო! ძმაო!

ელისაბედი (ზიკინგენს). დაემორჩილეთ მას! გაემგზავრეთ!

ზიკინგენი. წავიდეთ, ძვირფასო მარია!

მარია. შენც? გული მისკდება მწუხარებისაგან.

გიოცი. მაშ დარჩი, რაღა გაეწუბა. ჩემს ციხე-კოშკს მალე  
აღყვას შემოარტყამენ.

მარია. ვაგლახ! ვაგლახ!

გიოცი. ჩვენ თავს დავიცავთ და ვიბრძოლებთ უკანასკნელ  
სისხლის წვეთამდე.

მარია. შეგვიბრალებ, დედაო ღვთისაგ!

გიოცი. ბოლოს და ბოლოს, ან დავიხოცებით, ან დავნებ-  
დებით. შენ კი უნდა დაიტყო ჩვენთან ერთად შენი კეთილშო-  
ბილი ქმარიც, მონაწილე ჩემი ბედისა.

მარია. რატომ მტანჯავ? რატომ მაწამებ?

გიოცი. დარჩი! დარჩი! ჩვენ აქ ერთად დავგატყვევებენ.  
შენც ჩემთან ერთად დაინთქმები ამ უფსკრულში, ზიკინგენ! მე  
კი იმედი მქონდა, რომ ამ უბედურებიდან გამომიხსნიდი.

მარია. წავიდეთ! აჰ, დაო, დაო!

გიოცი. როცა სამშვიდობოს გაიყვან ჩემს დას, მეც მომიგონეთ.

ზიკინგენი. ვიღრე არ გავიგებ, რომ თქვენ საფრთხე აგცდათ, მის სარეცელს არ გავიზიარებ.

გიოცი. დაო, საყვარელო დაო! (ჰკონის.)

ზიკინგენი. წავიდეთ! წავიდეთ!

გიოცი. ერთი წამი კიდევ მოიცადეთ. მე კიდევ გნახავთ. დამშვიდდით. კიდევ ვნახავთ ერთმანეთს. (ზიკინგენი და მარია გადიან.) ძალით გავუზავნე. აი, მარია მიდის. მე კი მსურდა დარჩენილიყო. ელისაბედ, მარტო შენ დამრჩი.

ელისაბედი. სიკვდილამდე შენთან ვიქნები!

გიოცი. ვინაც ღმერთს უყვარს, ასეთ ცოლსაც მას მისცემს მხოლოდ.

შემოდის გეორგი.

გეორგი. ისინი უკვე მოახლოვდნენ. კოშკიდან დავინახე. მზე ამოვიდა და თვალი მოვკარ, როგორ ელვარებენ მათი შუბლები. თუმცა მათ დანახვაზე ისე შევშინდი, როგორც კატას შეეშინდება, როცა თავგთა ლაშქარს იხილავს ხოლმე. ეს კია ვირთაგვების როლში ჩვენ გამოვდივართ ახლა.

გიოცი. შეამოწმე ჭიშკრის ურდულები. მიაყარე შიგნიდან ქვა და ხერგი! (გეორგი გადის.) ვნახოთ, სადამდე ეყოფათ სულელური მოთმინება ან თავიანთი ცხვირებით კედელს როგორ შემოანგრევენ. (ისმის მებუჯის ხმა.) აჰა! წითელხიფთანიანი არამზაღა გვეკითხება, უნამუსოები გავხდებით თუ არა. (მიდის ფანჯრისაკენ.) რა ამბავია? (შორიდან მოისმის ლაპარაკის ხმა.)

გიოცი (თავისთვის ჩაილაპარაკებს). ყულფი შენს კისერზე! (მებუჯე განაგრძობს ლაპარაკს.) «უდიდებულესობის შეურაცხყოფელი!» ბრძინება ხუცესმა შეადგინა. (მებუჯე ლაპარაკი დამთავრა. გიოცი პასუხს აძლევს.) მე დავგნებდეთ? ჩემი ბედ-იღბალი თქვენ ჩაგაბაროთ? ვის ელაპარაკებთ? ყაჩაღი ხომ არა ვარ?! უთხარი შენს კაპიტანს, რომ მის იმპერატორობითს უდიდებულესობას, როგორც ყოველთვის, ჯეროვან პატივსა ვცემ. ხოლო მას კი, ასე გადაეცი კაპიტანს შენსას, მას შეუძლია მე... (ფანჯარას მიაჯახუნებს.)

ალჟა. სამჯარეულო

ელისაბედი. გიოცი.

გიოცი. ბევრი საქმე გაქვს, საბრალო მეუღლე. ელისაბედი. ნეტავ უფრო მეტი მქონდეს. ჩვენ დიღხანს ველარ გავძლებთ.

გიოცი. აღარ დაგვცალდა, რომ სურსათი მოგვემარაგებინა.

ელისაბედი. მერედა, რამდენ ხალხს უნდა კვება. ღვინო უკვე გვითავდება.

გიოცი. იმ დრომდე მაინც გავძლოთ, სანამ კაპიტულაციის წინადადებას არ მოგვცემენ. ვაჟკაცურად ვუწევთ წინააღმდეგობას. ისინი მთელი დღე გვესვრიან, მაგრამ მხოლოდ კედლებსა და მინებს გვიზიანებენ. ლერზე ყოჩაღი ბიჭია. იგი ყოველთვის მზადაა თავისი სიათით; მოახლოვდება თუ არა ვინმე, ბუჰ და კაცი უკვე ძირს გდია.

აბჯროსანი. ნახშირი მოგვეცით, ქალბატონო!

ელისაბედი. ნახშირი რადლა გინდათ?

აბჯროსანი. ტყვია სულ გამოგველია. ახალი უნდა ჩამოვასხათ.

გიოცი. თოფის წამლის საქმე როგორღაა?

აბჯროსანი. არა უშავს რა. თოფის წამალს ფუჭად როდი ვხარჯავთ.

დ ა რ ბ ა ზ ი

ლერზე, ხელში ტყვიის ჩამოსასხმელი ყალიბით.

აბჯროსანი ნახშირით.

ლერზე. დაყარე აქ და წადი, სახლი დაათვალიერე, სად შეიძლება ტყვიის შოვნა. ამასობაში მეც აქ რამეს ვიშოვი. (ამოიღებს ფანჯრის ჩარჩოს და მიწებს დაამხვრევს.) ყველაფერი გამოსადეგია. ეს წუთისოფელი ასეა მოწყობილი: არავინ იცის, საქმე როგორ დატრიალდება. მეშუშე, რომელმაც ეს მინები ჩასვა, ალბათ არც ფიქრობდა, რომ ამ ფანჯრის ალათების ტყვია მის ერთ-ერთ ბადიშიშვილს თავს საშინლად დაუზიანებს. ასევე მამაჩემსაც, რომელმაც ამქვეყნად მომავლინა, უთუოდ არ უფიქრია, რომელი ფრინველის საჯიჯგნი ან რომელი ქიის შესაჭმელი გავხდები.

შემოდის გეორგი ხელში სახურავის ღარდანი.

გეორგი. აჰა, ესეც შენი ტყვია. თუ ამის ნახევარი მაინც



მიზანში მოხვდა, მაშინ ველარაგინ ეტყვის მის უდიდებულესობას: „ხელმწიფეო, ცუდად ვიბრძოდით“.

ლერზე (სჭრის ღარღანს). დიდებული ნაჭერია.

გეორგი. დაე წვიმამ სხვა გზა მოძებნოს! ამის გამო მე თავს არ შევიწუხებ. მამაცი მხედარი და კოკისპირული წვიმა გზას ყველგან გაიკვლივენ.

ლერზე (ასხამს). დაიქი კოვზი! (მიდის ფანჯარასთან.) აი, იქ იმპერიის რომელიღაც საჭურველთმტვირთველი დაყიალობს. ისინი ფიქრობენ, რომ ტყვია-წამალი სულ გაგვითავდა. დე ერთი გასინჯოს პირდაპირ ტაფიდან გადმოღებული ცხელი ტყვია. (სტენის.)

გეორგი (კოვზს დადებს). ერთი შემახედე.

ლერზე (ესვრის). სული გააფრთხო ბელურამ!

გეორგი. წელან მაგან მესროლა, (ტყვიას ასხამენ.) როდესაც სამერცხლურიდან გაძვერი ღარღანის გულისათვის, მაგრამ მტრედს მოახვედრა, რომელიც ჩემს მახლობლად იჯდა. იგი შიგ ღარღანში ჩავარდა. მე მადლობა გადაუხადე მას შემწერისათვის და ორმაგი ნადავლით უკანვე ჩამოვძვერი.

ლერზე. აბა, დაეტენოთ სიათები და შემოვიაროთ მთელი ციხე-კოშკი, რომ სადილი ალალი იყოს ჩვენზე.

შემოდის გიოცი.

გიოცი. მოიცა, ლერზე! მინდა მოგელაპარაკო. შეგიძლია სანადიროდ გასწიო, გეორგი. (გეორგი გადის.) ისინი რაღაც წინადადებას ამზადებენ.

ლერზე. ჩავალ მათთან და გავიგებ, რა წინადადებაა.

გიოცი. მე ვფიქრობ რაინდულ პატიმრობას შემთავაზებენ გარკვეული პირობებით.

ლერზე. ო, ეგ არ ვარგა. არ სჯობდა თავისუფლად გავეშვით აქედან? თქვენ ხომ ზიკინგენის იმედი აღარა გაქვთ, ალყა მოხსნას? ოქრო-ვერცხლს კი ისე დავფლავდით, რომ მათ ჯადოსნური ჯოხითაც ვერ ეპოვნათ, ჩაეხარებდით ციხეს და თვითონ კი უვნებლად გავეცლებოდით.

გიოცი. არ გაგვიშვებენ.

ლერზე. ცდა ბედის მონახევრეაო. წავიყოლებ საიმედო დაცვას და ჩავალ მათთან. (გადის.)

ღ ა რ ბ ა ზ ი

გიოცი. ელისაბედი. გეორგი. აბჯროსნები  
სურასთან.

გიოცი. ასე დაგვაახლოვა საფრთხემ ერთმანეთთან. მიირთვით, ჩემო მეგობრებო! ნურც ღვინის დაღვევას დაივიწყებთ! ბოთლი გამოცარიელებულა. ერთი კიდევ მოიტანე, საყვარელო მეუღლე! (ელისაბედი მხრეს აიჩნევს.) ერთი ბოთლიც აღარ დარჩა?

ელისაბედი (ჩუმად). ერთი ბოთლიღაა, შენთვის გადავინახე.

გიოცი. არა, ძვირფასო! აქ მოიტანე! მე კი არა, ამათ სჭირდებათ ჯანზე მოყვანა. მე ხომ ჩემი საქმისათვის ვიბრძვი.

ელისაბედი. გამოიღეთ კარადიდან!

გიოცი. ეს უკანასკნელია და, ჩემი ფიქრით, აზრი სულაც არა აქვს მის შენახვას. დიდი ხანია ასე მხიარულად არა ვყოფილვარ. (ასხამს.) გაუმარჯოს იმპერატორს!

ყველა. გაუმარჯოს!

გიოცი. დაე ეს იყოს უკანასკნელი სიტყვა, თუ სიკვდილი გვიწერია. მე მიყვარს იგი; ჩვენ ხომ ერთნაირი ბედი გვაქვს. მე იმპერატორზე ბედნიერიც კი ვარ. მან უნდა თავგები დაიქიროს საიმპერიო ხარისხისათვის, ამ დროს კი ვირთხები მის სამფლობელოს აოხრებენ. იმპერატორს ზოგჯერ სიკვდილიც კი ურჩევნია ასეთ დაძაბუნებულ სიცოცხლეს. (ასხამს.) სწორედ თითო-თითო კიდევ გამოგვივა. მაგრამ, როცა სისხლი ძარღვებიდან ისე დაიწყებს დენას, როგორც ღვინო მოდის ამ ბოთლიდან, ჯერ ნაკადივით, შემდეგ კი წვეთ-წვეთობით, (ასხამს თავის ჭიქაში დარჩენილ ღვინის უკანასკნელ წვეთებს.) რა იქნება მაშინ ჩვენი უკანასკნელი სიტყვა?

გეორგი. გაუმარჯოს თავისუფლებას!

გიოცი. გაუმარჯოს თავისუფლებას!

ყველა. გაუმარჯოს თავისუფლებას!

გიოცი. და როცა იგი მოგვინელებს, შეგიძლია მშვიდად დაეიხონცნეთ. მაშინ ჩვენი სული იხილავს ჩვენს ბედნიერ შვილიშვილებს და მათ ბედნიერ იმპერატორებს. თუ მსახურნი თავადებს ისევე ერთგულად და თავისუფლად მოემსახურებიან, როგორც თქვენ მე მემსახურებით, მაშინ თავადებაც იმპერატორს ისეთსავე სამსახურს გაუწევენ, როგორიც მე მსურდა მისთვის.

გეორგი. მანამდე ბევრი რამ უნდა შეიცვალოს.

გიოცი. არც ისე ბევრი, როგორც გვეგონა. განა თავადთა შორის არ შევხვედრდით საუცხოო ადამიანებს? ნუთუ მათი მოდგმა სულ ამოწყდა? ეს კეთილი ადამიანები თვითონაც ბედნიერები იყვნენ და ქვეშევრდომნიც ბედნიერები ჰყავდათ. ისინი თავიანთ გვერდით ითმენდნენ კეთილშობილ, თავისუფალ მეზობელს, არც ეშინოდათ და არც შურდათ მისი რაიმე; უხაროდათ კიდევაც, როცა თავიანთ თანასწორთ საკუთარ სუფრაზე იხილავდნენ, და არ სჭირდებოდათ, რაინდები მლიქვნელებად გადაექციათ, რათა კარგად ეცხოვრათ.

გეორგი. თქვენ იცნობდით ასეთ თავადებს?

გიოცი. რა თქმა უნდა. ჩემს სიცოცხლეში არასოდეს დამავიწყდება ლანდგრაფ ჰანაუელმა ნადირობაზე რომ თავადები და რაინდები მიიწვია; ისინი ღია ცის ქვეშ მიეცნენ ნადიმს, სოფლელები კი გამობრდნენ მათ სანახავად. ეს თავის განდიდებისათვის მოწყობილი მასკარადი როდი იყო. მაგრამ სახეჩამრგვალებული ბიჭები და გოგოები, ყველას ლოყები რომ ბროწეულივით უღაჟღაჟებდა, მეოჯახე მამაკაცები თუ ჯან-ღონით აღსავსე მოხუცები, ეს სიხარულით გაბადრული სახეები მოწმობდა იმას, თუ როგორ იზიარებდნენ ისინი დიდებულებას თავიანთი ბატონისას, რომელიც ღია ცის ქვეშ მათთან ერთად ქეიფობდა.

გეორგი. ეგ ბატონი სწორედ ისეთი ყოფილა, როგორიც თქვენ ბრძანდებით.

გიოცი. რატომ არ უნდა გვსურდეს, რომ ასეთი თავადები რაც შეიძლება ბევრი იყვნენ ამქვეყნად? პატივისცემა იმპერატორისადმი, მშვიდობა და მეგობრობა მეზობელთა შორის და სიყვარული ქვეშევრდომთა გახდებოდა ძვირფასი ოჯახური განძი, რომელიც მემკვიდრეობით გადაეცემოდა ჩვენს შვილიშვილებს. თვითეული მათგანი შეინარჩუნებდა და გაამრავლებდა თავის ქონებას და არ მოიქცეოდა ისე, როგორც ახლა იქცევიან ხოლმე; სიმდიდრის მოხვეჭა ისე არა სწამთ, თუ სხვები არ გაანადგურეს.

გეორგი. მაშინ კიდევ გავემგზავრებოდით მტერზე თავდასასხმელად?

გიოცი. ღმერთმა დაგვიფაროს, რომ მთელს გერმანიაში ვინმე შფოთისთავი კიდევ დარჩენილიყო! საქმეს ყოველთვის საკმარისად ვიშოვიდით. მთებში მთლად ამოვწყვეტდით მგლებს და ჩვენს მშვიდობიან მეზობელ მხენელ-მთესველებს მოვუტანდით ნანადირევს შესაწვავად, სანაცვლოდ კი მათ პურ-მარილს ვავი-

ზიარებდით. თუ ეს ჩვენთვის საკმარისი არ აღმოჩნდებოდა, მაშინ ჩვენს ძმებთან ერთად დავდგებოდით სახელმწიფოს საზღვრებზე, რომ თურქი მგლებისა და ფრანგი მელიებისაგან დაგვეცვა ჩვენი იმპერატორის განაპირა ქვეყნები, უზარუნველგვეყო იმპერიის მშვიდობიანობა. აი, მაშინ ეღირებოდა სიცოცხლე, გეორგი. აბა, თავს ვინ არ დასდებდა საყოველთაო კეთილდღეობის გულისათვის? (გეორგი წამობტება.) საით?

გეორგი. აჰ, სულ დამავიწყდა, რომ ჩვენ აქ ალყაშემორტყმულნი ვართ, რომ თვითონ იმპერატორმა მოგვაქცია ალყაში და აქედან თავის დაღწევა მხოლოდ თავის განწირვით შეიძლება.

გიოცი. გულს ნუ გაიტებს!

შემოდის ლერზე.

ლერზე. თავისუფლება! თავისუფლება! რა საწიზლარი ხალხია, რა ჩერჩეტი, გაუბედავი ვირები. შეგიძლიათ გახვიდეთ ციხიდან იარაღით, ცხენებით და საქურვლით. სურსათი კი აქ უნდა დატოვოთ.

გიოცი. კბილები არ ასტკივდეთ ჰამისაგან.

ლერზე (ჩუმად). ვერცხლი უკვე დამალეთ?

გიოცი. არა. წადი ფრანცთან, ჩემო მეუღლე. რაღაც უნდა გითხრას. (ყველანი ჯაღიან.)

### ცინის ეპო.

გეორგი საჯინიბოში, მღერის.

ბიჭმა შეიპყრო ჩიტუნა

და ჩასვა გალიაში.

მღერის, იცინის დიდგულად

და ჩიტს ნიშნს უგებს ვაჟი.

ჰმ! ჰმ!

მაშ! მაშ!

ჰმ! ჰმ!

გიჟივით ლალობს ბიჭუნა,

ჩიტს გამომწვევად უხმობს,

კარი გააღო, ჩიტუნას

ხელი წაავლო უშნოდ.

ჰმ! ჰმ!

მაშ! მაშ!

ჰმ! ჰმ!

უცხად გაუსხლტა ჩიტუნა,  
შეინაყარდა მალა  
და თავქარიან ბიჭუნას  
ჩიტი დასცინის ახლა.  
ჰმ! ჰმ!  
მაშ! მაშ!  
ჰმ! ჰმ!

გიოცი. როგორაა საქმე?  
გეორგი (ცხენს მთარბევს). ცხენები შეკაზმულია.  
გიოცი. ძლიერ გეჩქარება?  
გეორგი. ისე, როგორც ჩიტს გალიიდან გამოფრენა.

აღყა შემორტყმულნი ერთად.

გიოცი. თქვენი სიათები თანა გაქვთ? მაგრამ, არა! აღით  
ზევით და საუკეთესო იარაღი აირჩიეთ, მათ არ უნდა დარჩეს,  
ჩვენ კი წინ წავალთ.

გეორგი.                   ჰმ! ჰმ!  
                                  მაშ! მაშ!  
                                  ჰმ! ჰმ!

### ღარბაზი

ღრი აბჯროსანი იარაღიან კარადასთან.

პირველი. მე ამას ავიღებ.  
მეორე. მე კი ამას. აი, იქ უფრო უკეთესი ჩანს.  
პირველი. კარგი ერთი! მალე მორჩი, უნდა წავიდეთ.  
მეორე. მოიცა, გესმის?  
პირველი (მივარდა ფანჯარასთან). ღმერთო, მიშველ! ჩვენს  
ბატონს კლავენ. ცხენიდან ჩამოაგდეს! გეორგიც დაეცა!  
მეორე. როგორ გავალწიოთ თავი? კედლიდან კაკლის ხეზე,  
ხიდან კი ველზე! (გადის.)  
პირველი. ფრანცი იბრძვის კიდევ. წავალ, მივეშველები,  
სიცოცხლე რაღად მინდა, თუ ისინი დაიხოცებიან. (გადის.)

### მეოთხე მოქმედება

#### სახლურაკო ჰაილბრონში

გიოცი. შემდეგ ელისაბედი.

გიოცი. ასე მგონია, ის ბოროტი სული ვარ, კაპუცინმა რომ  
დასწყველა და ტომარაში ამოაყოფინა თავი. ამდენს ვიტანჯები  
და ნაყოფი კი არა ჩანს. ფიცის გამტეხნი! (შემოდის ელისაბედი). რა  
ამბავი ისმის, ელისაბედ, ჩემს ერთგულ ამხანაგებზე?

• ელისაბედი. გარკვევით არაფერი. ერთნი მოკლულნი არიან,  
მეორენი ციხეში სხედან, დაწვრილებით კი მათი ამბავი ვერავინ  
მითხრა, ან იქნებ არც სურდათ, ეთქვათ რაიმე.

გიოცი. ეს არის ჯილდო ერთგულებისათვის? შვილური მორ-  
ჩილებისათვის? ასე ძლიერ ბედნიერად და დიდხანს კი იცოცხლებ  
ამქვეყნად!

ელისაბედი. ნუ ჰგმობთ ჩვენს ზეციერ მამას, ძვირფასო  
მეუღლე! მათ თავიანთი ჯილდო მიაღეს; ეს ჯილდო, თავისუფა-  
ლი, კეთილშობილი გული, მათ ხომ თან დაჰყვა დაბადებიდანვე.  
დაე ისინი დატყვევებული ჰყავდეთ—სულ ერთია, მაინც თავისუფ-  
ლები არიან. დაფიქრდით წარმოგზავნილ მრჩევლებზე. დიდი ოქ-  
როს ძეწკვები ისე უხდებათ...

გიოცი. როგორც ლორს ყელსახვევი... ნეტავ პატიმრობაში  
მყოფი გეორგი და ფრანცი მენახა.

ელისაბედი. მათი ნახვით ანგელოზებიც კი ატირდებოდნენ.

გიოცი. მე არ ავტირდებოდი. განრისხებული კბილებს და-  
ვალრქ-ალებდი მხოლოდ და სულ დავიმტვრევდი. შეჯაქვულები  
არიან ჩემი თვალის ჩინები. ჩემო საყვარელო კაბუკებო, ასე ძლიერ  
არ უნდა გყვარებოდით. მე ვერ გავძლებოდი მათი ცქერით. არ  
შეასრულა იმპერატორის სახელით მოცემული სიტყვა!

ელისაბედი. თავიდან მოიცილე მაგვარი აზრი. დაფიქრ-

დით, რომ უნდა წარსდგეთ მრჩეველთა წინაშე; თქვენ არ გინდათ, მათ მეგობრულად შეხვდეთ, მე კი ყველაფრისა მეშინია.

გიოცი. რა უნდა მიყონ?

ელისაბედი. მართლმსაჯულების შიკრიკი!

გიოცი. მართლმსაჯულების ვირი. დააქვს მისი ტომრები წისკვილში, ნაგავი კი მიწოდორში გააქვს. რაშია საქმე?

შემოდის სასამართლოს მოხელე.

სასამართლოს მოხელე. ბატონი კომისრები უკვე შეიკრიბნენ და თქვენთან გამოიმგზავნეს.

გიოცი. მოვდივარ.

სასამართლოს მოხელე. გაგაცილებთ.

გიოცი. დიდ პატივსა მდებთ!

ელისაბედი. თავი შეიკავეთ.

გიოცი. ნუ გეფიქრება. (გადაიან.)

### რატუშა

იმპერატორის მრჩეველი. კაპიტანი. ჰაილბრონის რატმანები.

რატმანი. თანახმად თქვენი ბრძანებისა, ჩვენ შევეკრიბეთ ყველაზე ძლიერი და მამაცი მოქალაქენი. ისინი აქ, ჩვენს მახლობლად, იმყოფებიან და თქვენს ნიშანს ელიან, რომ ბერლიხინგენს კისერი მოუგრებიან.

პირვე. მრჩეველი. დიდი ქებით მოვიხსენიებთ მის იმპერატორობითს უდიდებულესობასთან თქვენს მზადყოფნას მის უზენაეს ბრძანებათა აღსასრულებლად. ხელოსნები არიან?

რატმანი. მჭედლები, მელვინები, ხუროები, კარგად გავარჯიშებული მუშტებით, კარგად ჩამკვრივებულნი. (უჩვენებს გულმკერდზე.)

მრჩეველი. ჩინებულია.

შემოდის სასამართლოს მოხელე.

სასამართლოს მოხელე. გიოცი ფონ ბერლიხინგენი მოვიდა.

მრჩეველი. შემოვიდეს.

შემოდის გიოცი.

გიოცი. გამარჯობათ, ბატონებო! რა გნებავთ ჩემგან?

მრჩეველი. პირველად ის, რომ გესმოდეთ, სად ხართ და ვის წინაშე დგებართ.

გიოცი. სინდისს ვფიცავ. მე თქვენ გაფასებთ, ბატონებო! მრჩეველი. აღასრულეთ თქვენი მოვალეობა!

გიოცი. სულით და გულით.

მრჩეველი. დაბრძანდით.

გიოცი. იქ, ძირს? ფეხზე დგომას ვამჯობინებ. სკამი აყროლებულია საბრალო დამნაშავეებით, ისე როგორც, საერთოდ, მთელი ოთახი.

მრჩეველი. მაშ ფეხზე იდექით.

გიოცი. საქმეს შევუდგეთ. თუ თქვენც თანახმა ხართ.

მრჩეველი. ჩვენ კანონის მიხედვით ვიმოქმედებთ.

გიოცი. ძლიერ მოხარული ვარ, ნეტავ ეს აქამდეც ასე მომხდარიყო.

მრჩეველი. ხომ გახსოვთ, რომ თქვენი ბედ-იბლალი ხელთ ჩაგვაბარეთ?

გიოცი. რას მომცემთ, რომ ეგ დავივიწყო?

მრჩეველი. რომ შემეძლოს თქვენთვის თავმდაბლობა ჩამეგონებინა, ამით დიდად დაგეხმარებოდით.

გიოცი. დამეხმარებოდით! თქვენ რომ შეგეძლოთ! ეს ხომ გაცილებით უფრო ძნელია, ვიდრე დალუპვა ადამიანებისა.

მდივანი. ეს ყველაფერი ოქში უნდა შევიტანო?

მრჩეველი. მხოლოდ ის, რაც პირდაპირ საქმეს ეხება.

გიოცი. თუნდა დაბეჭდეთ კიდევც.

მრჩეველი. თქვენ იმყოფებოდით იმპერატორის განკარგულებაში, რომლის მამობრივი მოწყალება შესცავლა მეფურმა მართლმსაჯულებამ და ნაცვლად საპრობილისა, ადგილსამყოფელად მიგეჩინათ ჰაილბრონი, ერთ-ერთი საყვარელი ქალაქი იმპერატორისა. თქვენც ფიცი მიეცით, როგორც ეს რაინდს შეჰფეროდა, რომ თავს შეიკავებდით და მშვიდად დაელოდებოდით შემდგომ განკარგულებას.

გიოცი. მართალია, აი; აქ ვარ და ვიცდი კიდევაც.

მრჩეველი. ჰოდა, ჩვენ ახლა აქ იმისათვის ვიმყოფებით, რომ მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის წყალობა და პატიება გამოგიცხადოთ. იმპერატორი გიტევებთ ყველა თქვენს დანაშაულს და განთავისუფლებთ თქვენს მიერ დამსახურებული ყოველგვარი სასჯელისაგან, რაც თქვენის მხრივ უნდა მიიღოთ ყოველად უქვეშევრდომილესი მადლობით და მის სანაცვლოდ შეჰფი-

ცოთ იმპერატორს, რომ არ დაარღვევთ საზავო ხელშეკრულებას, რომელიც თქვენ ახლავე წაგეკითხებათ.

გიოცი. მე ახლაც მისი უდიდებულესობის ერთგული მსახური ვარ, როგორც ყოველთვის. მაგრამ ერთი რამ უნდა გკითხოთ, ვიდრე თქვენს სიტყვას განაგრძობდეთ, სად არის ჩემი ხალხი? რა მოვლით მათ?

მრჩეველი. ეგ თქვენ არ გეხებათ.

გიოცი. დაე იმპერატორმა თქვენც ასევე შეგაქციოთ ზურგი, როცა გასაქირში ჩავარდებით. ისინი ჩემი ამხანაგები იყვნენ და ახლაც ჩემი ამხანაგები არიან. სად წაიყვანეთ?

მრჩეველი. ჩვენ ვალდებული არა ვართ ამაზე ანგარიში ჩავაბაროთ.

გიოცი. აჰა! მე არ ვფიქრობდი, რომ თქვენს პირობას გადაუხვევდით, რომ აღარაფერი ვთქვათ იმაზე...

მრჩეველი. ჩვენ დავალბებული გვაქვს წარმოგიდგინოთ დაზავების ხელშეკრულება. დაემორჩილეთ იმპერატორს და შემდეგ გამოძებნეთ საშუალება თქვენი ამხანაგების სიცოცხლისა და თავისუფლების გადასარჩენად.

გიოცი. სად არის ქალაქი?

მრჩეველი. მდივანო, წაიკითხეთ!

მდივანი. მე, გიოცი ფონ ბერლიხინგენი, ამ უსტარით საქვეყნოდ ვაღიარებ, რომ, რადგანაც ამ ცოტა ხნის წინათ ავჯანყდი იმპერატორისა და იმპერიის წინააღმდეგ...

გიოცი. ეგ სიცრუეა! მე მემამოხე არა ვარ. არავითარი დანაშაული არ ჩამიდენია მასი იმპერატორობითი უდიდებულესობის წინაშე და არც იმპერიასთან მაქვს საქმე.

მრჩეველი. თავი შეიკავეთ და მოისმინეთ.

გიოცი. აღარ მსურს მოსმენა. აბა წამოდგეს ვინმე და დამიმტკიცოს, რომ რაიმე ნაბიჯი მაქვს გადადგმული იმპერატორისა და ავსტრიის სამეფო კარის წინააღმდეგ. განა მე მთელი ჩემი საქციელით ყოველთვის იმას არ ვამტკიცებდი, რომ ყველაზე უკეთესად ვკრძობდი, რითა ვალდებული გერმანია თავისი მმართველის წინაშე და განსაკუთრებით ჩვენ, პატარა ადამიანებს—რაინდებსა და თავადებს—რა ვალდებულება გვაქისრია იმპერატორისა. მე ხომ დიდი არამხადა ვიქნებოდი, რომ ვინმეს დავეყოლიებინე და ასეთ ქალაქზე ხელი მომეწერა.

მრჩეველი. ჩვენ კი წერილობით ზუსტად გვაქვს ნაბრძანები, ან კარგი სიტყვით დაგიყოლიოთ, ან, წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში, საპრობილეში ამოგაყოფინოთ თავი.

გიოცი. საპრობილეში? მე?

მრჩეველი. და იქ უცადეთ თქვენს ხვედრს, თუ როდის მიიღებთ მას მართლმსაჯულებისაგან, რაკი მისი მიღება კეთილმოწყალების ხელიდან არა გნებავთ.

გიოცი. საპრობილეში! თქვენ ბოროტად იყენებთ იმპერატორის ძალაუფლებას. საპრობილეში! ეს მისი ბრძანება არაა! როგორ! ჯერ ხაფანგი დამიგეთ, თქვე მოლალატენო, შიგ მოსატყუებელ ქონად თქვენი ფიცი, თქვენი რაინდული სიტყვა ჩამოჰკიდეთ, შემდეგ კი რაინდულ პატიმრობას შემპირდით და ისევ დაარღვიეთ თქვენი პირობა.

მრჩეველი. ჩვენ ვალდებული არა ვართ ყაჩაღის მიმართ ერთგულება გამოვიჩინოთ.

გიოცი. იმპერატორის მსგავს სახეს რომ არ ატარებდე, რომელსაც ასეთ საძაგელ გამოსახულებაშიც კი პატრესა ვცემ, ჯკანვე ჩავაყლაპვინებდი მაგ სიტყვას, ანდა ყელში გაგჩხირებოდა. ღმერთს მადლობას შესწირავდი და მთელს ქვეყანაზე განითქმებოდი, თუკი მთელ შენს სიცოცხლეში თუნდაც ერთ ისეთ ქველმოქმედებას ჩაიდენდი, როგორც ეს საქმეა, რომლის გამოც მე ტყვედ ჩავვარდი. (მრჩეველი ნიშანს აძლევს რატმანს, რომელიც ხარს დარგავს.) მე ველად გამოვედი არა სულმდაბალი ანგარებისათვის, არა იმისათვის, რომ ხელთ ჩამეგდო სუსტა და უმწეოთა მიწები და ხალხი. მე ავმხედრდი მხოლოდ იმ მიზნით, რომ განენთავისუფლებინა ჩემი საპურველთმტვირთველი და დამეცვა საკუთარი თავი. რას ხედავთ თქვენ ამაში უკანონოს? იმპერატორსა და იმპერიას არ სცალიათ ჩვენი გაჭირვებისათვის, მადლობა ღმერთს, ცალი ხელი კიდევ მაქვს და ძალზე კარგი ვქენი, რომ გამოვიყენე იგი. (შემოდან მოქალაქენი, ხელში ორთლები უჭირავთ, წელზე იარაღი ჰკიდიათ.)

გიოცი. ეს რაღა ამბავია?

მრჩეველი. თქვენ არ გნებავთ მოისმინოთ. შეიპყართ!

გიოცი. თქვენ ეგრე ფიქრობთ? აბა ერთი ვისაც თავი მოჰხებრებია, მომიახლოვდეს, მას ჩემი მარჯვენა რკინის ხელით ისეთ სილას გავცხებ, რომ მთელ თავის სიცოცხლეში ჰკუჰაზე ველარ მოვიდეს. (მოქალაქენი თავს ესხმიან ბერლიხინგენს. იგი ერთ მათგანს მიწაზე დასცემს, მეორეს წელზე შემორტყმულ იარაღს წაართმევს. დანარჩენები უკან დაიხე-

ფენ.) მოდი! მოდი, რომელიც ყველაზე გულადი ხართ! სასიამოვნოა თქვენი გაცნობა.

მ რ ჩ ე ვ ე ლ ი. დაგვინებლით!

გ ი ო ც ი. ხმლიანი ხელით! იცით, რომ ახლა მხოლოდ ჩემზე დამოკიდებული - გავფანტო ეს კურდღელზე მონადირეები და გავიდე თავისუფლად? მაგრამ მე მინდა გასწავლოთ. როგორ უნდა სიტყვას შენახვა, შემპიოდით რაინდულ პატიმრობას და მაშინ გავაგებ ხმალს ხელიდან და უწინდებურად თქვენი ტყვე გავხდები.

მ რ ჩ ე ვ ე ლ ი. გინდათ ხმალამოღებული ედავით იმპერატორს?

გ ი ო ც ი. ღმერთმა დამიფაროს! მხოლოდ თქვენ და თქვენს კეთილშობილ საზოგადოებას. შეგიძლიათ სახლში წახვიდეთ, კეთილო ხალხო. ესენი ამ დაკარგულ დროს ვერ ავინაზდაურებენ, მე კი ლიბრების მეტს ვერაფერს გამოიმჩნეობთ.

მ რ ჩ ე ვ ე ლ ი. შეიპყართ! ნუთუ იმპერატორისადმი სიყვარული მამაცობას არ გამოატებთ?

გ ი ო ც ი. იმაზე მეტს არა, რამდენსაც მათ იმპერატორი საღბუნს მისცემს იმ ჭრილობების განსაკურნებლად, რომელთაც თავიანთი მამაცობა მიყენებს.

შემოდის სასამართლოს მოხელე.

ს ა ს ა მ ა რ თ ლ. მოხელე. მეციხოვნე ყვირის, რომ ქალაქს უახლოვდება ორასზე მეტი კაცისაგან შემდგარი რაზმი. ისინი მოულოდნელად გამოჩნდნენ ვენახების მხრიდან და ჩვენს კედლებს მოადგნენ.

რ ა ტ მ ა ნ ი. ვაი, რა გეშველება! ეს რა ამბავია?

შემოდის გუშაგი.

გ უ შ ა გ ი. ფრანც ფონ ზიკინგენი შეჩერდა ქალაქის ქიშკართან და ბრძანა, გადმოგკეთ: მან გაიგო, რარიგ უსინდისოდ დაარღვიეს მისი ცოლისძმისადმი მიცემული პირობა და რომ მის დარღვევაში მონაწილეობა მიიღეს ჰაილბრონელმა ხელისუფლებმა. იგი მოითხოვს დაკმაყოფილებას, წინააღმდეგ შემთხვევაში, ერთი საათის განმავლობაში ქალაქს ოთხივე მხრიდან ცეცხლს მისცემს და ააოხრებს.

გ ი ო ც ი. ყოჩაღ, ჩემო სიძევ!

მ რ ჩ ე ვ ე ლ ი. გაგვეცალეთ, გიოც! რა უნდა ვქნათ?

რ ა ტ მ ა ნ ი. შეგვიბრალეთ ჩვენც და ჩვენი მოქალაქეებიც! ზიკინგენმა საშინელი განრისხება იცის და ვაჟაკობაც შესწევს აღასრულოს თავისი სიტყვა.

მ რ ჩ ე ვ ე ლ ი. ნუთუ უნდა დავთმოთ ჩვენი უფლებები, უფლებანი ჩვენი იმპერატორისა?

კ ა პ ი ტ ა ნ ი. არ დავთმობდით, ხალხი მაინც რომ გვეყოლოდა მათ დასაცავად. ახლა კი, წინააღმდეგობა რომ გავუწიოთ, დავიღუპებით, დათმობით კი უფრო მოვიგებთ.

რ ა ტ მ ა ნ ი. გიოცს ვთხოვოთ, სიტყვა შეგვაწიოს. მე უკვე ვხედავ ხანძარში გახვეულ ქალაქს.

მ რ ჩ ე ვ ე ლ ი. მოიყვანეთ გიოცი!

გ ი ო ც ი. რაშაა საქმე?

მ რ ჩ ე ვ ე ლ ი. კარგს იზამ, შენს სიძეს უარი რომ ათქმევინო თავის შფოთიან განზრახვაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი გადარჩენის ნაცვლად უფრო მოახლოვებს შენს დაღუპვას.

გ ი ო ც ი (კარგებთან დაინახავს ელისაბედს და საიდუმლოდ ეუბნება მას). წადი, ზიკინგენს უთხარი, დაუყოვნებლივ ქალაქში შემოიჭრას და აქ მოვიდეს, ოღონდ ქალაქს არაფერი ავნოს. თუ ამ არამზადებმა წინააღმდეგობა გაუწიეს, ძალას მიმართოს, ოღონდაც ესენი ყველა ერთი მაგრად მიბერტყონ და მე თუნდა ცოცხალიც არ გადავრჩე.

### დიდი ღაბბაჟი რატუშისა

ზიკინგენი. გიოცი.

მთელი რატუშა დაკავებულია ზიკინგენის მხედრებით.

გ ი ო ც ი. ნამდვილად ზეცამ გადმოიხედა. როგორ მოხველ აქ ასე მოულოდნელად, ჩემო სასურველო სიძევ?

ზ ი კ ი ნ გ ე ნ ი. ყოველგვარი ჯადოქრობის გარეშე. ორი-სამი შიკრიკი გამოვგზავნე, რომ გაეგოთ, როგორ მიდიოდა შენი საქმე. შევიტყვე თუ არა ამათი მუხანათობა, მაშინვე დავიძარი. ახლა ისინი ჩვენს ხელთ არიან.

გ ი ო ც ი. მე არაფერს ვთხოვლობ რაინდული პატიმრობის გარდა.

ზ ი კ ი ნ გ ე ნ ი. შენ მეტისმეტად პატიოსანი ხარ, გიოც. რატომ არ გინდა გამოიყენო ის უპირატესობა, რომელიც მართალ ადამიანს გააჩნია ვერაგებთან შედარებით? ისინი ტყუილში და უსამართლობაში ჩაეფლნენ და ჩვენ თავზე ხელი კი არ უნდა გადავუსვათ. მათ ბოროტად გამოიყენეს იმპერატორის განკარგულება. რამდენადაც ვიცნობ მის უდიდებულესობას, შენ თამამად შეგიძლია უფრო მეტი მოითხოვო. ეგ ძალზე მცირეა.

გიოცი. მე ყოველთვის მცირედით ვკმაყოფილდებოდი.

ზიკინგენი. და მუდამ ზარალობდი კიდევაც. ჩემი წინადადება ასეთია: მათ უნდა ციხიდან გამოუშვან შენი აბჯროსნები, გაგანთავისუფლონ შენც, პატიოსანი სიტყვა ჩამოგართვან და გაგიშვან შენს ციხე-კოშკში. შენ კი შეჰპირდები, რომ ფეხს არ გაადგამ საკუთარ სამფლობელოდან. იქ მუდამ უკეთესად იქნები, ვიდრე აქ.

გიოცი. ისინი მეტყვიან, შენი მიწები იმპერატორს გადაეცაო.

ზიკინგენი. მაშინ ჩვენ ვეტყვი, რომ მათ ლეზულობ ქირით იმ დრომდე, ვიდრე იმპერატორი ამ მიწებს უკანვე არ დაგიბრუნებს ლენის სახით. დაე იწრიალონ, როგორც გველთევზები წრილობენ მეთევზის გოდორში, ხელიდან ვერ დაგვისხლტებიან. ლაპარაკს დაგვიწყებენ მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის სახელით და თავიანთ უფლებამოსილებაზე. ეს ჩვენთვის სულ ერთია, მეც ვიცნობ იმპერატორს და მის თვალში რაღაც წონამეცა მაქვს. იმპერატორს ყოველთვის სურდა, თავის ჯარში ჰყოლოდი. დიდხანს არ იჯდები შენს ციხე-კოშკში, იგი მალე გამოგაძახებს.

გიოცი. ღმერთმა ქნას, მალე დამიბაროს, ვიდრე ბრძოლა არ დამვიწყებია.

ზიკინგენი. მამაცობისა არც შესწავლა შეიძლება, არც დავიწყება, ნურაფერზე იღარდებ. როცა შენი საქმეები მოწესრიგდება, წავალ იმპერატორის სასახლეში, რადგან ჩემი განზრახვანი უკვე იწყებენ მომწიფებას. კეთილის მომასწავებელი ნიშნები მაუწყებენ: დაიწყე! ისლა დამრჩენია, გამოფარკვიო, რა გუნებაზე იმყოფება იმპერატორი. ტრირი და ფალცი ცის ჩამოქცევას უფრო მალე გაიფიქრებენ, ვიდრე იმას, რომ მათ თავს დაეხსნები. პოდა, მოვქირ ელვის სისწრაფით! თუ ბედმა გაგვიღიმა და ჩვენი საქმე კარგად წავიდა, მალე კურფიურსტის ცოლისძმა გახდები. ამ განზრახვათა განხორციელებისას შენი მუშტის იმედიცა მაქვს.

გიოცი (ათვალიერებს თავის ხელს). ოჰ! აი, თურმე რას ნიშნავს ის სიხმარი, რომელიც მანამდე ვნახე, ვიდრე ვაისლინგენს მარიას ხელს შევპირდებოდი. მან ერთგულება შემომიფიცა და ისე მაგრად ჩამომართვა მარჯვენა ხელი, რომ იგი ხელხუნდიდან გამომეარდა და მთლად დამემსხვრა. ეჰ! ამ წუთში მე უფრო უმწიკო ვარ, ვიდრე მაშინ, როცა იგი ტყვიით გამიხვრიტეს. ვაისლინგენ! ვაისლინგენ!

ზიკინგენი. დაივიწყე ის მოლაღატე. ჩვენ ჩაფუჭავთ ვაისლინგენის განზრახვებს, მას გავლენას ძირს გამოვუღიხრით, სირცხვილი და სინდისის ქენჯნა კი მას სამარის კაოად მიიყვანს. მე ვხედავ, წინასწარ ვხედავ, გიოცი, რომ სულ რაღაც ნახევარი წელიც არ გაივლის და ჩვენი მტრები დაეწიბიან.

გიოცი. შენი სული მალა მიფრინავს. არ ვიცი, რატომ, მაგრამ დიდი ხანი არაა, რაც ჩემი სული არავითარ სიხარულს აღარ ელის... მე არა ერთხელ ჩავვარდნილვარ უფრო დიდ უბედურებაში, ვყოფილვარ ტყვედაც, მაგრამ არასოდეს არ მიგრძენია ამგვარი რამე.

ზიკინგენი. ბედნიერება გვანიჭებს სიმამაცეს. წავიდეთ მაგ პარიკებთან, ეყოფათ, რაც ამდენი ილაქლაქეს, ახლა უნდა გავისარჯოთ. (გაღიან.)

#### ადელჰაიდის ციხე-ღარბაჯი

ადელჰაიდი. ვაისლინგენი.

ადელჰაიდი. ეს საძაგლობაა!

ვაისლინგენი. ბრაზისგან კბრლები დავადრქვიალე. ასეთი მშვენიერი განზრახვა, ასე მარჯვედ შესრულებული, ბოლოს კი იგი თავის ციხე-კოშკში გაუშვებს. წყეული ზიკინგენი!

ადელჰაიდი. მათ ეს არ უნდა ექნათ.

ვაისლინგენი. გასაქანი აღარა ჰქონდათ. რა შეეძლოთ გაეკეთებინათ? ზიკინგენი იმუქრებოდა ცეცხლითა და მახვილით, ქედმაღალი მძვინვარე ადამიანი! მე მძულს იგი! მისი გავლენა იმ მდინარესავით იზრდება, რომელმაც ერთხელ ორიოდ ნაკადული შთანთქა და შემდეგ დანარჩენებიც იმ ორის კვალს მიჰყენენ.

ადელჰაიდი. იმპერატორი არა ჰყავდათ?

ვაისლინგენი. იგი მხოლოდ იმპერატორის აჩრდილია, საყვარელო მეუღლე, თანდათან ხანში შედის და უძლურდება. როდესაც გაიგო, რაც მოხდა, და მეც სამხედრო საბჭოს სხვა წევრებთან ერთად ძლიერ გავგულდი, მან თქვა: „დაანებეთ თავი მე ხომ შემოიძლია ეგ პატარა ადგილი ვუბოძო მოხუცს და თუ იგი იქ წყნარად იჯდება, რაღაზე უნდა ემდუროდეთ მას?“ ჩვენ სიტყვა სახელმწიფოს კეთილდღეობაზე ჩამოვადგდეთ. „ოჰ, — თქვა იმპერატორმა, — ნეტავი თავის დროზე მყოლოდა ისეთი მრჩევლები, რომ ჩემი დაუდგრომელი სული, ჩემი ყურადღება ცალკეული ადამიანების ბედნიერებაზე მიექციათ“.

ადელჰაიდი. მას მმართველის გამბედაობა აკლია.

ვაისლინგენი. ჩვენ ზოიენჰენის წინააღმდეგ გავილაშქრეთ. იგი ჩემი ერთგული მსახურია, — თქვა მან, — თუ მან ეს ჩემი ბრძანებით არ გააკეთა, ჩემი სურვილი მაინც იმათზე უკეთესად აღასრულა, რომელნიც მე სრული უფლებით აღვქურვე, და განა სულ ერთი არ არის, როდის მოვიწონე მისი მოქმედება: მაშინ თუ ახლა?"

ადელჰაიდი. პირდაპირ გულზე გასკდება კაცი.

ვაისლინგენი. ამიტომაც მე იმედი ჯერ არ დამიკარგავს. ბერლიხინგენი გაუშვეს თავის ციხე-დარბაზში და რაინდული სიტყვა ჩამოართვეს, რომ იქ მშვიდად იცხოვრებს. ეს კი არ შეუძლია; მალე გამოვქვნით მიხეხს მის წინააღმდეგ სამოქმედოდ.

ადელჰაიდი. მით უმეტეს, რომ იმედი, იმპერატორი ამ ქვეყანას მალე დასტოვებს და კარლი კი, დიდებული მემკვიდრე მისი, აღგვიტქვამს, რომ ხელმწიფური აზრების მატარებელი იქნება.

ვაისლინგენი. კარლი? ის ხომ ჯერ ხელმწიფედ არ არის არჩეული და არც ნაკურთხი.

ადელჰაიდი. მაგრამ ეს ვის არა სურს, ან ვის არა აქვს ამის იმედი?

ვაისლინგენი. დიდად აფასებ მის ღირსებებს. შეიძლება კაცმა იფიქროს, რომ სხვაგვარი თვალთ უმხერ.

ადელჰაიდი. შეურაცხყოფას მაყენებ, ვაისლინგენ. ნუთუ მე ვე შემიძლია.

ვაისლინგენი. მე არ მინდოდა შეურაცხყოფა მომეყენებინა, მაგრამ გაჩუმება არ შემიძლია. კარლის შენდამი არაჩვეულებრივი ყურადღება ძლიერ მაშფოთებს.

ადელჰაიდი. ჩემი ქცევა?

ვაისლინგენი. რაც არ უნდა იყოს, მაინც ქალი ხარ. თქვენ ხომ არავინ არა ვძულთ, ვინც გვარსიყუბათ.

ადელჰაიდი. თქვენ?

ვაისლინგენი. ვე მე გულს მიკლავს, თავში საწინელი აზრები მომდის, ადელჰაიდი!

ადელჰაიდი. რითი შემიძლია განგკურნო შენი სისულელე?

ვაისლინგენი. ოღონდაც მოგესურვებინა და საჭეფო კარს მოსცილებოდი!

ადელჰაიდი. აბა მითხარ, ეგ როგორ გავაკეთო? განა შენ თვითონ სამეფო კარზე არა ხარ? რატომ უნდა მიგატოვო შენ, მოვცილდე მეგობრებს და ჩემს ციხე-კოშკში ბუებს ვესაუბრო? არა, ვაისლინგენ, ეგ არ იქნება. დამშვიდდი, კარგად იცი, როგორ მიყვარხარ!

ვაისლინგენი. შენი სიყვარული ჰგავს წჰინდა ღუზას, დიდი ქარიშხლის დროს მღელვარე ზღვაში რომაა ჩაშვებული, ვიდრე ბაგირები არ დასწყვეტია. (ჯადის.)

ადელჰაიდი. მაშ ასე? ესლა გვაკლდა! ისე დიდია განზრახვანი ჩემი გულისა, რომ შენ არ ძალგამს მათ გზა გადაუღობო. კარლი! დიდებული, სახელოვანი მამაკაცი და ამასთან იმპერატორიც. ნუთუ იგი ერთადერთი მამაკაცია, რომლის მოხიბლვას მე ვერ შევძლებ? ვაისლინგენ, ნუ შეეცდები ხელი შემიშალო, თორემ მიწის ქვეშ განისვენებ და მე შენს სამარეს გადავაბიჯებ.

შემოდის ფრანცი წვრილით ხელში.

ფრანცი. ინებეთ, ქალბატონო!

ადელჰაიდი. თვითონ კარლმა მოგცა?

ფრანცი. დიახ.

ადელჰაიდი. რა დაგემართა. ეგრე ნაღვლიანად რად გამოიყურები?

ფრანცი. თქვენ გინდათ, რომ დარდმა მომკლას. როცა იმედის წლები დამდგომია, პირდაპირ სასოწარკვეთილებაში მაგდებთ...

ადელჰაიდი (თავისთვის). მეცოდება ეს ბიჭი. მერედა, რა ადვილად შემიძლო გამებედნიერებინა! (ხამალა) გულს ნუ გაიტეხ, ახალგაზრდავ! კარგად ვკარძობ შენს სიკვარულს, შენს ერთგულებას და ისე არ ვიზამ, მადლობა არ გადაგიხადო.

ფრანცი (ძლიერ აღუვივებული). ეგ რომ არ მჯეროდეს, ახლავე სულს განვუტევივბდი. ღმერთო ჩემო! წვეთი სისხლიც არ არის ჩემში, თქვენ არ გიკუთვნოდეთ. თავში ერთი აზრიც არ მომდის გარდა იმისა, რომ თქვენ მიყვარხართ და ყოველივე გავაკეთო, რასაც ინებებთ.

ადელჰაიდი. საყვარელო ყრმის!

ფრანცი. თქვენ მხოლოდ მეუერებით. (აქვითინდება.) თუ ჩემი ერთგულება არაფერს იმსახურებს გარდა იმისა, რომ გუყურო, სხვებს როგორ პატივსა სცემთ, როცა თქვენი განზრახვანი კარლისკენ არის მიმართული...



ადელჰაიდი. შენ თვითონ არ იცი, რა გინდა, მით უმეტეს წარმოდგენაც არა გაქვს, რაზე ლაპარაკობ.

ფრანცი (გამწყვრალი და განრისხებული აბაქუნებს ფეხებს). კმარა, გეყოფათ, აღარა მსურს შეუბავლობა.

ადელჰაიდი. ფრანცი! შენ თავს გახველ!

ფრანცი. შევაცდინეს! მოატყუეს ჩემი საყვარელი ბატონი.

ადელჰაიდი. ჩემმა თვალმა აღარ დაგინახოს!

ფრანცი. ქალბატონო!

ადელჰაიდი. გასწი, გაუმჯღავნე შენს ბატონს ჩემი საიდუმლოება! მეც სულელი ვიყავ, რომ შენ ის მეგონე, რაც არა ხარ.

ფრანცი. ჩემო საყვარელო ქალბატონო, თქვენ არ იცით, როგორ მიყვარხართ.

ადელჰაიდი. ნუთუ შენ იყავი ჩემი მეგობარი, ასე მახლობელი ჩემი გულისა? გასწი, მოლაღატე!

ფრანცი. მანამდე ამ გულს მკერდიდან ამოვიღე! მაპატიეთ, ქალბატონო! გული ისე აღსაესეა გრძნობით, რომ ჭკუას ვკარგავ.

ადელჰაიდი. საყვარელო, მგზნებარე ყმაწვილო! (ხელეში სწვდება და ძლიერ მიიზიდავს თავისკენ და მათი ბაგეები ერთმანეთს შეეხებიან.

ფრანცი ქვითინით ჩამოეკიდება ყელზე.) გამიშვი!

ფრანცი (ქვითინისაგან სულს ძლივს ითქვამს მის მკერდზე). ღმერთო! ღმერთო!

ადელჰაიდი. გამიშვი! კედლებსაც კი ყურები ასხია. გამიშვი! (თავს განითავისუფლებს.) მტკიცე იყავ შენს სიყვარულსა და ერთგულებაში და უმაღლესი ჯილდო მოგელის. (გადის.)

ფრანცი. უმაღლესი ჯილდო! ოღონდაც კი მაგ დღეს მოვესწრო! მამასაც კი არ დავინდობ, თუ ამ ბედნიერებაში შემეცვია.

### იასხტაუზენი

გიოცი მაგიდასთან. ელისაბედი მის ახლოს ხელსაქმით.

მაგიდაზე დგას ლამა და აწყვია საწერი მოწყობილობა.

გიოცი. უქმად ყოფნა როდი მჩვევია. ამ საბჭორობილეში დღითი დღე სული მეხუთება. დაძინება მაინც შემეძლოს ან იმის წარმოდგენა, რომ მოსვენება სასიამოვნოა.

ელისაბედი. მაშ დაასრულე შენი ამბის წერა, დაწყებული რომ გაქვს. ხელთ მიეცი მეგობრებს დამამტკიცებელი საბუთი, რომ მისი საშუალებით შენს მტრებს თავლაფი დაახან. სიხარული მიაგე კეთილშობილ შთამომავლობას, რათა გაგიცნონ.

გიოცი. ეჰ! წერა ხომ საქმიანი უქმად ყოფნა და ამიტომაც მეჯავრება იგი. როდესაც იმას ვწერ, რაც გამოიკეთებია, მენანება ის დაკარგული დრო, რომლის გენმავლობაშიც კიდევ რამეს გავაკეთებდი.

ელისაბედი (იღებს ხელნაწერს). ნუ ხარ უცნაური. შენ ხომ ჰაილბრონში შენს პირველ ტყვეობაზე შეჩერდი.

გიოცი. ჰაილბრონი ყოველთვის საბედისწერო ადგილი იყო ჩემთვის.

ელისაბედი (კითხულობს). „თვითონ რამდენიმე მოკავშირე-მაც კი მითხრა: ჭკვიანურად არ მოიქეცი, ვერაფერს მტრებს რომ ხელში ჩაუვარდი, რადგან შეგეძლო წინასწარ განგეჰკრიტა, რომ უმოწყალოდ მოგეპყრობოდნენ. მაშინ მე ვუპასუხე.“ აბა რა უპასუხე? განაგრძე.

გიოცი. მე ვუთხარი: ხშირად ჩამიგდია საფრთხეში ჩემი სიცოცხლე სხვათა ფულისა და დოვლათის გულისათვის. ნუთუ ახლა არ ძალმიძს თავი გავწირო იმის გამო, რომ არ გავტეხო ჩემი სიტყვა?

ელისაბედი. ეგ დიდება მართლაც დაიმსახურე.

გიოცი. ვერა, ამას ისინი ვერ წამართმევენ! მათ ხომ ყველაფერი უკვე წამართვეს. ქონება, თავისუფლება...

ელისაბედი. ეს სწორედ იმ დღეებში მოხდა, როცა სასტუმროში შევხვდი მილტენბერგელებს და ზინგლინგენელებს. რომელიც მე არ მიცნობდნენ. აი, მაშინ განვიცადე სწორედ ისეთი სიხარული, თითქოს სიყვარული შეილი გამჩენოდეს. ისინი ერთხმად გადიდებდნენ და გაიძახოდნენ: „იგი ნამდვილი რაინდია, მამაცი და კეთილშობილი თავისუფლების ჟამს, ხოლო მტკიცე და ერთგული უბედურებაში“.

გიოცი. დე წარმომიდგეს თუნდაც ერთი ადამიანი და მითხრას, რომ მას სიტყვა არ შევუსრულე! ღმერთი ხომ ხედავს, რომ ჩემი მახლობლებისათვის უფრო მეტად გავრჯილვარ, ვიდრე საკუთარი თავისათვის, და რომ ჩემთვის მოვიხვეჭე მხოლოდ მამაცი და ერთგული რაინდის სახელი და არა სიმდიდრე და პატივი. მადლობა ღმერთს, რომ მივალწიე კიდევაც იმას, რისთვისაც ვიბრძოდი.

ღმრზე. გეორგი ნანადირევით.

გიოცი. გამარჯობათ, მამაცო მონადირენო!

გეორგი. წინათ მამაცი მხედრები ვიყავით, ახლა კი მამაცი მონადირენი გავხდით. ჩექმებიდან წაღები ადვილად გამოვა.

ლერზე. ნადირობა ყოველთვის სასიამოვნოა, ომს გვაგონებს ხოლმე.

გეორგი. ოღონდაც კი ჩვენს ქვეყანაში მუდამ იმპერატორის აბჯროსნებთან არ გვიხდებოდა ბრძოლა. გახსოვთ, ჩემო ბატონო, თქვენ რომ გვიწინასწარმეტყველებდით ხოლმე: როცა ქვეყანა შეიცვლება, ჩვენ მონადირეები ვიქნებითო. აი, უიმისოდაც გავხდით მონადირეები.

გიოცი. ერთი მეორეს დაერთვის ხოლმე. ცხოვრების კალაპოტიდან ამოვვარდით.

გეორგი. მძიმე დრო დგება. მერვე დღეა მას შემდეგ, რაც საზარელი, კუდიანი ვარსკვლავი გამოჩნდა და შიშს მისცემია მთელი გერმანია: ეს იმპერატორის სიკვდილს მოასწავებს, ახლა რომ ძლიერ ავადაა.

გიოცი. ძლიერ ავად! მალე დაეშვება ჩვენი იალქანიც.

ლერზე. აქ კი, ჩვენს მეზობლად, კიდევ უფრო საშიშარი ცვლილებანი ხდება. გლეხები აჯანყდნენ.

გიოცი. სად?

ლერზე. შვაბიის შუაგულში. ისინი ყველაფერს ხანძარს აძლევენ, სწვავენ და ანადგურებენ. მეშინია, მთელი ქვეყანა არ ააოხრონ.

გეორგი. დაიწყო საშინელი ომი. ისინი უკვე ას ადგილას აჯანყდნენ და დღითი დღე იზრდება ამბოხება. ამ ცოტა ხნის წინათ ქარიშხალმა ძირს დააგო მთელი ტყეები და მაშინვე იმ ადგილას, სადაც აჯანყება დაიწყო, ცაში გამოჩნდა ორი ერთმანეთზე გადაჯვარდინებული ცეცხლის მახვილი.

გიოცი. ალბათ იქ უდანაშაულოდ იტანჯებიან ჩემი კეთილი მეგობრები!

გეორგი. სანწუხაროა, რომ მტერზე თავდასხმის ნება არა გვაქვს.

## მეხუთე მოქმედება

### გლეხთა ომი

ერთ-ერთ სოფელში ალიაქოთი და ძარცვა-გლეჯა. დედაკაცები და მოხუცები, ბავშვები თ და ბარგი-ბარბანით.

### ლ ტ ო ლ ვ ა

მოხუცი. შორს! შორს გაეიქეთ! გავეცალოთ ამ მკვლელ-მძარცველებს!

დედაკაცი. წმინდაო ღმერთო, რარიგ სისხლივით წითელია ხეცა. ჩამავალი მხეც სისხლივით წითელია.

მოხუცი. ეგ ხანძარია.

დედაკაცი. ჩემი ქმარი! ჩემი ქმარი!

მოხუცი. შორს! შორს! ტყისაჲს გავწიოთ! (გადაიან.)

შემოდის ლინკი, წინამძღოლი.

ლინკი. ვინც წინააღმდეგობა გაგინიოთ, ადგილზევე მოკალით! სოფელი ჩვენია. არავითარი სურსათ-სანოვაგე არ დასტოვოთ! პირწმინდად გაძარცვეთ! აბა სწრაფად! უკან არ მოიხედოთ! ახლავე ხანძარს მივცემთ.

მეცლერი ჩამორბის ბორცვიდან.

მეცლერი. როგორაა თქვენთან საქმე, ლინკ?

ლინკი. ყველაფერი თავდაყირა დავაყენეთ, როგორც ხედავ-შენ კი ბოლოსლა მოხველი. საიდან?

მეცლერი. ვაინსბერგიდან. პირდაპირ ზემი იყო.

ლინკი. რა მოხდა?

მეცლერი. ყველანი ამოვყლიტეთ. რა სიხარული იყო!

ლინკი. ვინ ყველანი?

მეცლერი. პირველად დიტრიხ ფონ ვილერი აცეკვდა. ერთი იმის სიფათსაც რა ეუთხარი! გაშმაგებულნი შემოვერტყით ირგვლივ, მან კი განიზრახა მაღლა დან, სამრეკლოდან, ტკბილი სიტყვით დავეთათბირებინეთ. ტკაც! მოხვდა თავში. გრივალევით ავიქვით ზევით და სარკმლიდან ძირს გადავუძახეთ.

ლინკი. ჰოო!

მეცლერი (გლუხვს). ეი, ძაღლებო, ფეხი ააჩქარეთ! რას იქეჭებიან ეგ ვირები, ეგენი!

ლინკი. ცეცხლი წაუქიდეთ! დაე შიგ გამოიხრუკონ! შორს! დაიკარგეთ, თქვე ყვეყჩებო, თქვენა!

მეცლერი. შემდეგ გამოვათრიეთ ჰელფენშტაინი, ელტერსჰოფენი და კიდევ ცამეტი აზნაური, სულ ოთხმოცი კაცი. გამოვრეკეთ ჰაილზრანის მაჯოლადა მდებარე ვაკეზე. ჩვენებს სიხარულისაგან ერთი ყაყანი და ჟრიამული შეუდგათ, როდესაც აზნაურთა გრძელი რიგი გაიჭიმა იქითკენ; ისინი ერთმანეთს გადახედავდნენ ხოლმე. მათ უკან მოხედვაც კი ვერ მოასწრეს, რომ მსწრაფლ შემოვერტყით და შუბებით ძირს დავაგეთ.

ლინკი. რატომ იქ არ ვიყავი!

მეცლერი. ჩემს სიკოცხლემი ასეთი დიდი სიხარული არ განმიკლია.

ლინკი. გასწი! დაიკარგე!

გლუხი. ყველაფერი აოხრებულა.

ლინკი. მამ ოთხივე მხრიდან ცეცხლი წაუქიდეთ!

მეცლერი. დიდებული ცეცხლი გაჩაღდება! რომ გენახა, ბიჭები როგორ ბაყაყებივით დახტუნავდნენ და ყიყინებდნენ. გული ისე გამიხურდა, თითქოს არაყი გადაქებუხოს. იქ იყო ერთი ვინმე რიქსინგერი. ეს ყმაწვილი წინათ სანადიროდ გამოდიოდა ხოლმე თავზე ჯილიანი მუზარადით, აბზეკილი ცხვირით, გაგვირეკავდა წინ ძაღლებთან ერთად და გვარბენინებდა ძაღლებივით! კაი ძალი დრო იყო გასული, რაც მე იგი აღარ მენახა, და აი. უეცრად თვალი მრვარი მის სიფათს. უცებ წავწვიდი და შუბი შიგ ნეკნებში დავაძგერე. მაშანვე ცხენიდან ძირს გადმოკარდა და ზევიდან დაასკდა თავის ამხანაგებს. ბიჭები ერთმანეთს აწყდებოდნენ, როგორც დიდი დევნის შემდეგ მიმწვეველი კურდღლები.

ლინკი. კარგად ავიდენიათ ბოლი.

მეცლერი. იქ, ჩვენს უკან, უკვე ყველაფერი იწვის. წავილოთ ჩვენი ნადავლი და მთავარი ჯგუფისაკენ გავეწიოთ.

ლინკი. სად შეჩერდა?

მეცლერი. ჰაილბრონისაკენ მიმავალ გზაზე. ისინი ახლა სხედან და ფიქრობენ, თუ სად გამონახონ ისეთი მეთაური, მთელი ხალხი რომ პატივსა სცემდეს, რადგან ჩვენ მხოლოდ იმათსავით გლეხები ვართ. ისინი ამასა გრძნობენ და არ სურთ დაგვემორჩილონ.

ლინკი. ვისზე ფიქრობენ, ვინ უნდათ?

მეცლერი. ან მაქს შტუმფი ან გიოც ფონ ბერლიხინგენი.

ლინკი. კარგი იქნებოდა, თუ გიოცი დაგვიდგებოდა მეთაურად, ჩვენ საქმეს სხვაგვარი სახე მიეცემოდა. იგი მუდამ პატიოსან რაინდად მიაჩნდათ. გავეწიოთ, გავეწიოთ ახლავე ჰაილბრონისაკენ! ყველას დაუძახე!

მეცლერი. ცეცხლი კიდევ გაგვინათებს გზის კაი ნაწილს. აი, დიდი კუდიანი ვარსკვლავი, დაინახე?

ლინკი. დიხ! ეგ ავისმომასწავებელი, საშინელი ნიშანია! თუ ჩვენ მთელი ღამე ვიმგზავრებთ, ნამდვილად დავინახავთ. იგი დაახლოებით პირველ საათზე ამოდის.

მეცლერი. და ცაზე რჩება მხოლოდ ერთ საათსა და თხუთმეტ წუთს. მომშვილდულ მკლავსა ჰგავს, ხელში მახვილით, მთლად სისხლივით ქიაფერისა.

ლინკი. სამი ვარსკვლავი თუ შევინიშნავს მახვილის წვერზე და ვადაზე?

მეცლერი. და სქელი, კვამლისფერი კუდი, ათასობით შუბის მსგაქის სერელებითა და მათ შორის დაშნის მაგვარი შვერილებით.

ლინკი. პირდაპირ ჟრუანტელმა დამიარა. ყველაფერი რა-რიგ მომკრთალო ყირმიზის ფერისა იყო, ალაგ-ალაგ ელვარებდნენ მოგიზგიზე ცეცხლის ენები და მათ შორის ჩანდნენ საზარელი სახეები გაჩეჩალი თმებითა და წვერებით.

მეცლერი. ისინი შენც დაინახე? ყველაფერი ერთმანეთში ისე ლელავს, გეგონება, სისხლის ზღვაში ჩაძირულაო, და ისე ციმციმებს, რომ პირდაპირ ჭკუას დაჰკარგავ.

ლინკი. წავიდეთ! წავიდეთ!

შორს მოჩანს ხანძარწყაქიღვალი ორი სოფელი და მონასტერი

კოლი. ვილდი. მაქს შტუმფი. აჯანყებული გლეხების ბრბო.

მაქს შტუმფი. ჩემგან ნუ მოითხოვთ, რომ თქვენი მეთაური გავხდე. ეს არც ჩემთვის და არც თქვენთვის ხელსაყრელი არ იქნება. ფალცგრაფის მსახური გახლავართ და როგორ უნდა აღვდგე ჩემივე ბატონის წინააღმდეგ? თქვენ ხომ ჩემზე მუდამ იფიქრებთ, რომ ამას წრფელი გულით არ ვაკეთებ.

კოლი. კარგად ვიცოდით, რომ შენ რაიმე მიზეზს გამოისძებნიდი უარის სათქმელად.

შემოდინ გიოცი, ლერხე და გეორგი.

გიოცი. რა ვნებათ ჩემგან?

კოლი. თქვენ უნდა ვახდეთ ჩვენი მეთაური.

გიოცი. იმპერატორისათვის მიცემული რაინდული სიტყვა გავტეხო და პატიმრობის ადგილი მაგატოვო?

ვილდი. ეგ ვერაფერი მიხეზია!

გიოცი. თუნდაც ხელს არაფერი მიშლიდეს, თუ თქვენ ისევე მოექცევით აზნაურებაა და მებატონეებს, როგორც მათ ვაინსბერგში მოექპარით, თუ განაგრძობთ თარეშს ამ ქვეყნაში, რომელიც მთლად ხანძარშია გახეული და სისხლისაგან იცლებს, და ამავე დროს მომთხოვთ მონაწილეობა მივიღო თქვენს სამარცხვინო, მძვინვარე საქმეებში, მიჯობს ცოკიანი ძალიერით მომკლათ, ვიდრე ასეთი ლაშქრის მეთაური გავხდე.

კოლი. თქვენ რომ ჩვენი მეთაური გამხდარიყავით, იქნებ ის ამბებიც არ მომხდარიყო.

შტუმფი. სწორედ ეს იყო მათი უბედურება, რომ არ ჰყავდათ წინამძღოლი, მეთაური, რომელიც აჯანყებულთა პატივისცემას მოიხვეჭდა და მათ გაშმაგებას შეაკავებდა. ვთხოვ, მათი ლაშქრის მეთაური ვახდე, გიოცი! თავადები და მთელი გერმანია მაღლობელი დარჩება შენი. ყველაფერი უკეთესისაკენ წარიმართება და ქვეყნად სამართლიანობა გაიმარჯვებს. დალუპვას გადარჩება ხალხი და ქვეყანა.

გიოცი. რატომ შენ არ კისრულობ?

შტუმფი. მე უკვე უარი ვუთხარი.

კოლი. ჩვენ იმდენი დრო სადა გვაქვს, რომ აქ ფუჭი დავა და საუბარი გავმართოთ. მოკლედ და გარკვევით უნდა გითხრა, გიოცი. ან ვახდი ჩვენი მეთაური, ან არა და, შენს ციხე-კოშკსა და საკუთარ ტყავს გაუფრთხილდი. მოსაფიქრებლად ორი საათი მომიცია. გუშაგები მიუყენეთ!

გიოცი. მაგ მუქარით ვერაფერს ვახდები! მე უკვე გადავწყვიტე და არც მერე შევიცვლი ამ აზრს. რისთვის აჯანყდით? თქვენი უფლებებისა და თავისუფლების დასაბრუნებლად? რატომ მძვინვარებთ და ანადგურებთ ქვეყანას? თუ უარს იტყვით ყოველგვარი ბოროტების ჩადენაზე და ისე მოიქცევით, როგორც პატიოსანი ადამიანები, რომელთაც კარგად იციან რა სურთ, მხოლოდ მაშინ გავხდები თქვენი მეთაური.

ვილდი. რაც მოხდა, ისიც პირველი გაცხარების გამო მოხდა, მომავალში აღარ დაგვირდება ჩვენი შეკავება.

კოლი. პირობა მოგვეცი. რომ სამ თვეს მაინც იქნები ჩვენიან. შტუმფი. თუნდაც ოთხი კვირა. ეს ორივე მხარისათვის საკმარისი იქნებოდა.

გიოცი თანახმა ვარ.

კოლი. მოიტა ხელი!

გიოცი. შემომფიცეთ, რომ ჩემთან დადებულ პირობას წერილობით გაუზავანით ყველა რაზმს. დაე ზუსტად აღასრულონ ეს პირობა, თუ არ სურთ სასტიკად დაისაჯონ.

ვილდი. რა თქმა უნდა! მაგას გავაკეთებთ.

გიოცი. თქვენთან კავშირს ვკრავ მხოლოდ ოთხი კვირით. შტუმფი ღმერთმა ხელი მოგიმართოს! რაც არ უნდა მოიმოქმედო, შეიბრაღე ჩვენი კეთილშობილი ბატონი ფალცგრაფი.

კოლი (ჩუმად). გაუფრთხილდით, რომ მას თქვენს გარეშე ვინმე არ ელაპარაკოს.

გიოცი. გაბრუნდი, ლერხე, ჩემს მეუღლესთან და არ მიატოვო. ჩემს ამბავს მალე შეგატყობინებ. (გიოცი, შტუმფი, გეორგი, ლერხე და ჩამდენიმე გლეხი გადიან.)

შემოდინ მეცლერი და ლინკი.

მეცლერი. ეს რა პირობები მოვისმინეთ? რაში გვჭირდება ასეთი პირობები?

ლინკი. სამარცხვინოა ასეთი ხელშეკრულების დადება!

კოლი. ჩვენც ისევე კარგად ვიცით, რაც გვსურს, როგორც თქვენ, და გავაკეთებთ კიდევაც, რაც თავში მოგვივა.

ვილდი. ასეთი მძვინვარება, ხანძარი და მკვლელობა, დღესათუ ხვალ, ოდესმე უნდა შეწყდეს. ახლა დიდებული მეთაური გყავს.

მეცლერი. როგორ თუ უნდა შეწყდეს! აი, შე მოლაღატევი, შენა! ჩვენ აქ რისთვის ვართ? უნდა შური ვიძიოთ ჩვენს მტრეიზე და თავისუფლება მოვიპოვოთ. ეგ თქვენ ძავადის მსახურმა გირჩევთ.

კოლი. წავიდეთ, ვილდი, გინდა მაგისათვის გითქვამს და გინდა კედლისათვის ცერცვი შეგიყრია. (გადის.)

მეცლერი. გასწით, დაიკარგეთ! თქვენ არც ერთი ჯგუფი არ გამოგყვებათ. არამხადები! წავიდეთ, ლინკი, და მილტენბერგსაც ცეცხლი წაუქიდოთ. და თუ პირობის დარღვევის გამო წავიხებნენ, მაგ პირობის მოპხრებებს ყველას თავები წაეცალოთ.

ლინკი. მთავარი ჯგუფი ხომ ჩვენს მხარეზეა.

### მთა და ჭალა. ჭალის სიღრმეში წინაშვილი

მხედრების რაზმი. წინაშვილიდან გამოდის ვაისლინგენი, ფრანცი-სა და შიკრიკის თანხლებით.

ვაისლინგენი. ცხენი მომგვარე! შეატყობინე დანარჩენ რაინდებსაც?

შიკრიკი. სულ მცარე, შვიდი ესკადრონი მაინც შეგიერთდებათ მილტენბერგს იქით მდებარე ტყეში. გლეხები კი ქვემოთ, ტყის ირგვლივ, დადიან. ყველგან შიკრიკები არიან დაგზავნილი. მალე ყველა მოკავშირე თავს ერთად მოიყრის. ჩვენს დამარცხებაზე უკვე ზედმეტია ლაპარაკი! ამბობენ, შუღლი ჩამოუყარდათო.

ვაისლინგენი. მით უკეთესი, ფრანცი!

ფრანცი. რას მიბრძანებთ, ბატონო ჩემო?

ვაისლინგენი. ყველაფერი ზუსტად აღასრულე, რასაც გიბრძანებ. ამაზე ჩემს წინაშე პასუხს აგებ: გადაევი მას ეს წერილი. დაე დატოვოს სასახლე და ჩემს ციხე-კოშკში გადავიდეს დაუყოვნებლივ! დაუცადე მის გამგზავრებას და ამბავი შემატყობინე.

ფრანცი. რაც მიბრძანებთ, ყველაფერს შევასრულებ.

ვაისლინგენი. უთხარი მას, რომ ეს აუცილებლად უნდა გაკეთდეს. (შიკრიკს) ახლა წავიყვანე ყველაზე მარჯვე და მოკლე გზით!

შიკრიკი. ჩვენ ირგვლივ უნდა შემოვუაროთ. საშინელი წვიმებისაგან მდინარეები ადიდდა და ნაპირებზე გადმოვიდა.

### იამხტააუზენი

ელისაბედი. ლერზე.

ლერზე. დამშვიდდით, ქალბატონო!

ელისაბედი. ეჰ, ლერზე, თვალზე ცრემლი მოადგა, როდესაც მემშვიდობებოდა. ეს საშინელია, საშინელი!

ლერზე. იგი დაბრუნდება.

ელისაბედი. საქმე განა ეგ არის! როდესაც იგი გაემგზავრებოდა ხოლმე სახელოვანი გამარჯვების მოსაპოვებლად, სულაც არა მტკიოდა გული. მაშინ მახარებდა მისი დაბრუნება, ახლა კი მაშფოთებს.

ლერზე. ასეთი კეთილშობილი მამაკაცი...

ელისაბედი. ნუ უწოდებ ასე, ეგ ახლა უფრო ტკივილს აყენებს ჩემს გულს. ბოროტმოქმედნი! ისინი ჩემს მეუღლეს მოკვლითა და ციხე-კოშკის გადაწვით დაემტკნენ. როცა დაბრუნდება, ვიცი, რომ სახემოლუშელი, პირქუში იქნება. მისი მტრები ახალ ბრალდებებს შეეთითხნიან, ის კი ველარ შესძლებს თავის გამართლებას.

ლერზე. შესძლებს და თავს გაიმართლებს კიდევ.

ელისაბედი. მან თავისი სიტყვა გატეხა. ასე არაა?

ლერზე. არა. იგი აიძულეს. რა საფუძვლით დასჯიან ამის გამო?

ელისაბედი. ბოროტება მხოლოდ მიზეზს ეძებს და არა საფუძველს. იგი შეუერთდა ამბოხებულებს, ბოროტმოქმედებს მკვლელებს და მათი მეთაური გახდა. ასე არაა?

ლერზე. კმარა, თავს ნუ იწამებთ და ნურც მე მტანჯავთ! განა მათ გიოცს საზეიმო აღთქმა არ მისცეს, რომ ისეთ რამეს აღარ მოიმოქმედებდნენ, რაც ვაინსბერგში ჩაიღინეს? განა ჩემი ყურით არ გავიგონე, რა დალონებით ლაპარაკობდნენ: „ეს რომ აღრევე არ მომხდარიყო, შეიძლება სულაც არ მომხდარიყო.“ განა თავადებმა და მებატონეებმა მას არ უნდა დაუმაღლონ, რომ გიოცი თავის ნებით გახდა აღვირახსნილი ბრბოს მეთაური და რომ იგი შეაჩერებს მათ გაშმაგებას, გადაარჩენს ადამიანებსა და მათ აელა-დიდებას?

ელისაბედი. შენ მისი მოსიყვარულე დამცველი ხარ. თუ შეიპყრეს და მემამბოხედ გამოაცხადეს, მაშინ მისი ჭალარა თავი... ლერზე, პირდაპირ ჭკუაზე შევირყევი.

ლერზე (თავისთვის). მიაგე მის სხეულს ძილი და მოსვენება, მამო ჩვენო, რაკი მის სულს ნუგეშს არ სცემ!

ელისაბედი. გეორგი შემპირდა, რომ ახალ ამბებს შემატყობინებდა. ახლა მას ესეც აღარ შეუძლია. ეს ხომ ტყვეობაზე უარესია. მე ვიცი, რომ მათ ისე ჰყარაულობენ, როგორც მტრებს. რა კარგი, ყოჩაღი ბიჭია გეორგი! მან არ მოიხურვა თავისი ბატონის მიტოვება.

ლერზე. პირდაპირ გულის ძარღვი ჩამიწყდა, როცა გიოცმა უკან გამომგზავნა. თქვენ რომ არ დაგპირებოდით ჩემი დახმარება და სამსახური, სამარცხვინო სიკვდილის საფრთხეც კი ვერ განმამორებდა მას.

ელისაბედი. აღარ ვიცი, სად არის ზიკინგენი. მარიასთან მაინც შეშეძლოს შიკრიკის გაგზავნა!

ლერზე. თქვენ ოღონდ წერილი დაწერეთ, მაგაზე მე ვიზრუნებ. (გადის.)

### სოფლის განაპირას

გიოცი. გეორგი.

გიოცი. სასწრაფოდ მოახტი ცხენს, გეორგ! ეხედავ, მილტენბერგს ცეცხლი ედებო. აი, ასე იცავენ პირობას! გაფრინდი იქით და გამოუცხადე ჩემი გადაწყვეტილება. მკვლელები! მე მათთან საერთო აღარაფერი მაქვს. დაე მეთაურად ჩემს ნაცვლად ვინმე ბოშა აირჩიონ. აჩქარდი, გეორგ! (გეორგი გადის.) ნეტავ ახლა ათასი მილით ვიყო მოცილებული ამ ადგილს, სადმე თურქეთის ჯურღმულში ჩამძვრალი. პატიოსნად მაინც როგორმე დავალწევდე თავს ამათ. ყოველდღე თავს მოვაბეზრებ მწარე სიმართლის ლაპარაკით და ვაიძულებ გამანთავისუფლონ.

უცნობი (შემოდის). გამარჯობა, კეთილშობილო რაინდო!

გიოცი. ღმერთმა გაგიმარჯოს! რა ამბავს მეტყვი? თქვენი სახელი?

უცნობი. ჩემი სახელი აქ არაფერი მოსატანია. მე იმისთვის მოვედი, რომ გითხრათ — თქვენი სიციცხლე საფრთხეშია. წინაშე დგომის მობეზრდათ თქვენი მწარე სიტყვების მოსმენა და გადაწყვიტეს, გზიდან ჩამოგიცილონ. ფრთხილად იყავით, ან გაქცევით უშველეთ თავს და ღმერთი გზას წავიშართავთ! (გადის.)

გიოცი. ასე უნდა გამოემშვიდობო სიციცხლეს, გიოცი, ასე უნდა დასრულდეს შენი სარბიელი! დე იყოს ასე! მაშინ ჩემი სიკვდილი ყველაზე საუკეთესო დამამტკიცებელი საბუთი იქნება ქვეყნისათვის, რომ ამ ძაღლებთან არაფერი საერთო არა მქონდა!

რამდენიმე გლეხი.

პირველი გლეხი. ბატონო! ბატონო! ისინი დაამარცხეს, შეიპყრეს.

გიოცი. ვინ ისინი?

მეორე გლეხი. ისინი, რომელთაც მილტენბერგი დასწვეს. მთებიდან მოკავშირეთა რაზმი გამოვიდა და უეცრად დაესხა თავს.

გიოცი. ახია იმათზე! ო, გეორგ! გეორგ! მათ აღბათ ხელში ჩაიგდეს იგი ბოროტმოქმედებთან ერთად! გეორგ! ჩემო გეორგ!

შემოდის წინამძღოლები.

ლინკი. წავიდეთ, ბატონო მეთაურო, წავიდეთ! დაყოვნების დრო აღარაა. მტერი ძლიერია, იგი უკვე ახლოსაა.

გიოცი. ვინ დასწვა მილტენბერგი?

მეცლერი. თუ თქვენ ახლა ამის გამოკვლევას შეუდგებით, ისინი თუითონ გასწავლიან, რომ ასეთი რამ არაა საჭირო.

კოლი. თქვენს ტყავსაც გაუფრთხილდით და ჩვენსაც. წავიდეთ! წავიდეთ!

გიოცი (მეცლერს). მემუქრები კიდევაც, შე არამზადავ? გგონია, რომ შემაშინებ, რაკი გრაფ ჰელჟენშტაინის სისხლი გაცხია ტანსაცმელზე?

მეცლერი. ბერლიხინგენ!

გიოცი. შეკიდლია ახსენო ჩემი სახელი, იგი არც ჩემს შეილებს შეარცხვენს.

მეცლერი. აი, შე, ლაჩარო! თავადების ყურმოჭრილო ყმავე!

(გიოცი ისე მაგრად გაატყამს თავში, რომ მეცლერი ძირს დაეცემა, დანარჩენები მათ შორის ჩადგებიან.)

კოლი. ხომ არ გაგიყვდით? მტერი ყოველი მხრიდან ჩვენსკენ მოიწვეს და თქვენ კი ჩხუბობთ?

ლინკი. წავიდეთ! წავიდეთ! (მოისმის ბრძოლის ხმაური.)

ვაისლინგენი. მხედრები.

ვაისლინგენი. ჩქარა! დაწეეთ! ისინი მირბიან. დაე ვერაფერმა ვერ შეგაჩეროთ: ვერც ლაშქმ და ვერც წვიმამ. გავიგე,

რომ გიოცი მათ შორისაა. ეცადეთ, ხელში ჩაიგდოთ. ამბობენ, მძიმედაა დაქრილიო. (მხედრები გადიან.) თუ როგორმე ხელში ჩაგიგდე! შენთვის ისიც დიდი წყალობა იქნება, თუ საპრობილეში დაგსჯით საიდუმლოდ. ასე გაქრება იგი ხალხის ხსოვნიდან და მაშინლა ამოისუნთქავ თავისუფლად, სულელო გულო! (გადის.)

**ღამე ულკან ტყეში  
ბოშათა კარავი**

ბოშა დედა და ქალიშვილი.

დედა (ცეცხლთან). შეაკეთე ფარდული ორმოს თავზე, ჩემო გოგონავ, ამ ღამითაც წვიმა ისევ ასხამს.

შემოდის ბიჭი.

ბიჭი. ზაზუნა, დედი! აი, ორი მინდვრის თავიცი!

დედა. დავატყავებ და შეგიწეავ, ჩემო შვილო, ტყავებისაგან კი ქულს შეგიკერავ. რამ გავასისხლიანა?

ბიჭი. ზაზუნამ მიკბინა.

დედა. შემოიტანე ხმელი შეშა, ცეცხლი გავაჩალოთ. მამაშენი ალბათ წვიმისაგან მთლად გალუმპული მოვა.

კიდევ სხვა ბოშა ქალი, ზურგზე ბავშვმოკიდებული.

პირველი ბოშა ქალი. ბლომად მოიმათხოვერ?

მეორე. იმდენი ვერაფერი. ქვეყანა ისეთა შეწრიალეებული, ცოცხალი რომ გადაარჩე, ღმერთს მადლობა უნდა შესწირო, ორი სოფელი მთლად ხანძარში იბუგება.

პირველი ბოშა ქალი. მაშ იქ ხანძრის შუქი მოჩანს? უკვე დიდი ხანია, რაც ვუყურებ. ცაზე ცეცხლის ნიშნებს უკვე მივეჩვიეთ.

ბოშების ატამანი სამი ამხანაგით.

ატამანი. მონადირის ხმა გესმით?

პირველი ბოშა ქალი. ის პირდაპირ ჩვენს უკან მოჰქრის.

ატამანი. ძაღლები როგორ ჰყეფენ? ჰან! ჰან!

მეორე ბოშა ქალი. მათრახების ტყრიალი ისმის.

მესამე ბოშა ქალი. და მონადირეთა შეცახილი: ჰეი! ჰეი!

დედა. მოიტათ ეგ ეშმაკის ბარგი.

ატამანი. მღვრიე წყალში თევზი დაიჭირეს. გლეხები თვითონ დარცვავენ ერთმანეთს და ჩვენ ხომ ეს ღმერთმა დაგვიწესა.

მეორე ბოშა ქალი. რა გაქვს, ვოლფ?

ვოლფი. ერთი კურდღელი და აი, ეს ერთი მამალი, შამფური, ერთი ნაჭერი ტილო, სამი ჩამჩა და აღვირი.

შტიკსი. მე კი შალის ყაჯარი მაქვს, ერთი წყვილი ჩექმა და ტალკვესი აბედიანად.

დედა. ყველაფერი გოშიასავით გალუმპულა; მოიტათ, გავაშროთ.

ატამანი. ჩუ, ცხენის ფეხის ხმა ისმის! გახედეთ, ვინ არის.

გიოცი ცხენზე ზის.

გიოცი. მადლობა ღმერთს, ცეცხლი დავინახე. ესენი ბოშები არიან. დაქრილი ვარ, სისხლისაგან ვიცლები, მტერი კი უკან მომდევს. რა საშინელ აღსასრულს მიწზადებ, ღმერთო მაღალო!

ატამანი. შენ სამშვიდობოდ მოხველი?

გიოცი. შევლას გეგედრებით, კრილობებმა გამათავეს. მიშველეთ, ცხენიდან ჩამოვხტე.

ატამანი. მიეხმარეთ! წარმოსადგომაზე და [სიტყვა-პასუხზე] ეტყობა, რომ კეთილშობილი რაინდია.

ვოლფი (ჩუმად). ეგ გიოცი ფონ ბერლიხინგენია.]

ატამანი. კეთილი იყოს თქვენი მოსვლა! რაც კი გაგვაჩნია, ყველაფერი თქვენი ქირის სანაცვლო იყოს.

გიოცი. გმადლობთ.

ატამანი. შევიდეთ ჩემს კარავში.

**ატამანის კარავი**

ატამანი. გიოცი.

ატამანი. დედას დაუძახეთ, ბელახის დესვები მოიტანოს სისხლის დენის შესაჩერებლად. თან მალამოც წამოიღოს. (გიოცი ახვარს აიხსნის.) აჰა, ჩემი სადღესასწაულო ხიფთანი!

გიოცი. ღმერთმა სიკეთით გადაგიხადოს. (შემოდის დედა და კრილობებს უხვევს.)

ატამანი. სულით და გულით მიხარია, რომ ჩემთან მყოფს გხედავთ.

გიოცი. მიცნობთ?

ატამანი. ვინლა არ გიცნობთ! გიოცი, ჩვენს სისხლსა და სიკოცხლს არ დავზოგავთ თქვენთვის.

შემოდის შრიკსი.

შრიკსი. მოკავშირეთა მხედრები ტყე-ტყე მოდიან.

ატამანი. თქვენი მღევრები! ისინი თქვენამდე ვერ უნდა მოვიდნენ. წადი, შრიკს, სხვებსაც სთხოვე. ჩვენ აქ მათზე უკეთესად ვიციოთ ყველა გასაძვრომი. ვიდრე აქ მოგვაგნებენ, მათ ყველას ამოვწყვეტთ.

გიოცი (მარტო). ო, იმპერატორო! იმპერატორო! ყაჩაღები იცავენ შენს შვილებს. (ისმის ხშირი სროლის ხმა.) ეს ველურები სანდო ხალხია, თუმც შესახედავად საშინელი.

შემოდის ბოშა ქალი.

ბოშა ქალი. თავს უშველეთ! მტრებმა ხელი დაგვრიეს.

გიოცი. სად არის ჩემი ცხენი?

ბოშა ქალი. აქ არის.

გიოცი (ხმალს შემოიკრავს და ჯავშნის ჩაუტყედად შეჯდება ცხენზე). დაე უკანასკნელად იგრძნონ ჩემი მკლავის ძალა. ჯერ კიდევ ისე არ დავძაბუნებულვარ. (გადის.)

ბოშა ქალი. ჩვენებისაკენ მიჰქრის. (ყველანი გარბიან.)

ვოლფი. გავიქცეთ! გავიქცეთ! ყველაფერი დაღუპულია. ჩვენი ატამანი მოკლეს. გიოცი შეიპყრეს. (გაისმის დედაკაცების გოდება. ყველანი გარბიან.)

### ადელჰაიდის საძინებელი ოთახი

ადელჰაიდი წერილით ხელში.

ადელჰაიდი. ან იგი, ან მე! თავხედი! მემუქრება კიდევაც. ჩვენ დაგასწრებთ. ვინ მოიპარება დარბაზში? (აკაჟუნებენ.) ვინა ხარ?

ფრანცი (დაბალ ხმაზე). კარი გამიღეთ, ქალბატონო!

ადელჰაიდი. ფრანცა! მან უყვე დაიმსახურა, რომ გავულო. (შემოუშვებს.)

ფრანცი (ყვლზე ჩამოეკიდება). ჩემო საყვარელო ქალბატონო!

ადელჰაიდი. უსირცხვილო! ვინმემ რომ გაიგონოს?

ფრანცი. ო, ყველას სძინავს! ყველას!

ადელჰაიდი. რისთვის მოხველი?

ფრანცი. მოსვენება აღარა მაქვს, ჩემი ბატონის მუჭარა, თქვენი ბედი, ჩემი გული...

ადელჰაიდი. ძლიერ განრისხებული იყო, როცა გამოე-  
ხსოვე?

ფრანცი. ასე განრისხებული ჯერ არასოდეს არ მინახავს. „ჩემს მამულში გაემგზავროს!—მითხრა მან,—იგი ვალდებულია!“

ადელჰაიდი. მაშ დავემორჩილოთ?

ფრანცი. არ ვიცი, ქალბატონო!

ადელჰაიდი. სულელო, მოტყუებულო ბიჭო, შენ არ გესმის, ეს რას ნიშნავს. მან იცის, რომ აქ უშიშარ ადგილას ვიმყოფები. ვაისლინგენმა ხომ დიდი ხანია განიზრახა მომისპოს თავისუფლება. სურს, თავის ადგილ-მამულში გამიტყუოს. იქ თვითონ იქნება მზრპანებელი და ისე მომექცევა, როგორც თავისი სიძულვილი უყარნახებს.

ფრანცი. ეგ არ მოხდება!

ადელჰაიდი. ვაისლინგენს შენ დააკავებ?

ფრანცი. ეგ არ მოხდება!

ადელჰაიდი. წინაწარ ვხედავ, რა ტანჯვაც მომელის. იგი ძალით წამოიყვანს თავისი ციხე კომუნიდან და ჩამკეტავს მონასტერ-ში.

ფრანცი. ო, ჯოჯობეთო და სიკვდილის საშინელება!

ადელჰაიდი. მაშ შენ მიხსნი?

ფრანცი. ყველაფერს, ყველაფერს გავაკეთებ!

ადელჰაიდი (ქვითინით მოეხვევა ფრანცს). აჰ, ფრანც, დავი-  
ხსნათ თავი!

ფრანცი. იგი უნდა მოკვდეს, ფეხის ჩუსლით უნდა გავთელო.

ადელჰაიდი. გაათორება ოა საჭიროა! მე შენ მოკრძალებით აღსაყვებ ბარათს გავატან მ. სთან, სადაც ვწერ, რომ ვეიორ-  
ჩილები, ამ ფლაკონს კი სასმელში ჩაუსხამ.

ფრანცი. მომეცით! თქვენ თავისუფალი იქნებით!

ადელჰაიდი. თავისუფალი? მაშინ აღარც შენ მოგიხდება ჩემთან ასე კანკალით შემოპარვა და აღარც მე გეტყვი ასე შიშ-  
მორჩეით: „გაიქეცი, ფრანც, უკვე თენდება“.

### ჰაილბრონი. ციხის წინ

ელისაბედი. ლერზე.

ლერზე. ლმერთი გიმსუბუქებთ ტანჯვას, მოწყალეო ქალბა-  
ტონო! მარია აქ არის.



ელისაბედი. მადლობა უფალს. საშინელ უბედურებაში ჩავ-  
ცვივდით, ლერზე. ყველაფერი ისე მოხდა, როგორც წინასწარ  
ვგრანობდი! იგი შეიპყრეს, როგორც მემამბოხე, როგორც ბო-  
როტმოქმედი, და ღრმა ჯურღმულში ჩააგდეს.

ლერზე. ყველაფერი ვიცი.

ელისაბედი. არა, შენ არაფერი არ იცი. ძალზე დიდია  
მწუხარება. სიბერე, კრილობები, დამაუძღურებელი ციებ ცხელება  
და ყველაზე მეტად კი ასე დამწუხრება მას ბოლოს მოუღებენ.

ლერზე. და ამასთან ისიც, რომ ვაისლინგენი კომისრად  
დაუნიშნავთ.

ელისაბედი. ვაისლინგენი?

ლერზე. ხალხს სასტიკად სჯიან. მეცლერი ცოცხლად დაუ-  
წვავთ. ასობით ადამიანს ავლებენ მუსრს: ბორბლავენ, თავს ჰკვე-  
თენ, მახვილით სჩეხავენ და ასო-ასო სჭრიან. მთელი ქვეყანა სა-  
ყასბოდაა გადაქეული, სადაც ადამიანის ხორცი იაფად ფასობს!

ელისაბედი. ვაისლინგენი კომისარია! ო, ღმერთო ჩემო!  
კიდევ მოჩანს იმედის სხივი! მარია ვაისლინგენთან უნდა გავგზა-  
ვხო, იგი მას არაფერზე არ ეტყვის უარს. ვაისლინგენს მაინც  
ნახი გული აქვს და როდესაც ნახავს იმ არსებას, რომელიც ასე  
უყვარდა, და ახლაც მისი გულისათვის იტანჯება... სად არის  
მარია?

ლერზე. სასტუმროში.

ელისაბედი. წამიყვანე მასთან! ახლავე უნდა გავმგზავროს  
ვაისლინგენთან. მე ყველაფრისა მეშინია.

### ვაისლინგენის ციხე-კოშკი

ვაისლინგენი.

ვაისლინგენი. ო, რარიგ ავად ვარ, რა დასუსტებული. ძვლე-  
ბი მთლად გამომეფიტა. საშინელმა ციებ-ცხელებამ ტვინი სულ  
გამომწოვა. მოსვენება და ძილი აღარა მაქვს არც დღე, არც ღამე.  
თვალს დაეხუჭავ და სიხმრები მიწამლავენ სულსა. წუხელ სიხმრად  
გიოცი ვნახე, ტყეში შემომხვდა. მან მახვილი იშიშვლა და გამო-  
მიწვია ბრძოლაში. მეც ხელი ვტაცე იარაღს, მაგრამ არ დამემორ-  
ჩილა. გიოცმა მახვილი ქარქაშში ჩააგო, ზიზლით გადმომხვდა  
და გვერდით ჩამიარა. იგი ტყვეა და მე კი მის წინაშე დცახცახებ.  
საცოდავო ადამიანო! შენი სიტყვით მიესაჯა მას სიკვდილი და  
მისი მოჩვენების წინ კი ბოროტმოქმედივით ჰკანკალე!.. მაშ იგი

უნდა მოკვდეს?.. გიოც! გიოც! ჩვენ, ადამიანები, თავისი ნებით  
როდი ვმოქმედებთ—ავი სულები ბატონობენ ჩვენზე და დალუპვი-  
საკენ მივყევართ მათ გულისწყრომას. (ჯდება.) ვილუპები! ვილუპე-  
ბი! რატომ დამილურჯდა ფრჩხილები ასე? ცივი, ყინულივით ცივი  
ოფლი მისუსტებს სხეულის ყოველ ასოს. ყველაფერი ტრიალებს  
ჩემს თვალწინ. დაძინება მაინც შემეძლოს! ო!

შემოდის მარია.

ღმერთო ჩემო, მარია!... დამეხსენი! დამეხსენი!.. ეს მოჩვენე-  
ბილა მაკლდა! ის კვდება, მარია კვდება, და ახლა კი გამომეცხა-  
და. დამეხსენი, ნეტარო სულო! ისეც საკმაოდ უბედური ვარ.

მარია. სული როდი ვარ, ვაისლინგენ, მე მარია ვარ.

ვაისლინგენი. ეს მისი ხმაა.

მარია. მოვედი, რომ ჩემი ძმის სიცოცხლე შეგავედრო. იგი  
უდანაშაულოა, რაც არ უნდა დამნაშავედ გვეჩვენებოდეს.

ვაისლინგენი. გაჩუმდი, მარია! შენ, ციურ ანგელოზს, ჩემ-  
თვის ჯოჯოხეთის ტანჯვა მოგაქვს... აღარაფერი მითხრა!

მარია. მაშ ჩემი ძმა უნდა მოკვდეს? განა საშინელი არაა,  
ვაისლინგენ, რომ გარწმუნებდე, იგი უდანაშაულოა-მეთქი, და  
სულტქმა-ოხვრით გაკავებდე უსაზიზღრესი მკვლელობისაგან? შენი  
სული მთლად მტრის ხელთაა. და ეს—ადელბერტ!..

ვაისლინგენი. ხომ ხედავ, მეც შემეხო სიკვდილის ყოვლის  
შთამთქმელი სუნთქვა და ძალ-ღონე მთლად გამომიცალა. მე ვკვდე-  
ბი, როგორც უბედური, შენ კი მოღარა, რომ სასოწარკვეთილე-  
ბაში ჩამავდო. ლაპარაკი რომ შემეძლოს, შენი უდიდესი სიძულ-  
ცილი თანავგრძნობად და მწუხარებად გადაიქცეოდა! ო, მარია!  
მარია!

მარია. ვაისლინგენ, ჩემს ძმას ავადმყოფობა სტანჯავს სა-  
ბერობილეში, მისი კრილობები მძიმეა. იგი მოხუცია! და თუ შე-  
გიძლია მისი ქალიშვილი თავი... ვაისლინგენ, ჩვენ სასოწარკვეთილი  
ვართ.

ვაისლინგენი. კმარა! (რევავს ზარს).

შემოდის ფრანცი ძლიერ აღელვებული.

ფრანცი. რას მიბრძანებთ?

ვაისლინგენი. მომაწოდე ეგ ქალაღები, ფრანცი! (ფრანცი მიუჯანს მათ. ვაისლინგენი ხსნის პაკეტს და უჩვენებს მარიას ერთ ფურცელს. აქ არის ხელმოწერილი შენი ძმის სასიკვდილო განაჩენი.)

მარია. ღმერთო პაღალო!

ვაისლინგენი. და აი, მას ვხევე! იგი იცოცხლებს. მაგრამ შევძლებ იმის აღდგენას, რაც თვითონ დაეანგრევე? ვგრე ნუ სტირი, ფრანცი, კეთილო ყრმაო, შენ გულს გიკლავს ჩემი უბედურება. (ფრანცი დაიჩოქებს მის წინ და ეხვევა მუხლებზე.)

მარია (თავისთვის). ძლიერ ავადაა. გულს როგორ მიფლეთს მისი გამოხედვა. როგორ მიყვარდა იგი! ახლა კი მის ახლოს უფრო ნათლად ვგრძნობ ამას.

ვაისლინგენი. ფეხზე აღეჭი, ფრანცი, და ტირილს თავი დაანებე, კიდევ შევძლებ აღდგომას. ცოცხალმა კაცმა იმედი არ უნდა დაკარგოს.

ფრანცი. თქვენ ვეღარ აღგებით. თქვენ მოკვდებით!

ვაისლინგენი. მოკვდებით?

ფრანცი (გონებადაკარგული). საწამლავე! შხამი! თქვენი ცოლისაგან!—მე! მე! (გარეთ გავარდება.)

ვაისლინგენი. უკან გაჰყევი, მარია. იგი სასოწარკვეთილია. (მარია ვადის.) საწაქლავე ჩემი ცოლისაგან. ვაგლახ! ვაგლახ! მე ვგრძობ ამას. ტანჯვა და სიკვდილი!

მარია (გარედან). უშველეთ! უშველეთ!

ვაისლინგენი (სურს წამოდგეს). ღმერთო ჩემო! აღდგომა არ შემიძლია!

მარია (შემოდის). ფრანცი დაიღუპა. დარბაზის ფანჯრიდან გაგიჟებულივით გადაეშვა მაინში.

ვაისლინგენი. ის ბედნიერია! შენს ძმას საფრთხე აღარ მოეღის. დანარჩენი კოპისრები, განსაკუთრებით ზეკენდორფი, მისი მეგობრები არიან. ისინი მაშინვე გაანთავისუფლებენ გიოცს, ოღონდაკ კი სიტყვა მისცეს რანდულ პატიმრობაზე. მშვიდობით, მარია! წადით!

მარია. შენთან მინდა დავრჩე, უბედურო, ყველასაგან მიტოვებულო!

ვაისლინგენი. დიახ, მე მიტოვებული და უბედური ვარ. საშინელა შენი სამართალი, უფალო!.. ჩემი ცოლი...

მარია. მოიცილე ეგ აზრი თავიდან. დაუბრუნე შენი გული ყოვლის მიმტევებელს.

ვაისლინგენი. წადი, უცოდველო სულო! დამტოვე ჩემს უბედურებასთან. საშინელია! თვით შენი აქ ყოფნაც კი, აქ ყოფნა უკანასკნელი ნუგეშისა, მარია, სატანჯველია ჩემთვის.

მარია (თავისთვის). მომანიქე სიმტკიცე, უფალო! ჩემს სულს ილაჯი უწყდება მის სულთან ერთად.

ვაისლინგენი. ვაგლახ! ვაგლახ! საწამლავე ჩემი ცოლისაგან!.. ჩემი ფრანცი შეეცდინა იმ საქაგელმა. როგორ ეღის იგი შიკრიკის მისვლას, რომ ლიც მას ჩემი სიკვდილის ამბავს მიუტანა. შენ კი, მარია, მარია, რითვის მოხვედრი? იმისათვის, რომ გაიღვიძო მძინარე მოგონება ჩემს მიერ ჩადენილ ცოდვებზე? დამტოვე, დამტოვე, რომ სული განვუტევო!

მარია. ნება მომეცი, დავრჩე! შენ აქ მარტომარტო ხარ. გაიხსენე, რომ შენი დნიშნული ვიყავი ოდესღაც. დაივიწყე სუკველიაფერი! დაე ღმერთმაც ისევე შეგინდოს ყოველივე, როგორც მე გაბატე.

ვაისლინგენი. ილოცე ჩემთვის, სიყვარულით აღსავსე სულო, დერტს შემავედრე!.. გული შემეკუმშა.

მარია. იგი შენ შეგიბრალებს... ილაჯი გადაგელია.

ვაისლინგენი. ვკვდები, ვკვდები და ვეღარ მოკვდები. ჯოჯობეთის ტანჯვაა სიკვდილისა და სიცოცხლის ბრძოლა.

მარია. შეიბრალე, შეიბრალე, ყოვლად მოწყალევე! თუნდაც ერთხელ გადმოხედე მის გულს სიყვარულის თვალით, რომ გაიღოს ნუგეშის კარი და მისმა სულმა სიცოცხლის იმედი სამარეში თან წარიტანოს!

### ანელ, ვიწრო მიწისკვეთით

საიდუმლო სამსჯავროს მოსამართლენი.  
(ყველანი ნიღებში)

უხუცესი. საიდუმლო სამსჯავროს მოსამართლენო, თქვენ ხომ ხმალზე და მარყუებზე გაქვთ ფიცი დადებული, რომ იქნებით უბიწოებით აღსავსენი, განსჯით საიდუმლოდ და დასჯით საიდუმლოდ, მსგავსად უფლისა. თუ წმინდაა თქვენი გულები და ხელებს თქვენსას უწმინდური არაფერი მოუშოქმედებიათ, აღაპყრეთ ხელი და შესძახეთ ბოროტმოქმედებს: ვაგლახ! ვაგლახ!

მამლა. ვაგლახ! ვაგლახ!

უხუცესი. გამომცხადებელი, გახსენ სამსჯავრო!

გამომცხადებელი. მე, გამომცხადებელი, მოგიწოდებთ, ბრალი დასდოთ ბოროტის ჩამდნთ. ვისი გულიც შეუბღალავია და ვის ხელსაც ბიწიერი არაფერი მოუმოქმედებია, რომ ხმაღზე და მარყუჟზე დაიფიცოს, დაე სასჯელი განაჩინოს ხმლით და მარყუჟით. ბრალი დასდოს! ბრალი დასდოს!

ბრალმდებელი (წინ გამოდის). ჩემი გული წმინდაა და თავისუფალი ყოველგვარი ბოროტებისაგან, ხელებს ჩემსას არ სცხია უმანკო სისხლი. შემინდე, უფალო, ბოროტი განზრახვანი, გზა გადაუღობე ჩემს ავ სურვილებს. ხელს მაღლა აღვაპყრობ და ბრალს ვდებ! ბრალს ვდებ! ბრალს ვდებ!

უხუცესი. ვის სდებ ბრალს?

ბრალმდებელი. მე ბრალს ვდებ ადელჰაიდ ფონ ვაისლინგენს. მას დანაშაული მიუძღვის მრუშობაში, საკუთარი ქმრის მოწამლვაში მისივე ყრმის ხელით. ყრმამ თავის თავს თვითონვე განუჩინა სამართალი, ქმარი კი გარდაიცვალა.

უხუცესი. ჰუციავ თუ არა ჰეშპარიტ ღმერთს, რომ მართალს ამბობ?

ბრალმდებელი. ვფიცავ.

უხუცესი. თუ შენი ნათქვამი სიცრუე აღმოჩნდება, სდებ თუ არა შენს თავს ხმლითა და მარყუჟით, მოუშობის განჩინებით დასასჯელად?

ბრალმდებელი. ვდებ.

უხუცესი. თქვენი ხმები! (მოსამართლენი საიდუმლოდ ესაუბრებთან მას.)

ბრალმდებელი. საიდუმლო სამსჯავროს მოსამართლენო, რა მიუსაჯეთ ადელჰაიდ ფონ ვაისლინგენს, ბრალდებულს მრუშობასა და მკვლელობაში?

უხუცესი. უნდა სიკვდილით დაისაჯოს, საშინელი ორმაგი სიკვდილით—მარყუჟით და ხმლით. აღაპყარით ხელნი და შესძახეთ მას: ვაგლახ! ვაგლახ! შურისმგებლის ხელთაა გადაცემული!

ყველა. ვაგლახ! ვაგლახ! ვაგლახ!

უხუცესი. შურისმგებელი, შურისმგებელი, გამოცხადდი! (შურისმგებელი გამოდის.) აიღე ხელთ ხმალი და მარყუჟი, რომ აღგავო პირისაგან მიწისა; სადაც არ უნდა ჰპოვო იგი, აქციე ფერფლად!

მოსამართლენო, რომელნიც სჯით საიდუმლოდ, განაჩენი გამოგაქვთ საიდუმლოდ, ღვთაების მსგავსად მოარიდეთ გული თქვენს საქმესა ბოროტს, ხელები კი სისხლსა უმანკოს.

### სახტუმროს ეზო

მარია. ლერზე.

მარია. ცხენებმა უკვე დაისვენეს. გავემგზავროთ, ლერზე.

ლერზე. დაისვენეთ დილამდე. ძლიერ ბნელი, პირქუში ღამეა.

მარია. რა დამასვენებს, ლერზე, ვიდრე ჩემს ძმას არა ვნახავ, წავიდეთ! წვიმა გადაღებას აპირებს. მშვენიერი დღე გამოვა. ლერზე. როგორც გნებავდეთ, ქალბატონო!

### ჰაილბრონი. ციხეში

გიოცი. ელისაბედი.

ელისაბედი. მითხარი რამე, მესაუბრე, ძვირფასო მეუღლე. ძლიერ მაშინებს შენი ღუმილი. მაგ ღუმილში მთლად დაიწვები. მოდი, მიჩვენე ჭრილობები, ისინი უკვე მოგშუშებია. ისე სასოწარკვეთილი და მწუხარე ხარ, რომ პირდაპირ ველარა გცნობ.

გიოცი. შენ გიოცს ეძიებ? იგი დიდი ხანია აღარ არსებობს. მათ თანდათან დამასახიჩრეს: წამართვეს ხელი, თავისუფლება, ქონება და ბატოსანი სული. რალა დამრჩა ამქვეყნად, ჩემო თავო?.. რა ისმის გეორგზე? გავემგზავრა ლერზე მისი ამბის გასაგებად?

ელისაბედი. დიახ, ძვირფასო. გამხნევი, ბევრი რამ შეიძლება კიდევ შეიცვალოს.

გიოცი. ვისაც ღმერთი ძირს დაანარცხებს, იგი თვითონ ველარ წამოდგება. ძლიერ კარგად ვიცი, რაც მაწევს მხრებზე. შევეჩვიე უბედურების გადატანას. ახლა საქმე მარტო ვაისლინგენი კი არაა, არც მარტო გლეხები, არც იმპერატორის სიკვდილი და ჩემი ჭრილობები—არა, ყველაფერი გაერთიანდა. ჩემი აღსასრულის საათი ახლოვდება. იმედი მქონდა, რომ ჩემი ცხოვრების მსგავსი იქნებოდა იგი. დაე აღსრულდეს უფლის ნება.

ელისაბედი. არაფერს სჭამ?

გიოცი. არა, ჩემო მეუღლე. გახედე, როგორ ბრწყინავს მზე.

ელისაბედი. მშვენიერი გაზაფხულის დღეა.

გიოცი. კარგი იქნება, ჩემო ძვირფასო, თუ დარაჯს დაი-  
ყოლებ, ნახევარი საათით გამიშვას მის პატარა ბაღში, რათა  
დაეტყებ მშვენიერი მზით, ნათელი ცითა და სუფთა ჰაერით.

ელისაბედო. ახლავე! რა თქმა უნდა, უარს არ გვეტყვის.

საპატარაოს პატარა ბაღი

მარია. ლერზე.

მარია. შედი იქ და ნახე, როგორაა საქმე. (ლერზე გადის.)

ელისაბედო. დარაჯი.

ელისაბედო. ღმერთმა სიკეთით გადაგიხადოს ჩემი ბატონის  
სიყვარულისა და ერთგულებისათვის! (დარაჯი გადის). რა მოი-  
ტანე, მარია?

მარია. ჩემი ძმის უშიშროება. ეჰ, მაგრამ ჩემი გული უკვე  
დაიფლითა. ვაისლინგენი მოკვდა, თავის ცოლს მოუწამლავს. ჩემი  
ქმარი საფრთხეშია. თავადებმა დასძლიეს იგი. ამბობენ, ცინეშია  
ჩაკეტილი, ალყა შემოარტყესო.

ელისაბედო. ყურმოკრულ ამბავს ნუ ერწმუნები, გიოცს  
არაფერი უთხრა ამაზე.

მარია. როგორ არის?

ელისაბედო. მეშინია, არა მგონია, რომ შენს დაბრუნებამდე  
გასძლოს. უფალმა უკვე ხელი აიღო მასზე. გეორგიც მოკვდა.

მარია. გეორგი! ძვირფასი ახალგაზრდა!

ელისაბედო. როცა არამზადებმა მილტენბერგს ცეცხლი  
წაუკიდეს, ბატონმა გაგზავნა გეორგი, რომ ისინი შეეჩერებინა.  
უცებ თავს დაესხა მოკავშირეთა რაზმი. გეორგი! ყველას რომ  
გეორგსავეთ მამაცურად ებრძოლა, ისინიც იძასავით უმწიკვლო  
და პატიოსანი უნდა ყოფილიყვნენ. იქ ბევრი დაეცა გულგანგმი-  
რული და მათ შორის გეორგიც. იგი მხედრული სიკვდილით მო-  
კვდა.

მარია. იცის ეს გიოცმა?

ელისაბედო. არ ვუმხელთ. დღეში ათჯერ შეკითხება გე-  
ორგის ამბავს, დღეში ათჯერ მგზავნის იმის გასაგებად, თუ რა

დღემართა. მეშინია, ამით უკანასკნელი ლახვარი არ ჩავცე მის  
გულს.

მარია. ოჰ ღმერთო ჩემო! რა ამოაა ამა ქვეყნის იმედი ყვე-  
ლი.

გიოცი. ლერზე. დარაჯი.

გიოცი. ყოვლის შემძლე ღმერთო! რა დიდებულია შენი ცის  
ქვეშ ყოფნა! რა თავისუფლებაა! რარიგ ლამაზად იშლებიან კოკ-  
რები, რარიგ იმედით აღსავსეა მთელი ქვეყანა. მშვიდობით, ჩემო  
ძვირფასებო, ჩემი ფესვები უკვე გადაიჭრა, ძალა მეცლება და  
სამარეს ვუახლოვდები.

ელისაბედო. გავგზავნოთ ლერზე მონასტერში ჩვენი შვი-  
ლის მოსაყვანად, რომ ერთხელ კიდევ ნახო და დალოცო იგი?

გიოცი. თავი გაანებე! ის ჩემზე წმინდაა, ჩემს დალოცვას  
არ საჭიროებს. ჩვენი ქორწინების დღეს სულ არ ვფიქრობდი,  
ელისაბედ, რომ ამგვარი აღსასრული დამიდგებოდა. მოხუცმა  
მამაჩემმა დაგვლოცა ჩვენ და მისი ლოცვა უდიდესი საწინდარი  
და იმედი იყო შთამომავლობისა: კეთილშობილი, მამაცი შვილე  
ბისა. შენ მას არ უსმინე, დიდებულო ღმერთო, და ახლა მე უკა-  
ნასკნელი ვარ. შენი ნახვა ამ სიკვდილის წუთებში უფრო მახარებს,  
ლერზე. ვიდრე ხელჩართული ბრძოლის დროს. მაშინ ჩემი სული,  
ჩემი მხნეობა მიგიძღვოდათ, ახლა კი შენ მამხნევებ, შენ მეხმა-  
რები. ეჰ, ერთხელ კიდევ რომ მენახა გეორგი, მისი მზერა გულს  
გამითბობდა. თვლები ძირს დახარეთ, სტირით? იგი მოკვდა?...  
გეორგი მოკვდა? მაშ მოკვდი, გიოც! შენ მოინელე საკუთარი თა-  
ვი, შენ იმსხვერპლე კეთილშობილნი... როგორ მოკვდა იგი? აჰ,  
აღბათ შეიპყრეს ცეცხლის წამკიდებლებსა და მკვლელებთან ერთად!  
იგი დასქრეს?

ელისაბედო. არა, განგმირული დაეცა მილტენბერგთან.  
გეორგი ლომივით იბრძოდა მათი ბრძელებიდან თავის დასაღწე-  
ვიდ.

გიოცი. მადლობა ღმერთს! იგი საუკეთესო, უმამაცესი ახალ-  
გაზრდა იყო მთელ მზის ქვეშეთში. აწ კი მიიღე ჩემი სული. უფა-  
ლო! საბრალო მეუღლე! გტოვებ ამ წამხდარ ქვეყანაში, ნუ  
დასტოვებ მას, ლერზე!.. თქვენი ალაყაფის კარებზე უფრო მაგრად  
ჩაკეტეთ თქვენი გულები. დგება დრო სიცრუისა, თვალთმაქცო-

ბისა, რომელსაც სრული თავისუფლება მიეცემა. არამზადები დაიწყებენ ქვეყნის მართვას მზაკვრულ ხერხებით, პატოსანნი კი მათ ბადეში გაებმებიან. ღმერთსა ვთხოვ, დაგიბრუნოს შენი ქმარი, მარია. ვისუზებდი ისე ძლიერ არ დაცემულიყოს ძირს, როგორც იქნა აღზევებული! ზელბიცი მოკვდა, კეთილი იმპერატორიც, ჩემი გეორგიც... წყალი! ციური სუნთქვა!.. თავისუფლება! თავისუფლება! (კრება)

ელისაბედი. მხოლოდ ზევით, ზევით, შენთან ერთად. ეს ქვეყანა საპურობილეა.

მარია. კეთილშობილო ადამიანო! კეთილშობილო ადამიანო! ვაი იმ საუკუნეს, რომელმაც შენ უარგყო!

ლერზე. ვაი იმ შთამომავლობას, რომელიც შენ არ დაგაფასებს!

